ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
16 ნოემბერი **შაბათი** 2013
№271 (14 187) ფასი 80 თეთრი



## დიდი რაგბი რუსთავში

დღეს, 14:00, რუსთავის სარაგბო სტადიონი:
საქართველო-აშშ

13



# რას ეტყვიან და რას იტყვის ქეცბაია?

## თემურს მხოლოდ კონტრაქტი იცავს...

3

## მონატრებული სიამოვნება

19-წლამდელებმა მოლდოვაც მოინელეს და ელიტრაუნდი გაინაღდეს



*შესარჩევი მატჩი*

2



## მუნდიალი რიბერის გარეშე?

## რონალდო-ზლატანი 1:0

კრიშტიანომ პორტუგალიას ამოასუნთქა

*მუნდიალის პლეი ოფის მატჩების მიმოხილვა*



8



## ომი და მშვიდობა მილანში

9

გერმანიამ იტალიას ისევ ვერ მოუგო

*ამხანაგური მატჩები*

## მატჩის შემდეგ

# მაისურაძის ბიჭები: ბრძოლას გპირდებით!

**საქართველოსა და მოლდოვის შეხვედრის შემდეგ „ლელომ" კომენტარი სთხოვა ჩვენი 19-წლამდელთა ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს:**

### ლუკა ზარანდია,
### გარემარბი:

- ერთი შეხედვით, მოლდოვას იოლად მოვუგეთ. მაგრამ სინამდვილეში, ასე არ ყოფილა. კარგი იყო, სწრაფი გოლებით პირველივე ტაიმში რომ დავწინაურდით, მაგრამ ძალიან მებრძოლი გუნდი შეგვხვდა, რომელიც არც ერთ ეპიზოდში არაფერს გვითმობდა. თუმცა უპირატესობა ჩვენი იყო და ეს მოგება გვეკუთვნოდა.

**- საქართველოს ნაკრებს რა გამოარჩევს?**

- ძალიან შეკრული და მეგობრული გუნდი ვართ. მე ამას ხალხის გასაგონად კი არ ვამბობ. ყველამ ვიცით, რომ 19-წლამდელთა ნაკრები ერთი ოჯახია, ერთი სიხარულით და ერთი მიზნით ვცხოვრობთ. გუნდურობა ამიტომაც გამოგვარჩევს. ცალკე აღებული, რომელიმე გამორჩეული ლიდერი არ გვყავს, მაგრამ ერთიანობაში, მაინც „ბომბა გუნდი" ვართ! ეს ხუმრობით, ხოლო რაც შეეხება თამაშის გაძლიერებას, ეს ჩვენ კი არა, „ბარსელონასაც" სჭირდება.

**- გადამწყვეტი შეხვედრა ჰოლანდიასთან გელით, სადაც პირადად მოგიწევთ იმის დამტკიცება, რომ „აიაქსთან" კონტრაქტს იმსახურებთ...**

- რა თქმა უნდა, ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია. მაგრამ ამ შემთხვევაში, მხოლოდ გატანაზე არ ვიფიქრებ. კონტრაქტზე მეტად მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდეთ და დავამარცხოთ ჰოლანდია, რომელიც საქართველოს ვერც ერთმა ასაკობრივმა ნაკრებმა ვერ დააჩოქა...

### ოთარ კაკაბაძე,
### მარჯვენა მცველი:

- საკმაოდ კარგი მეტოქე გვყავდა, მაგრამ სწრაფი გოლები ძალიან დაგვეხმარა და მერე მთელი შეხვედრა მშვიდად ჩავატარეთ, თამაშის სადავეები ჩვენს ხელშია, ბურთიც გავუგორეთ. ბევრი საგოლე შანსი გვქონდა და გაცილებით დიდი ანგარიშით მოგებაც შეგვეძლო. სამწუხაროდ, მომენტების რეალიზაცია ვერ შევძელით. კარგი ისაა, კარი „მშრალად" რომ შევინახეთ.

**- ასეთ დროს, ძალების დაზოგვისთვის ვერავინ გაგამტყუნებთ, წინ ხომ ჰოლანდიასთან პრინციპული შეხვედრაა...**

- დასამალი არც გვაქვს: ორი გოლის შემდეგ, თავი აღარ მოგვიკლავს, რადგან ჰოლანდიასთან მატჩის წინ ტრავმები და სხვა გართულებები თავიდან უნდა აგვეცილებინა.

**- ჰოლანდიასთან მატჩს გულშემატკივარი დიდი ინტერესით ელის...**

- მიუხედავად იმისა, რომ ელიტრაუნდში უკვე გავედით, ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება პრინციპის საქმეა.

**- დღემდე, საქართველოს არც ერთ ასაკობრივ ნაკრებს ჰოლანდიისთვის არ მოუგია...**

- იმედია, პირველები ჩვენ ვიქნებით. თუმცა ამას ვერავის შევპირდებით, რადგან ჰოლანდიას ძლიერი ნაკრები ჰყავს.

### მათე ცინცაძე,
### ნახევარმცველი:

- ჩემი აზრით, გუნდმა წარმატებას ერთსულოვნების ხარჯზე მიაღწია. მოედანზე სათამაშო დისციპლინას ვიცავდით, მწვრთნელი კი დავალებებს მარტივად და გასაგებად გვიხსნიდა. მიხარია, რომ უელსსა და მოლდოვასთან ამოცანა გადავჭერით - ჩვენგან გულშემატკივარი ამას ითხოვდა. ეს ელიტრაუნდში გასასვლელად საკმარისი კი იყო, მაგრამ ჰოლანდიასთან მატჩი პრინციპულია და ვეცდებით, გულშემატკივარი გავახაროთ.

## U 19. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ტურნირი

15.11. თბილისი. მ. მესხი. 600 მაყურებელი

**საქართველო 2**

**მოლდოვა 0**

1:0 კიკაბიძე (4), 2:0 აბურჯანია (8. პაპუნაშვილის პასით)

| საქართველო 4-2-3-1 | მოლდოვა 4-1-4-1 |
|---|---|
| ქურდაძე | გალაცი |
| კაკაბაძე | როგაცი |
| ჭანტურია | როსცა |
| გურეშიძე | ვლასი |
| თევზაძე | ცემში |
| აბურჯანია | ვ. მაცრიტში |
| ცინცაძე | ბეჟანი |
| ზარანდია | ბირდანი |
| პაპუნაშვილი | ცალუგერი |
| კიკაბიძე | პაირელი |
| ჯიქია | დამასცანი |
| მწვრთნელი ვ. მაისურაძე | მწვრთნელი ი. ოსიპენკო |

**საქართველო**

46. პაპუნაშვილი - **გოროზია**
62. კიკაბიძე - **კერძევაძე**

*სათადარიგოები:* შენგელია, სამხარაძე, ახვლედიანი, ტაბიძე, შერმადინი

**მოლდოვა**

52. დამასცანი - **რებენია**
64. ბირდანი - **ანდრონიკი**
84. პაირელი - **ა. მაცრიტში**

*სათადარიგოები:* სტარისი, ბურლაცუ, ვიცოლი

გაფრთხილება: ვლასი (32), ბირდანი (42)

არბიტრი: ო. დრახტა (ავსტრია)



გიორგი აბურჯანიას გოლი — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# მონატრებული და ორმხრივი სიამოვნება!

...ბოლო ორი წელიწადია, საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებმა ისე „მიგვაჩვიეს" წარმატებებით, ამა თუ იმ ფორმაციის გუნდისგან, ელიტ-რაუნდში მოხვედრას ვინ ჩივის, ფინალურ ეტაპზე გასვლასა და იქაც, ლამის არის, მედლები მოვითხოვოთ!

კარგია, რომ ეს მართლაც მშვენიერი ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა და **ვასილ მაისურაძის** დამოძღვრილმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ელიტრაუნდში ასპარეზობა ვადაზე ადრე გაინაღდა! თანაც, იმასაც ხომ მნიშვნელობა აქვს, როგორ მოახერხეს ჩვენმა ბიჭებმა ამ მიზნის შესრულება: ისე როგორც ორი დღის წინ უელსელ თანატოლებთან მატჩში, გუშინდელ შეხვედრაშიც თვლა არ ჰქონდა ერთიმეორეზე ეფექტურ კომბინაციებსა თუ ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალურ გაბრწყინებებს და ამიტომაც იყო ალალი ის ტაში, მოლდოველებთან მატჩის დასრულების შემდეგ ჩვენმა ბიჭებმა გულშემატკივრებისგან რომ დაიმსახურეს.

ოღონდ, წინა მატჩის მსგავსად, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი გუშინაც, ფაქტობრივად, ცარიელი იყო - არადა, ჩვენი ნაკრების სამწვრთნელო შტაბიც და ფეხბურთელებიც ბევრად უფრო მეტ აუდიტორიას იმსახურებდნენ. თანაც, არა მხოლოდ იმის გამო, რომ ელიტრაუნდის საგზური ვადამდე გაინაღდეს - იმიტომ, რომ ამ ორივე მატჩის განმავლობაში ჩვენი ბიჭები ისე თამაშობდნენ, თვითონაც რომ იღებდნენ სიამოვნებას და ქომაგებსაც გულგრილს ვერ ტოვებდნენ!

ჰო, ორივე შეხვედრაში ხომ უამრავი დასამახსოვრებელი და, რაც მთავარია, მონატრებული (!) ეპიზოდი ვნახეთ, როცა ქართველი ჭაბუკები ინდივიდუალურ ოსტატობაში თავიანთ მეურვეებს, რბილად რომ ვთქვათ, აშკარად ჩაგრავდნენ; თანაც, ამ ეპიზოდებში ეს ყველაფერი პუბლიკაზე გათვლილი „ფინტები" კი არ იყო, არამედ კონკრეტული მომენტის ადეკვატური შეფასება-გადაწყვეტილება. აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, ალბათ, უმთავრესი ფაქტორიც: ფაქტია, რომ ჩვენი ნაკრების თავკაცს საკუთარი გუნდის თითოეული ფეხბურთელის შესაძლებლობები 100-პროცენტით ჰქონდა შესწავლილი და ჩვენი ბიჭებიც იმპროვიზაციას სრულად ავლენდნენ.

ამავდროულად, არც გუნდური თამაში „ავიწყდებოდათ" და რისი დასტურიც, სათამაშო დისციპლინის დაცვა და ზემოთ ნახსენები ეფექტური კომბინაციებიც გამოდგება. მოკლედ, ვასილ მაისურაძის (სამწვრთნელო შტაბთან ერთად) გარჯა გვინდა აღვნიშნოთ: ამ ახალგაზრდა სპეციალისტმა ზედიზედ მეორედ შეძლო საქართველოს ასაკობრივი ნაკრების ელიტრაუნდში გაყვანა!

## ეფექტური გოლები, კომბინაციები...

...ახლა კი უშუალოდ გუშინდელ შეხვედრაზეც, რომლის ბედიც საწყის წუთებში გადაწყდა; თანაც, უელსთან მატჩის მსგავსად, გუშინდელი ორივე გოლი ერთიმეორეზე ეფექტური გამოდგა!

მე-4 წუთი იწყებოდა, ჩვენი ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა **გიორგი პაპუნაშვილმა** სახიფათო შეტევა რომ წამოიწყო, თუმცა საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან მოლდოველებმა, ერთი შეხედვით, ვითარება განმუხტეს. თუმცა მარჯვენა ფლანგზე **ოთარ კაკაბაძის** აქტიურობას ის მოჰყვა, რომ ბურთი 17 წლის **ლუკა ზარანდიამ** მოიგდო და თბილისის „ლოკომოტივის" გარემარბმა ისეთი რეიდი განახორციელა, მეტოქის ოთხი (!) მცველი სახტად რომ დატოვა.

ამ ყველაფრის ლოგიკური დასასრული კი ის იყო, რომ ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელმა **ლუკა კიკაბიძემ** მარცხენა ფეხით შესრულებული ილეთით მეურვე ჩამოიცილა, მარჯვენათი კი მოლდოველთა მეკარეს ახლო კუთხეში ზუსტად დაურტყა! არანაკლებ ეფექტური იყო მეორე გოლი, რამდენიმესვლიანი კომბინაციის შემდეგ რომ გავიდა: მარცხენა ფლანგიდან **დავით ჯიქიამ** ზუსტი პასით **გიორგი აბურჯანია** მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი გიორგი პაპუნაშვილთან „კედელი" ოსტატურად გაითამაშა, დასარტყამ პოზიციაზეც გავიდა და მერე, ბურთი კოხტად „მოჭრა" შორეულ კუთხეში!

ამ ორმა სწრაფმა გოლმა თამაში ოდნავ „დაამშვიდა", თუმცა ტაიმის მიწურულს ჩვენები ისევ „აფეთქდნენ" და დავით ჯიქიას ორი ჩინებული მომენტიც შეექმნა.

მეორე ტაიმიც ჩვენი ბიჭების სრული უპირატესობით წარიმართა და ერთიმეორეზე ეფექტური კომბინაციები ვიხილეთ: გიორგი აბურჯანიას საუცხოო პასით ლუკა ზარანდია რომ მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და დავით ჯიქია წინა მატჩის მსგავსად, კვლავაც თავზე რომ უგდებდა ბურთს მეკარეს - ორივე ამ ეპიზოდს, თითქმის ასპროცენტიანი ეთქმოდა.

მატჩის ბოლომდე ეს „სცენარი" არ შეცვლილა: ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა შეეძლოთ **მათე ცინცაძეს, გიორგი გოროზიას**, დავით ჯიქიასა და ლუკა ზარანდიას. ისე, გუშინდელ მატჩში მოლდოველებმა სამარცხვინო ანგარიშით რომ არ წააგეს, თავიანთ მეკარეს უნდა უმადლოდნენ: **პაველ გალაცმა**, სულ მცირე, ხუთ-ექვს ეპიზოდში თავისი გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა.

აი, რაც შეხება მეტოქეთა იერიშებს, მსგავსი არც არაფერი ყოფილა: დაცვის ცენტრი უნარიანად ჰქონდათ გადაკეტილი **ნიკა ჭანტურიასა** და **სანდრო გურეშიძეს**; ეგ კი არა, მეტოქემ ჩვენს კარში პირველად და... უკანასკნელად მე-60 წუთზე დაარტყა, მაგრამ ჩვენი მეკარე, 16 წლის **ბექა ქურდაძე** ბურთს უპრობლემოდ დაეუფლა. სხვათა შორის, ქურდაძე ამ შესარჩევი ჯგუფის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეა!

...იმედი დავიტოვოთ, რომ შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩში (ორშაბათს რომ უნდა ჩატარდეს) მაინც მივა ქართველი გულშემატკივარი ჩვენი 19-წლამდელების საქომაგოდ - გვერწმუნეთ, ეს ბიჭები ამას ნაღდად იმსახურებენ!

**გია ტუხაშვილი**



ლუკა ზარანდია ერთ-ერთი საუკეთესო იყო — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**გუშინ**

ჰოლანდია-უელსი 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 2. ჰოლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| 3. უელსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |
| 4. მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

**ბოლო ტური**

**18 ნოემბერი**

მიხეილ მესხი

საქართველო- ჰოლანდია 15:00

დინამო არენა

უელსი-მოლდოვა 15:00

## მატჩის შემდეგ

### ნიკა ჭანტურია,
### მცველი, გუნდის კაპიტანი:

- თამაში დაძაბული იყო, მაგრამ გადამწყვეტი აღმოჩნდა დასაწყისში გატანილი გოლები, რომელმაც მეტოქე გატეხა და სასურველ შედეგს მივაღწიეთ. თუმცა გუნდის შეფასება ჯერ მაინც ნაადრევია, რადგან 18 ნოემბერს, ჰოლანდიასთან შეხვედრის შემდეგ გაირკვევა, ჯგუფში რომელ ადგილს დავიკავებთ.

**- პირველი ეტაპის მიზანი შესრულებულია. მთავარია, კვლავ მოახერხებს თუ არა 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრას...**

- წინასწარ ამაზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ კარგი გუნდი შეიკრა - მწვრთნელებით დაწყებული, მოთამაშეებით დამთავრებული, ყველა ერთი მიზნით ვცხოვრობთ. ახალი ციკლიც კარგად დავიწყეთ. განსაკუთრებით თამაშის ხარისხი მაიმედებს.

**- ბევრს აინტერესებდა, გაიზარდა თუ არა გუნდი, მისი თითოეული წევრი... გაქვთ კი საქართველოში სასურველი მოსამზადებელი პირობები?**

- მონდომებული ადამიანი ყოველთვის გაიზრდება, თუნდაც საქართველოში. მაგრამ თუ ზარმაცი ხარ, ამას ძლიერ გუნდშიც ვერ მოახერხებ. ცხადია, ნაკლი ყველას გვაქვს, მაგრამ ამის გამოსწორება შესაძლებელია.

**- 19-წლამდელთა პლუს-მინუსები ცხადად ჰოლანდიასთან გამოჩნდება. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- ჰოლანდიამ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში დაგვამარცხა და ეს წყენა ჯერაც გვახსოვს. მაგრამ ხალხს ვერ შევპირდებით, რომ აუცილებლად მოვიგებთ, თუმცა ბრძოლას ნამდვილად გპირდებით.

**მერაბ მამულაშვილი**

ერთი კვირის 1000 წამი

● სპეციალისტების აზრით...

# მწვრთნელის ხელწერა და ბიჭების ტალანტი

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ელიტრაუნდშია. ვასილ მაისურაძის გუნდმა ეს ალალად და უსაყვედუროდ, მსაჯების დაუხმარებლად მოახერხა. ახალგაზრდა „ჯვაროსნებმა“ უელსსა და მოლდოვას, არც ისე სუსტ გუნდებს, საკმაოდ იოლად სძლიეს. უფრო გასახარი ის იყო, რომ გუნდში თამაშის გაუმჯობესების რესურსიც იგრძნობოდა. მატჩის შემდეგ კომენტარი სპეციალისტებსაც ვთხოვეთ. აზრს გვიზიარებენ „საბურთალოს“ სპორტული დირექტორი, „ზესტაფონის“ ყოფილი მწვრთნელი გია ჭიაბრიშვილი და საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი გიორგი ნემსაძე:

## გია ჭიაბრიშვილი: გუნდური შემოქმედება ინდივიდუალიზმით

- ყველას კარგად ახსოვს, რომ უელსსა და მოლდოვაზე ბევრად სუსტი საფეხბურთო ქვეყნების ნაკრებებთან გაცილებით მოკრძალებული შედეგები გვქონდა. თუმცა ჩვენებმა ეს ორი ნაკრები მაინც დიდი უპირატესობით დაამარცხეს. ცხადია, ასეთი ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება ვასიკო მაისურაძის დამსახურებაა. 19-წლამდელებს ელიტრაუნდში გასვლას ვულოცავ და ვუსურვებ, კიდევ ერთხელ გასულიყვნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. გუნდი ლამაზ ფეხბურთს თამაშობს, ბევრი გოლი გააქვს, დაცვაშიც საიმედოდ გამოიყურება და მთლიანობაში, თამაშის ხარისხიც საკმაოდ მაღალია.

**- მაინც რა განაპირობებს ამ ყველაფერს, გარდა ამ ფეხბურთელების ტალანტისა?**

- ეტყობა, რომ გუნდში არის დისციპლინა და გამარჯვების რწმენა, რაც მწვრთნელებისგან მოდის - ეს აუცილებლად უნდა აღვნიშნო. კიდევ ერთი: ჩვენს ყველა ასაკობრივ ნაკრებში არიან ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელები. მაისურაძემ მოახერხა და მათი ეს უნარი გუნდის სქემაში ჩასვა. თანაც ისე, რომ მათში შემოქმედება არ ჩაუკლავს. ეს ძალიან რთულია და სამწვრთნელო შტაბის შრომას ამიტომაც აღვნიშნავ. მოედანზე იგრძნობა, რომ ერთი გუნდი და ერთი სქემაა, რომელსაც ყველა ემორჩილება. წარსულშიც ასე იყო: თუკი ოდესმე, როცა ქართველებს ძლიერი გუნდი გვყოლია, ამისთვის დისციპლინის, გუნდურობისა და ინდივიდუალიზმის შერწყმით მიგვიღწევია. ასეთი გუნდი კი არც ერთ მეტოქეს არ ეპუებოდა.

## გიორგი ნემსაძე: ამ გუნდში ბევრი ნათელი წერტილია

- ამ ნაკრებში ბევრ საინტერესო მოთამაშეს ვხედავ, ყველაზე ნათელი წერტილი კი ვასიკო მაისურაძეა. მიხარია, რომ მან საქართველოს მოგების გემო გაახსენა და ამტკიცებს, რომ ნიჭიერი მწვრთნელის ხელში გუნდი აუცილებლად ათამაშდება.

**- წმინდა საფეხბურთო კუთხით გუნდს როგორ დაგვიხასიათებთ?**

- მწვრთნელის ხელწერა აშკარად ჩანს. მაისურაძემ ინდივიდუალიზმითა და აზროვნებით გამორჩეული მოთამაშეები შეკრიბა. ამ ორ შეხვედრას ვაკვირდებოდი და ბიჭები კონკრეტულ სიტუაციაში ძალიან სწრაფ და სწორ გადაწყვეტილებებს იღებდნენ. მთლიანობაში, გუნდი სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს, რაც ყველაზე მეტად მახარებს. საერთოდ, ჩემი აზრით, ბოლო წლებში საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული თაობა სწორედ მაისურაძის გუნდში შეიკრიბა. გუნდური თამაში არის მწვრთნელის ხელწერა, მაგრამ ინდივიდუალური შემოქმედება და მისი - გუნდის სასარგებლოდ გამოყენება, ფეხბურთელების ნიჭიერებაზე მიუთითებს. იმედია, თავს არც ჰოლანდიასთან მესამე შეხვედრაში შეირცხვენენ. არ მინდა მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ ვგრძნობ, რომ მწვრთნელებისა და ნიჭიერი თაობის სასურველი თანხვედრაა. ტრიბუნაზე ვიჯექი და ამ გუნდის ცქერა მსიამოვნებდა. გასაგებია, რომ მოლდოვასთან უფრო დიდი ანგარიშით მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ ნაკრები მომენტებს ქმნის, სწრაფად უტევს, ინდივიდუალიზმიც ჩანს და ინიციატივიანი ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ. ეს ყველაფერი ძალიან მახარებს და მაიმედებს.

**- სწრაფი თამაში ახსენეთ. ამით ქართული კლუბები და სხვა ასაკობრივი ნაკრებები ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან...**

- აუცილებელი არ არის, ფეხბურთელი მორბენალივით სწრაფად დარბოდეს. მთავარია აზროვნების სისწრაფე და სწორი თამაში. ამ გუნდში კი ფეხბურთელები კარგად ხდებიან, როდის არის საჭირო ინდივიდუალური გარღვევა, როდის - ბურთის გადაწოდება, როდის - გაიხსნა... ბევრია მოძრაობაც. სწრაფი თამაში ამის შედეგია.

**მერაბ მამულაშვილი**



● ზუგდიდი

# დირექტორი გადადგა

## გაურკვევლობა სამწვრთნელო შტაბში: გაბელაია დაინიშნა, მაგრამ წიტაიშვილი...

„ზუგდიდის“ დირექტორმა მალხაზ ჭეჟიამ საგანგებო ბრიფინგზე ბოლო დროს კლუბის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე ილაპარაკა. ეს კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა. ტექსტს მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ:

*„ეს ყველაფერი, უბრალოდ, სპორტულ სფეროს გასცდა და პოლიტიკური ელფერი შეიძინა. პირდაპირ ვაცხადებ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო კლუბის საქმიანობაში უხეშად ერევა... რამდენიმე დღის წინ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ფეხბურთის ზოგიერთ წარმომადგენელთან და როგორც ირკვევა, შეთანხმდნენ ერთ თემაზე - თანამდებობიდან გამათავისუფლეს. პოსტს არ ვებღაუჭები, მაგრამ კარგად ვიცი, რაც ხდება. ეს ყველაფერი ორი დღის წინათ არ დაწყებულა, ამ თემაზე სპეციალური ჯგუფი კარგა ხანია მუშაობდა. ლევან კონჯარიამ დამირეკა და მითხრა - თუ გუნდში მწვრთნელ კობა წიტაიშვილს დავაბრუნებდი, ყველანაირი გაუგებრობა დასრულდებოდა, რაზეც ჩემგან მაშინვე მიიღო უარი. თუ საფეხბურთო კლუბის საქმიანობაში უხეშ ჩარევას თავს თუ არ დაანებებენ, იძულებულნი გავხდებით, ფიფა-უეფას წესდებით ვისარგებლოთ და მაშინ, თვითმმართველი ორგანო ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება“,*

- ამბობს ჭეჟია.

„ზუგდიდის“ დირექტორმა კიდევ ერთხელ განმარტა მწვრთნელის შეცვლის მოტივი: *„კობა წიტაიშვილი თავად გადადგა და გასაკვირია, რომ ახლა დაბრუნებას ითხოვს, და თან - ადგილობრივი ხელისუფლების ჩარევით. აქ ხომ ყველაფერი ნათელია?! საუბარია საფეხბურთო სტრუქტურაში მათთვის სასურველი ჯგუფის მოყვანაზე. „ზუგდიდს“ დავუნიშნეთ მწვრთნელ-კონსულტანტი სერგო გაბელაია, რომელიც საქმეს შეუდგა“.*

ამის შემდეგ „ლელომ“ შეიტყო, რომ ჭეჟიამ კლუბიდან წასვლის შესახებ განცხადება მაინც დაწერა. ინფორმაცია თავად დაგვიდასტურა, თუმცა კომენტარი აღარ ისურვა, მხოლოდ ეს გვითხრა - დავიღალე ამ ყველაფრისგანო!

გუშინვე გაჩნდა ერთ-ერთი ვერსია იმასთან დაკავშირებით, თითქოს „ზუგდიდს“ **კობა წიტაიშვილი** უბრუნდება. ასეთ შემთხვევაში, გაუგებარია, რა როლში დარჩება ახალდანიშნული მწვრთნელ-კონსულტანტი სერგო გაბელაია. სავარაუდოდ, კლუბის დატოვება მასაც მოუწევს.

### გაბელაია: აუცილებლად დავრჩებით!

კობა წიტაიშვილის ნაცვლად, „ზუგდიდს“ სერგო გაბელაია გაწვრთნის. ის გუშინ გულშემატკივრებს მწვრთნელ-კონსულტანტად წარუდგინეს, მაგრამ რეალურად, უნდა ვიფიქროთ, რომ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას შეასრულებს.

*„უპირველესად, მადლობას ვუხდი ზუგდიდელებს გულთბილი მიღებისთვის, კლუბის ხელმძღვანელობას კი - ნდობისთვის. 21-წლიან სამწვრთნელო კარიერაში აბსოლუტურად განსხვავებულ ვითარებაში მიმუშავია, მათ შორის ისეთშიც, როგორშიც ამჟამად „ზუგდიდი“ იმყოფება. ტრაბახში არ ჩამომართვათ, მაგრამ ერთსულოვნებით მდგომარეობიდან არა ერთი გუნდი გამოგვიყვანია. დანარჩენს საქმე გვიჩვენებს. მინდა ხაზი გავუსვა, რომ გუნდის წევრების პოტენციალი მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ „ზუგდიდი“ აუცილებლად დარჩება უმაღლეს ლიგაში“,* - ამბობს გაბელაია.

შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინათ, კობა წიტაიშვილი გუნდიდან საკუთარი სურვილით წავიდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# კონტრაქტი თუ ჯენტლმენობა?

დღეს თემურ ქეცბაია თბილისში ჩამოდის. ქეცბაია - საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, რომელიც თითქოს მხრებით ეზიდებოდა ტვირთს, როცა ნაკრებში თამაშობდა... დღეს კი მწვრთნელი ქეცბაია მარტოა. მასზე თითქმის არავინ ამბობს, რომ უნდა დარჩეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელად, რომ კიდევ უნდა მივცეთ დრო, რათა დაწყებული საქმე ბოლომდე დაამთავროს... ქეცბაიას მხარეს მხოლოდ კონტრაქტი დარჩა, რომლის მიხედვითაც ის კიდევ ერთი შესარჩევი ციკლით უნდა დარჩეს ნაკრების თავკაცად.

ქეცბაიას ჩამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია, რადგან ამას ასევე ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მოჰყვეს. კონტრაქტი დოკუმენტია, ოღონდაც, მხოლოდ დოკუმენტებით ცხოვრება წარმოუდგენელია. ცხადია, საქართველოში დაბრუნებული ქეცბაია ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას შეხვდება, ისიც ნათელია, რომ ფედერაცია ამ შეხვედრისთვის კარგად იქნება მომზადებული, რადგან უკვე იცის, რა უნდა უთხრას ქეცბაიას, უბრალოდ, ამას ჯერ ვერ ამბობს, რადგან უცნობია მწვრთნელის პოზიცია.

ისეთი სიტუაციაა, ნაირგვარ ვარაუდებს ვერ წარმოვიდგენთ. საქმესთან ყველაზე ახლოს ეს ვერსია უნდა იყოს - ფედერაცია ქეცბაიას კონტრაქტის გაწყვეტაზე და, შესაბამისად, კომპენსაციაზე ჩამოუგდებს სიტყვას.

წინა შესარჩევი ციკლის დასრულებიდან დაახლოებით ერთი თვე გავიდა, რაც სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ გადაწყვეტილება ცხელ გულზე არ იყოს მიღებული. რა თქმა უნდა, დრო ქეცბაიასაც ჰქონდა, მას ფეხბურთში ბევრი უნახავს და ვერავინ დამაჯერებს, რომ ვერ გრძნობდეს სიტუაციას.

ქეცბაიას ხელშეკრულება ფეხბურთის ფედერაციასთან აქვს, ჯამაგირს კი სახელმწიფო იხდის, ანუ ფედერაცია მხოლოდ ფორმალურად არის მწვრთნელის დამქირავებელი. სიტუაცია მარტივი არ არის, თუმცა გამოსავალი აქედანაც მოიძებნება.

ქეცბაიას ცუდ დროს მოუწია საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დანიშვნამ - ძალმომრეობისა და შადრევნების ბუმის დროს. დღეს ლაპარაკის აღარ ეშინიათ, მათ შორის - კერძო საფეხბურთო კლუბების პრეზიდენტებსაც, რომელთა უკანაც ბიზნესი დგას, თორემ ადრე ხმის ამოღება დისიდენტობის ტოლფასი იყო.

დარწმუნებული ვარ, ქეცბაია ამაზეც დაფიქრდება. საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ხელფასი ბევრი ქართული კლუბის წლიური ბიუჯეტის ტოლფასია. შესაძლოა, ასეთნაირად არ უნდა განვიხილავდეთ ამ საკითხს, რადგან კარგი მწვრთნელი თუ გვინდა, მისი ჯამაგირი საერთოდ არ უნდა იყოს განსახილველი, მაგრამ არსებობს სხვა რეალობაც - მძიმე სოციალური ვითარება ქვეყანაში, უკუსვლა და უსამართლობა საკლუბო ფეხბურთში, უამრავი კითხვა ეროვნულ ნაკრებზე - რა შედეგი გვინდა, საით მივდივართ, არსებობს თუ არა გეგმაზომიერი პოლიტიკა და არის თუ არა მწვრთნელის ხელფასი ასეთნაირად გაწერილი? ფეხბურთი ბევრად უფრო სათუთი თემაა, ვიდრე პური და სანახაობა - ეს ვერ გათვალეს ყოვლისმცოდნე ლიბერტარიანელებმა და ქვეყანას პრობლემა შეატოვეს.

მე მაინც მგონია, რომ ქეცბაია ვაჟკაცურ გადაწყვეტილებას მიიღებს, თუნდაც იმიტომ, რომ ის მთელი გულითა და სულით თამაშობდა ეროვნული გუნდისთვის. ასეთი გადაწყვეტილება კი გააიოლებს პრობლემის მოგვარებას. არ ვიცი, რას უფრო მეტი ძალა აქვს - კონტრაქტს თუ ჯენტლმენობას? საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა კიდევ ამიტომაც არის ძალიან ძნელი - დიდ გამოცდებს უნდა გაუძლო. წარმოუდგენელია ხისტი პოზიციის შენარჩუნება, როცა მოკავშირე არსად არ გეგულება; წარმოუდგენელია, არაადეკვატური იყოს ფეხბურთში ჭიპმოჭრილი ადამიანი. ქეცბაიას ჩამოსვლა, მოლაპარაკება ფედერაციასთან და გადაწყვეტილება - ეს უნდა იყოს დამდეგი კვირის მთავარი ამბავი...

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირისპირება

# ჩხაიძე მზადაა, ებრალიძეს მიულოცოს, თუ...

გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის (გრფფ) მე-6 ყრილობა ლათინოამერიკულ სერიალს ემსგავსება. გაუგებრობას იწვევს ის, რომ ორივე მხარე განსხვავებულ ინფორმაციებს ავრცელებს - მოქმედი პრეზიდენტი კახა ებრალიძე და მისი მომხრეები ამტკიცებენ, რომ ყრილობა შედგა და გრფფ-ს ოთხი წლით კვლავ ებრალიძე ხელმძღვანელობს. „ლელოსთან" ინტერვიუში მან ეს იმით დაასაბუთა, რომ ყრილობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) გენერალურმა მდივანმა, რევაზ არველაძემ გახსნა და მას გენერალური სამდივნოსა და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელებიც (რევაზ შენგელია, კესო ჩხიკვაძე) ესწრებოდნენ.

*„ყრილობა არ ჩაშლილა!.. არანაირი სამართლებრივი დარღვევა არ გვაქვს, შესაბამისად, შედეგების გაუქმების საფუძველი არ არსებობს. გვაქვს 7-ვე რეგისტრირებული სუბიექტის მიერ გამოგზავნილი წერილი, სფფ-ის ალმასკომის გადაწყვეტილება და წესდების შესაბამისად ვიმოქმედეთ. მთავარია, გრფფ-ის სამდივნოში რა დოკუმენტები დარეგისტრირდა. ჩვენთვის რაიმე სხვა წერილი, არც ფოსტით, არც ელფოსტით და არც პირადად, არ გადმოუციათ", - ამბობს ებრალიძე.*

**მოწინააღმდეგეები კი ამტკიცებენ, რომ ყრილობა ჩაიშალა. „ლელო" პრეზიდენტობის ალტერნატიულ, თუმც დაურეგისტრირებელ კანდიდატ გია (გიალო) ჩხაიძეს ელაპარაკა:**

## გურულების არჩევანი არც დაკანონებულა, არც გაბათილებულა

- სინამდვილეში, საარჩევნო ყრილობა მართლაც ჩაიშალა და დღევანდელი მონაცემებით, 10 დეკემბრისთვის გადაიდო. ყველას მოეხსენება, ბოლო ყრილობა როგორი დარღვევებითაც ჩატარდა და მისი დაკანონება არ შეიძლებოდა. დელეგატების უმრავლესობა ყველაფერს მიხვდა და უპრეცედენტო ამბავი მოხდა - 7 დელეგატიდან ყრილობას უმრავლესობა არ დაესწრო. წარმოიდგინეთ, ერთი დელეგატი წარმოადგენდა საფეხბურთო სკოლას, რომელიც აღარ არსებობს, ლანჩხუთის „გურია" კი ხმის გარეშე დატოვეს. ამ არჩევნებს გავასაჩივრებთ, რაც ყრილობაზე მოსულ სფფ-ს გენერალურ მდივანს, რევაზ არველაძესა და სფფ-ს იურისტ კესო ჩხიკვაძეს ვუთხარით კიდეც. ისინი დაგვთანხმდნენ, რომ დარღვევები იყო, სუბიექტები არასწორად იყვნენ წარდგენილები და რომ არჩევნები ხელახლა უნდა ჩატარდეს. ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია.

**- გურია ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი კუთხეა, საფეხბურთო სამყაროში ერთმანეთს ყველა იცნობთ. ნუთუ, საერთო ენის გამონახვა შეუძლებელია?**

- ჩვენ ამ ყველაფერს ვითვალისწინებთ, რადგან ყველაზე მთავარია, საკუთარ თავთან მართლები ვიყოთ და ხვალ ერთმანეთს რომ შევხვდებით, სახე არ ავარიდოთ. მე არც კახა ებრალიძესთან მაქვს პიროვნული დაპირისპირება. თუ დამიჯერებთ, ურთიერთობები არ დაგვძაბვია და ხაზგასმით ვამბობ, რომ მასთან ადამიანურ ზღვარს არ გადავსულვარ და პირადად კახასთან პრეტენზია არც მაქვს. უბრალოდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ არჩევნები სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარდეს. თუ ებრალიძე ასეთ პირობებში გაიმარჯვებს, არჩევას პირველი მე მივულოცავ.



გია ჩხაიძე

**- „გურიას" განცხადებაში წერია, რომ ბოლო დროს დატრიალებული მოვლენები კითხვებს აჩენს. რომელ მოვლენებზეა ლაპარაკი?**

- ქართულ ფეხბურთში რაღაც პროცესები დაიწყო. გაუგებარი იყო არა მხოლოდ გრფფ-ს არჩევნებზე, არამედ, პარალელურად, ფუტსალის ასოციაციის არჩევნებისას მომხდარი ამბებიც. ლევან ცქიტიშვილის გადაყენება სურთ, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო და წესი აქვს. ისეც არ უნდა ქნან, რომ ყველაფერს ხაზი გადაუსვან.

■ ■ ■

რა ხდება სინამდვილეში გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებზე და დაარეგისტრირეს თუ არა სფფ-ში ყრილობის შედეგები? დავადგინეთ, რომ გრფფ-ის იმ წევრებმა, ვინც ყრილობაში არ მონაწილეობდა, სფფ-ში წერილი შეიტანეს და არჩევნების შედეგების გაუქმება მოითხოვეს. მაგრამ ჯერ ეს საქმე იმდენად არეულია, სფფ-ს ბევრი რამ აქვს მოსაფიქრებელი. ისიც უცნობია, საკითხს ალმასკომი განიხილავს თუ არა - ამას გრფფ-ის დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ შევიტყობთ. ასე რომ, ყრილობის შედეგები ჯერ არც დაკანონებულა და არც გაბათილებულა.

**მერაბ მამულაშვილი**

იუბილე



# ვანის სულორი 65 წლისაა

ვეტერანთა მატჩის მონაწილეები — დემიკო ლოლაძის ფოტო

საქართველოს იმ საფეხბურთო კლუბებს შორის, რომლებმაც სახელოვანი გზა განვლეს და დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ფეხბურთის განვითარებაში ღირსეულადაა წარმოდგენილი ვანის „სულორი", რომელსაც არსებობის 65 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღი 14 ნოებერს, ულამაზესი საფეხბურთო ზეიმით აღინიშნა ვანის, გრიშა ნიკოლეიშვილის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრის, ვანის „სულორის" ვეტერანი ფეხბურთელის **დათო ლორთქიფანიძის** თაოსნობით და ორგანიზებით ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ თბილისის „დინამოს" ლეგენდარული ფეხბურთელები. თვით დათო ლორთქიფანიძის მეგობრებისგან შემდგარმა სტუმრებისა და „სულორის" ვეტერანმა ფეხბურთელებმა საინტერესო მატჩი შესთავაზეს სტადიონის ტრიბუნებზე შეკრებილ 2000-ზე მეტ სხვადასხვა თაობის ფეხბურთის გულშემატკივარს.

„დინამოს" შემადგენლობაში თამაშობდნენ **რეზო ძოძუაშვილი, მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები, ლევან ნოდია, კახა კაჭარავა, მამუკა აბუსერიძე, ბადრი კვარაცხელია, გოჩა ჩიქოვანი;** „სულორში" - **თემურ სულაბერიძე, როსტომ კიკაბიძე, დავით პაიკიძე, გიზო ბრევაძე, ლაზარე კაპატაძე, ბეჟან ცქიტიშვილი, ჯიმშერ ვერულაშვილი...**

მატჩის დაწყების წინ სიტყვით გამოვიდნენ დათო ლორთქიფანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, რეზო ძოძუაშვილი... პატივი მიაგეს ვეტერანი ფეხბურთელების ხსოვნას, მადლობა გადაუხადეს მატჩზე მოწვეულ ვეტერან ვანელ ფეხბურთელებს, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს „სულორის" ისტორიაში - **ზაურ ლორთქიფანიძეს, აჩიკო კორძაძეს, თამაზ ნიკოლეიშვილს, ოთარ ლორთქიფანიძეს,** განსაკუთრებით **თემურ ავალიანს და ლაშა ბუბაშვილს.**

მეგობრული მატჩი 4:4 დამთავრდა. ბურთები გაიტანეს კახა კაჭარავამ (2), მანუჩარ მაჩაიძემ და ლევან ნოდიამ, „სულორიდან" თემურ სულაბერიძემ (2) და დათო ლორთქიფანიძემ (2).

**„ლელოს კორ.**
ვანიდან

I ლიგა. XI ტური

**B ზონა**

**ჭიათურა-სტუ**

13.11. ჭიათურა. თ. მაღრაძე. 100 მაყურებელი

1:0 დ. ციცხვაია (41), 2:0 გ. ბარბაქაძე (59), 3:0 დ. ციცხვაია (82), 3:1 გ. თვალავაძე (90)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, თ. ხარებავა, ი. ტყებუჩავა (71. ი. ზაბახიძე), გ. ქირია (85. გ. კაპანაძე), გ. მეცხოვრიშვილი, ლ. ცუცქირიძე, ნ. გაფრინდაშვილი, გ. ბარბაქაძე, ზ. ხაჭიპერაძე (80. ლ. კუჭაშვილი), დ. სევასტოპულო, დ. ციცხვაია.

*სათადარიგოები: ა. ბაბლიძე, ბ. ბარბაქაძე, ი. სარალიძე, ზ. ჯაფარიძე*

მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი

სტუ: ა. ბილიხოძე, ნ. ბინკინაშვილი (86. ა. ლაცაბიძე), ზ. ჭავჭავაძე, დ. ქიმერიძე, გ. ჩიკვაიძე, ო. გაგნიძე, ი. გოგატიშვილი. კ. კახაბრიშვილი, ლ. ჯიქიძე, გ. ჩუბინიძე (78. გ. თვალავაძე), ვ. რობაქიძე (80. მ. გოგატიშვილი).

*სათადარიგოები: გ. ვაშაკიძე, ნ. გოგიშვილი, ნ. მაღრაძე, რ. მამფორია*

მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი

გაფრთხილება: თ. ხარებავა, გ. ბარბაქაძე - ზ. ჭავჭავაძე, მ. გოგატიშვილი

არბიტრი: თ. ხუჭუა

**დილა 2 - კოლხეთი (ხ) 3:0**

13.11. გორი. ქართლი. 100 მაყურებელი

1:0 ც. ქებურია (45), 2:0 ც. ქებურია (60), 3:0 ც. ქებურია (84)

დილა 2: ბ. შეყრილაძე, კ. ლალანიძე, გ. გაგნიძე, გ. კაშია, მ. აფხაზავა, გ. კვარაცხელია (77. ნ. გაბელია), გ. გაფრინდაშვილი, ლ. ქოჩლაძე (46. ი. ბერიძე), ც. ქებურია, კ. მელაშვილი (88. გ. ჯაყელი), გ. ბერიძე.

მწვრთნელი: გუბაზ დოლიძე

კოლხეთი (ხ): ზ. გელაშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია, გ. ლომაია, დ. ჭითანავა, ლ. ვართაგავა, ც. ბუკია, კ. გოგენია (74. გ. ბუცხრიკიძე), ვ. ფირცხელავა, გ. პაჭკორია, ი. გერგაია (70. პ. გაბრავა).

*სათადარიგოები: ლ. ქაშიბაძე, ლ. ჭურღულია*

მწვრთნელი: ლევან ნოდია

გაფრთხილება: ც. ქებურია, გ. გაგნიძე - ო. ფიფია, ც. ბუკია, გ. პაჭკორია, ი. გერგაია, პ. გაბრავა, გ. ბუცხრიკიძე

არბიტრი: გ. ავაზაშვილი

**ბეთლემი-ლოკომოტივი 1:0**

13.11. ქედა. ცენტრალური. 200 მაყურებელი

1:0 გ. კახიანი (13)

ბეთლემი: ა. მაქაცარია, ლ. ნინიკაშვილი, ი. ნაჭყებია, ლ. ქანთარია, ე. ერქომაიშვილი, ბ. ჯუგაშვილი, გ. კახიანი, ი. ბარამიძე, გ. შაველიძე, ბ. კახიძე, გ. ქობალია.

*სათადარიგოები: ა. ფარტენაძე, გ. ნათენაძე, ჯ. გორგაძე, მ. აბულაძე, მ. ბერიძე*

მწვრთნელი: ემზარ იმნაძე

ლოკომოტივი: გ. თებიძე, გ. მაკასარაშვილი, ლ. რეხვიაშვილი, ნ. ნივნივაძე, ლ. ცნობილაძე, დ. მიქავა (67. გ. ნიკვაშვილი), გ. ბაქრაძე, ა. რეხვიაშვილი (60. ც. მესხი), გ. თედიაშვილი, გ. დუმბაძე, გ. არაბიძე (75. გ. კიკნაძე).

*სათადარიგოები: ბ. საჯაია, გ. ლვინაშვილი, გ. გურეშიძე, ო. პატარკაციშვილი*

მწვრთნელი: გია ცეცაძე

გაფრთხილება: ბ. კახიძე - გ. ბაქრაძე, ლ. რეხვიაშვილი

გაძევება: ლ. რეხვიაშვილი

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

**სამტრედია-სულორი 5:2**

13.11. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. 300 მაყურებელი

1:0 გ. ერისთავი (32), 2:0 გ. ერისთავი (44), 2:1 დ. ივანიაძე (59), 3:1 თ. კიკაბიძე (62), 4:1 გ. გურეშიძე (73), 4:2 გ. ნიკოლეიშვილი (85), 5:2 ა. ბაგაშვილი (89)

სამტრედია: მ. მუჯრიშვილი, თ. კაკუშაძე, გ. მემარნიშვილი, მ. ჟვანია, ბ. გედენიძე, თ. კიკაბიძე, გ. თურმანიძე, ლ. ბაკურაძე, ლ. ჩალაძე, გ. გურეშიძე (77. ა. ბაგაშვილი), გ. ერისთავი.

*სათადარიგოები: გ. გოგიტაძე, გ. ხვედელიძე, ი. გამრეკლიძე, შ. ბაბუნაშვილი, ს. გოგია, ნ. ბანძავა*

მწვრთნელი: უჩა სოსიაშვილი

სულორი: დ. ხურციძე, ბ. ბელექანია, ა. ქებულაძე, ა. როხვაძე, დ. გაგნიძე, გ. ბრეგვაძე (66. გ. თევზაძე), გ. ნიკოლეიშვილი, მ. ნაფეტვარიძე (46. გ. ბალდავაძე), დ. ივანიაძე, ბ. სულაბერიძე, თ. მატარაძე (57. ნ. გიორგაძე).

*სათადარიგოები: ა. მაღლაკელიძე, თ. მაღლაკელიძე*

მწვრთნელი: გიზო ბრეგვაძე

არბიტრი: შ. ქუხილავა

**ბახმარო-სამგურალი 1:1**

13.11. ჩოხატაური. ბ. პაიჭაძე. 300 მაყურებელი

1:0 ხ. დიდია (51), 1:1 ლ. თენაძე (90-საკ. კარში)

ბახმარო: ლ. ძნელაძე, ჯ. ლოლუა, პ. ანტვეე (75. გ. ფალავა), დ. სიხარულიძე, გ. შათირიშვილი (65. ლ. თენაძე), კ. კალანდაძე, გ. ჟღენტი, ა. შონია, ლ. ნაკაიძე, მ. გიორგაძე, ხ. დიდია (82. ს. გიორგაძე).

*სათადარიგოები: გ. ჭანიშვილი, მ. ახობაძე, თ. ბაზლაძე, ვ. პარასკევაშვილი*

მწვრთნელი: ბესო გიორგაძე

სამგურალი: ი. კუჭუხიძე, ზ. ჩხეტიანი (60. ა. მეტონიძე), თ. შალიკაშვილი, ზ. სალინაძე (63. გ. ხარაბაძე), თ. ჯანაშია, უ. ბანძელაძე, ი. ხვადაგიანი (52. მ. ჩხარტიშვილი), გ. ამბროლაძე, ლ. ყიფიანი, გ. ბუხაიძე, ა. ფანცხავა.

*სათადარიგოები: ბ. ბიბილაშვილი, ბ. ფანცხავა, ლ. ხაჭაპურიძე, თ. ბრეგვაძე*

მწვრთნელი: გიორგი გოგიაშვილი

გაფრთხილება მ. გიორგაძე, ლ. ნაკაშიძე - მ. ჩხარტიშვილი

გაძევება: მ. ჩხარტიშვილი

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

**მაჭახელა-დინამო (ბთ) 0:0**

13.11. ხელვაჩაური. ცენტრალური. 1000 მაყურებელი

მაჭახელა: შ. მამინაშვილი, დ. ბერუაშვილი, ლ. რამიშვილი, ლ. ხოხონიშვილი, ა. ლაბაძე, ზ. ანანიძე, ნ. შონია, ი. კუტალია (53. ა. ლორია), დ. დოლიძე (65. ნ. ქორიძე), ს. დუმბაძე, მ. დავითაძე (72. გ. გოგიტიძე).

*სათადარიგოები: კ. აკმელი, გ. მალაყმაძე, ი. ლოლობერიძე, ლ. კალანდაძე*

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

დინამო (ბთ): მ. ალავიძე, ვ. ქორიძე, ს. თოდუა, ბ. ტეტუნაშვილი, კ. მაკარიანი, ბ. ვარშანიძე, მ. ჟვანია (46. ა. მუჯირი), გ. მანწკავა, ი. ჩირიკაშვილი (46. ვ. თევდორაძე), გ. კვერენჩხილაძე, ბ. ჩიმაკაძე (70. თ. ბერიძე).

*სათადარიგოები: ა. აბუსელიძე, ბ. მახარაძე, ს. ჭილვარია, ი. პიცანი*

მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი

გაფრთხილება: ზ. ანანიძე, გ. გოგიტიძე - გ. მანწკავა, ბ. ტეტუნაშვილი, ს. თოდუა

გაძევება: ვ. ქორიძე

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

სასკო-საბურთალო გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 11 | 9 | 1 | 1 | 21-6 | 28 |
| 2. ჭიათურა | 11 | 8 | 1 | 5 | 18-11 | 25 |
| 3. მაჭახელა | 11 | 7 | 3 | 1 | 18-5 | 24 |
| 4. დინამო (ბთ) | 10 | 7 | 1 | 2 | 17-8 | [illegible] |
| 5. სამგურალი | 11 | 5 | 3 | 3 | 23-17 | 18 |
| 6. ბეთლემი | 11 | 5 | 1 | 5 | 15-13 | 16 |
| 7. დილა 2 | 11 | 4 | 2 | 5 | 15-21 | 14 |
| 8. სასკო | 10 | 4 | 1 | 5 | 15-12 | 13 |
| 9. საბურთალო | 9 | 3 | 2 | 4 | 13-13 | 11 |
| 10. სტუ | 11 | 3 | 1 | 7 | 20-24 | 10 |
| 11. ლოკომოტივი | 11 | 3 | 1 | 7 | 13-18 | 10 |
| 12. კოლხეთი (ხ) | 11 | 2 | 3 | 6 | 9-24 | 9 |
| 13. ბახმარო | 11 | 0 | 6 | 5 | 9-20 | 6 |
| 14. სულორი | 11 | 1 | 2 | 8 | 5-19 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გიორგი ერისთავი (სატრედ) | 8 |
| ლევან ყიფიანი (სამგურალი) | 7 |
| გივი ბაქრაძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გიორგი ბუხაიძე (სამგურალი) | 6 |
| ლევან ჯიქიძე (სტუ) | 6 |
| დავით ციცხვაია (ჭიათურა) | 6 |

**მომდევნო ტური**

**20 ნოემბერი**

ლოკომოტივი-კოლხეთი (ხ)
სულორი-დილა 2
საბურთალო-სამტრედია
სტუ-სასკო
სამგურალი-ჭიათურა
დინამო (ბთ)-ბახმარო
ბეთლემი-მაჭახელა

**II ლიგა**

**აღმოსავლეთი ზონა. X ტური**

| | |
|---|---|
| რუსთავი-არაგვი | 1:5 |
| დინამო (სხ)-ბორჯომი | 0:3 |
| დურუჯი-ივერიონი | 3:1 |
| გოლიადორი-ივერია | 3:1 |
| მარკ სტარი-ფორვარდი | 4:0 |
| აბული-ალაზანი | 3:2 |
| საქ. უნივერსიტეტი-სასკო 2 | 4:0 |
| იბერია-ლიახვი | 2:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორჯომი | 10 | 8 | 2 | 0 | 33-5 | 26 |
| 2. მარკ სტარი | 10 | 8 | 0 | 2 | 44-8 | 24 |
| 3. საქ. უნივერს. | 10 | 7 | 1 | 2 | 35-13 | 22 |
| 4. ლიახვი | 10 | 6 | 4 | 0 | 23-10 | 22 |
| 5. ივერია | 10 | 7 | 1 | 2 | 27-16 | 22 |
| 6. გოლიადორი | 10 | 6 | 0 | 4 | 30-21 | 18 |
| 7. არაგვი | 10 | 4 | 4 | 2 | 23-18 | 16 |
| 8. ივერიონი | 10 | 3 | 4 | 3 | 15-15 | 13 |
| 9. დურუჯი | 10 | 4 | 1 | 5 | 11-13 | 13 |
| 10. აბული | 10 | 4 | 1 | 5 | 13-17 | 13 |
| 11. ალაზანი | 10 | 3 | 3 | 4 | 16-22 | 12 |
| 12. დინამო (ს) | 10 | 2 | 1 | 7 | 12-30 | 7 |
| 13. იბერია | 10 | 2 | 1 | 7 | 12-37 | 7 |
| 14. რუსთავი | 10 | 2 | 0 | 8 | 15-44 | 6 |
| 15. ფორვარდი | 10 | 1 | 1 | 8 | 6-25 | 4 |
| 16. სასკო 2 | 10 | 1 | 0 | 9 | 6-27 | 3 |

ლეგიონერი

## ამისულაშვილი, თანაგუნდელზე მზრუნველი ლიდერი

ბელარუსის ნაკრების ნახევარმცველი **სტანისლავ დრაგუნი** „კრილია სოვეტოვში" წლეულს, მინსკის „დინამოდან" გადავიდა. აქედან გამომდინარე, ბელარუსული მედია სამარულ კლუბს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, რადგან დრაგუნის გარდა, „კრილიაში" ბელარუსის ნაკრების კიდევ სამი წევრი თამაშობს. მინსკის „დინამოს" ვებგვერდმა დრაგუნს ინტერვიუ ჩამოართვა. ბელარუსმა ფეხბურთელმა „კრილიაზე", მის ლიდერებზე ილაპარაკა და საქართველოს ნაკრების ვიცე-კაპიტანი **ალეკო ამისულაშვილი** სწორედ ამ დროს ახსენა.

*„გუნდს სამი ლიდერი ჰყავს - ჩვენებური სერგეი კორნილენკო, რუსლან აჯინჯალი და ალეკო ამისულაშვილი. ისინი გამოცდილები არიან და გვერდში გვიდგანან. აჯინჯალი თითქმის მთავარი მწვრთნელის ასაკისაა. ისინი ყველაფერში მეხმარებიან, რჩევებს მაძლევენ, როგორც მოედანზე, ისე ცხოვრებისეულ საკითხებში", - ამბობს დრაგუნი.*

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი

# მორატის ეპოქის დასასრული

## ინტერს ახალი პრეზიდენტი ჰყავს



დირექტორთა საბჭოს სხდომის შემდეგ

გუშინ „ინტერის" დირექტორთა საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელსაც **მასიმო მორატი** და **ერიკ ტოჰირი** დაესწრნენ, ანუ კლუბის ყოფილი და ახალი პრეზიდენტები. საბჭოზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრეზიდენტის პოსტზე მორატის დარჩენა-არდარჩენის საკითხი გახლდათ... სენიორ მასიმომ წასვლა გადაწყვიტა და თავისი ადგილი კლუბის ახალ მფლობელს, ერიკ ტოჰირს დაუთმო. შეგახსენებთ, რომ ინდონეზიელმა ბიზნესმენმა კლუბის აქციათა 70% იყიდა და მორატის 250 მილიონი ევრო გადაუხადა. მასიმო მორატი „ინტერის" საპატიო პრეზიდენტი იქნება და ახალი მმართველებისთვის არც რჩევა-დარიგებებს დაიშურებს. „ინტერში" მორატის ეპოქის დასასრულს ბევრი ჟურნალისტი, ექსპერტი თუ საფეხბურთო მოღვაწე გამოეხმაურა. ქვემოთ მოკლე კომენტარებს გავეცნოთ:

**კლაუდიო ლოტიტო** („ლაციოს" პრეზიდენტი): *„გული დამწყდა, როდესაც მასიმო მორატიმ ერიკ ტოჰირთან საბოლოო შეთანხმებას მიაღწია და კლუბი გაასხვისა. იმედი მაქვს, ახალი მფლობელიც ისევე გულით მიუდგება საქმეს, როგორც ამას მასიმო აკეთებდა. მორატიმ შექმნა ახალი კულტურა იტალიურ ფეხბურთში, ის ნამდვილი ჯენტლმენია და მინდა ყველაფერში წარმატებები ვუსურვო".*

**ჯანკარლო აბეტე** (ფედერკალჩოს პრეზიდენტი): *„მასიმო მორატი იმ იშვიათ საფეხბურთო მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ყველაზე რთულ ვითარებაშიც ინარჩუნებენ სიმშვიდეს. „ინტერის" ახალ მესვეურებს მორატის კონსულტაციები აუცილებლად დასჭირდებათ, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული".*

**ჯუზეპე ბერგომი** („ინტერის" ყოფილი კაპიტანი): *„მასიმო მორატის უდიდესი მადლობა ეკუთვნის ყველაფერ იმისთვის, რაც გააკეთა. ჩემთვის ის ყოველთვის პრეზიდენტი იქნება და ჩემთვის „ინტერი" ყოველთვის მასთან იქნება ასოცირებული".*

### ბურდისო ინტერსაც სურს

საკლუბო ფეხბურთში ზამთრის პაუზა ახლოვდება და იტალიურ სპორტულ პრესაში სულ უფრო ხშირად საუბრობენ სატრანსფერო სიახლეებზე. ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პერსონა „რომას" ცენტრალური მცველი **ნიკოლას ბურდისოა**, რომელიც ვერ ხვდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში და წასვლაზე უჭირავს თვალი. მიმდინარე სეზონში, „რომას" დაცვის ხაზი ბრწყინვალედ ირჯება, ცენტრში კი **ლეანდრო კასტანი** და **მეჰდი ბენატია** პრაქტიკულად უშეცდომოდ ირჯებიან. ისეთ მაღალკვალიფიციურ მცველს, როგორიც ბურდისოა, მთხოვნელები ნამდვილად არ მოაკლდება და ეს უკვე ჩანს კიდეც...



ნიკოლას ბურდისო

გასულ კვირაში ბურდისოს გადაბირების სურვილი „მილანის" მესვეურებმა გამოთქვეს, ამჯერად კი წინა პლანზე „ინტერის" ვარიანტი წამოვიდა. მილანელები მზად არიან, „რომას" **ზდრავკო კუზმანოვიჩი** დაუთმონ, სანაცვლოდ, დედაქალაქიდან ნიკოლას ბურდისო და **მარკინიო** წაიყვანონ. განსაკუთრებული აქცენტი მაინც ბურდისოზე კეთდება, რომელიც ადრე უკვე იცავდა „ნერაძურის" ღირსებას. აღნიშნული ინფორმაცია „ჯალოროსის" სპორტულმა დირექტორმა **ვალტერ საბატინიმ** დაადასტურა:

*„ბურდისოს გადაბირება არაერთ გუნდს სურს და მათ შორის არის „ინტერიც". ჩვენ არ გვსურს ნიკოლასის გაშვება, მაგრამ არ არის გამორიცხული თავად ფეხბურთელმა მოისურვოს გარემოს გამოცვლა. მიზეზი გასაგებია - „რომაში" მაღალი კონკურენციაა და ხშირად, სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. ვნახოთ, ყველა კითხვას უახლოეს მომავალში გაეცემა პასუხი".*

### კუზმანოვიჩი: რომა? - რატომაც არა...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მილანელები ნიკოლას ბურდისოს და მარკინიოს ნაცვლად, „რომას" ზრდავკო კუზმანოვიჩს სთავაზობენ. 26 წლის ბალკანელ ნახევარმცველს **ვალტერ მაცარი** ნაკლებად ენდობა, რაზეც სტატისტიკა ნათლად მეტყველებს - მიმდინარე სეზონში, კუზმანოვიჩმა მხოლოდ ორ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ექს-შტუდგარტელს „რომაში" გადასვლის საწინააღმდეგო არაფერი აქვს:

*„მილანში თბილად მიმიღეს და აქ თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ ჩემთვის უმთავრესი მაინც სათამაშო პრაქტიკაა. თუ ასე გაგრძელდა, კლუბის გამოცვლაზე აუცილებლად დავფიქრდები და წინადადებებსაც განვიხილავ. „რომა? - რატომაც არა... ამბიციური გუნდია, მაღალი მიზნებისთვის იბრძვის და ჩემი დასაწუნი არაფერი აქვს".*

### კამბიასო მაცარის აქებს

გასული სეზონი „ინტერმა" პირწმინდად ჩააგდო, რაზეც სერია A-ში დაკავებული მე-9 ადგილი ნათლად მეტყველებს. **ანდრეა სტრამაჩონის** ხელში გუნდი ნაწილებად დაიშალა და ლამის ყველასთან აგებდა, ვისთანაც შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა. ზაფხულში „ნერაძური" ვალტერ მაცარიმ ჩაიბარა და მყისვე დაატყო გუნდს თავისი ხელი. მიმდინარე სეზონში „ინტერი" არა მარტო ქულებს აგროვებს და მაღალი ადგილებისთვის იბრძვის, არამედ შესაშურ ფეხბურთს თამაშობს. გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, **ესტებან კამბიასოს** თქმით, უპირველესად ეს მთავარი მწვრთნელის, ვალტერ მაცარის დამსახურებაა:

*„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი წარმატებების მთავარი შემოქმედი ვალტერ მაცარია. მან ზუსტად იცის, რა უნდა ვაკეთოთ მოედანზე და თანაც, ამას ძალიან ადვილად, გასაგებ ენაზე გვიხსნის. თითოეულ ფეხბურთელს სათითაოდ ესაუბრება და ცდილობს, არც ერთი წვრილმანი დეტალი არ გამორჩეს. ჟოზე მოურინიოსთან ერთად, მაცარი საუკეთესო მწვრთნელია, ვისთანაც ოდესმე მიმუშავია. ვფიქრობ, მიმდინარე სეზონში მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ და ეს სწორედ მწვრთნელის დამსახურებაა".*

იტალიის ნაკრები



ჩეზარე პრანდელის მორგან დე სანქტისის ნაკრებში დაბრუნება სურს

# დაბრუნდება დე სანქტისი აძურაში?

სერია A-ს მიმდინარე გათამაშებას „რომა" ლიდერობს, რაშიც თავისი წონადი წვლილი 36 წლის გოლკიპერ **მორგან დე სანქტისს** მიუძღვის. თავად განსაჯეთ, მორგანმა 12 შეხვედრაში მხოლოდ 3 გოლი გაუშვა, 9 პაექრობაში კი კარი მშრალად შეინახა, ამასთან 744 წუთი გოლი არ გაუშვია. მოკლედ, დე სანქტისმა, ისევე როგორც მთელმა გუნდმა, საფეხბურთო ევროპა გააოცა. არადა, გამოცდილმა მეკარემ მარტში სანაკრებო კარიერის დასრულება განიზრახა და ამის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. მაშინ დე სანქტისმა იხუმრა კიდეც, **ჯანლუიჯი ბუფონი** კარიერის დასრულებას არ აპირებს და ჯობია, გზა ახალგაზრდებს დავუთმოო. მოკლედ, მორგანი „სკუადრა აძურას" დაემშვიდობა, მაგრამ **ჩეზარე პრანდელი** ამ ფაქტთან შერიგებას არ აპირებს - მივუსმინოთ იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს:

*„მორგან დე სანქტისი საოცარ სეზონს ატარებს, შესაძლოა საუკეთესოსაც კი ხანგრძლივ კარიერაში. შესაბამისად, დიდი სურვილი მაქვს, რომ გადაწყვეტილება შეცვალოს და ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდეს. ვფიქრობ, მას შეუძლია გახდეს მნიშვნელოვანი ფიგურა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე. მორგანი იმ იშვიათ მეკარეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც ბოლომდე შეგიძლია ენდო. მასთან დალაპარაკებას ვაპირებ და იმედია, გადაწყვეტილებას შეცვლის".*

დე სანქტისის არყოფნაში, ჯანლუიჯი ბუფონის მთავარი დუბლიორობისთვის **სალვატორე სირიგუ** და **ფედერიკო მარკეტი** ეცილებიან ერთმანეთს. თუ მორგანმა ნაკრებში დაბრუნება განიზრახა, ერთ-ერთს მუნდიალს მილმა მოუწევს დარჩენა.

მოსაზრება

# ურბი: პაუზამ სულზე მოგვისწრო

„მილანის" ჰოლანდიელი ლეგიონერი **ურბი ემანუელსონი** მიიჩნევს, რომ სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზა მის გუნდს კრიზისის დაძლევაში დაეხმარება. სანამ სიტყვას ურბის გადავცემდეთ, აღვნიშნოთ, რომ „როსონერის" საქმეები ცუდად მისდის, სერია A-ს მიმდინარე გათამაშების 12 ტურში მხოლოდ 13 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-10 ადგილი უკავია:

*„სეზონი საშინლად დავიწყეთ და ეს სატურნირო ცხრილზეც შესაბამისად აისახება. თითქოს ვიღაცამ დაგვთარსა და არაფერი გამოგვდის. თუმცა, იმედიანად ვართ განწყობილნი და გვჯერა, რომ კრიზისს მალე დავძლევთ. ამაში სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზაც დაგვეხმარება, რადგან ცოტას ამოვისუნთქებთ და შეცდომებს გავიაზრებთ. მახარებს ისიც, რომ მალე სტეფან ელ შაარავი და მატია დე შილიო გამოჯანმრთელდებიან - მათთან ერთად, გაცილებით უკეთ ვითამაშებთ. ასე რომ, სანაკრებო მატჩებმა სულზე მოგვისწრო".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ურბი ემანუელსონს სჯერა, რომ სანაკრებო პაუზის შემდეგ „მილანი" უკეთ ითამაშებს

სავარაუდო ტრანსფერი

# ფიორენტინა ჟულიო სეზარს მიუბრუნდა



ჟულიო სეზარმა კარიერის საუკეთესო წლები „ინტერში" გაატარა

მიმდინარე სეზონში, „ფიორენტინა" შესანიშნავად ასპარეზობს და სრულიად დამსახურებულად იბრძვის უმაღლესი მიზნებისთვის. გუნდი ყველა რგოლში ექსტრაკლასის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და კონკურენციაც ყველა რგოლში მაღალია - თუმცა, ბევრი თვლის, რომ „ვიოლას" გაცილებით უკეთესი მეკარე სჭირდება, ვიდრე ბრაზილიელი **ნეტოა**. როგორც ჩანს, ამ მოსაზრებას კლუბის მესვეურებიც იზიარებენ და ზამთრის სატრანსფერო პერიოდში, **ჟულიო სეზარის** გადაბირებას შეეცდებიან. 34 წლის ჟულიო სეზარი „ქუინზ პარკ რეინჯერსის" ღირსებას იცავს და ჯერ კიდევ ზაფხულში აცხადებდა, რომ იტალიაში დაბრუნების სურვილი აქვს.

„გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფლორენციელები გოლკიპერის სანაცვლოდ 5 მილიონ ევროს გაიღებენ, საბოლოო სიტყვა კი სწორედ ინგლისელების იქნება. მართალია, ბრაზილიის ნაკრების პირველი მეკარისთვის 5 მილიონი სასაცილო თანხად მოსჩანს, მაგრამ სეზარის ასაკიც არ უნდა დავივიწყოთ. მოკლედ, ტოსკანელები ჟულიოს გადაბირებას ლამობენ და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმისგან. აქვე, შეგახსენებთ, რომ „ვიოლას" მესვეურებს ბრაზილიელის გადაბირება ზაფხულშიც სურდათ, მაგრამ მაშინ, მოლაპარაკება ჩიხში შევიდა.

პორტრეტი

საფეხბურთო გერმანია რომან ვაიდენფელერის ბუნდესგუნდში გამოძახებას რვა წელი ითხოვდა

# დაუმთავრებელი ისტორია

## კაცი, რომელიც დაიჩაგრა, ოღონდ არავინ იცის რატომ...



**გერმანელი ექსპერტები, მწვრთნელები, ფეხბურთელები, ფანები და ჟურნალისტები დორტმუნდის „ბორუსიას“ მეკარე რომან ვაიდენფელერის გერმანიის ნაკრებში გამოძახებას რვა წლის განმავლობაში ითხოვდნენ და როგორც იქნა, რომანი ბუნდესგუნდშია. თუმცა ამით ისტორია არ მთავრდება. მეტიც: შესაძლოა, სწორედ ახლა იწყებოდეს.**

**რომან ვაიდენფელერისა** და გერმანიის ნაკრების დაუმთავრებელი ისტორია 2005 წლის გაზაფხულზე დაიწყო. იმ დროს რომანი დორტმუნდის „ბორუსიას“ ძირითადი მეკარე გახდა და რა თქმა უნდა, იმედი მიეცა, რომ გერმანიის ნაკრებშიც გამოიძახებდნენ და ცხადია, დაიწყო იმაზე ოცნება, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე ბუნდესგუნდის განაცხადში მოხვდებოდა.

**იოახიმ ლიოვი** იმხანად გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **იურგენ კლინსმანის** ასისტენტი იყო და ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ვაიდენფელერი „ვაიდენფელდერად“ მოიხსენია, მაგრამ რომანს ამის გამო პანიკა არ აუწევია: *„რა პრობლემაა? თუ 2006 წლის მუნდიალზე ვერ მოვხვდი, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მაინც მომეცემა შანსი, რადგან ბუნდესგუნდის მეკარეებში თაობათა ცვლის დრო მოდის,“* - აღნიშნა მაშინ ვაიდენფელერმა „ველტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

### კონკურენტი: შტეფან ვესელსი

ამ ისტორიის მომდევნო თავს ე.წ. „2006 წლის გუნდი“ გვიამბობს, რომელიც სწორედ 2006-ში, გერმანელებმა დროებით შექმნეს და მას პერსპექტიული ფეხბურთელების გუნდი დაარქვეს. ეს გერმანიის ნაკრების მეორე გუნდი, A ნაკრები გახლდათ, რომელშიც მეორეხარისხოვანი მოთამაშეების გამოცდა გადაწყდა, მაგრამ ვაიდენფელერი ამ გუნდშიც კი არ გამოიძახეს. თურქეთის მეორე ნაკრებთან ამხანაგური მატჩის წინ, 2005 წლის სექტემბერში, ვაიდენფელერმა უკვე ხმა აიმაღლა: *„უაღრესად იმედგაცრუებული ვარ, რომ ამ გუნდშიც კი არ გამომიძახეს!“* - აყვირდა რომანი.

იმ გუნდის მწვრთნელი **ერიხ რიუტემიოლერი** გახლდათ, რომელმაც მეკარის პოზიციებისთვის **სიმონ იენტცშსა** და **შტეფან ვესელსს** უხმო და თავისი არჩევანი დაიცვა კიდეც: *„ვესელსმა ბუნდესლიგის საწყის ტურებში ძალიან კარგად ითამაშა!“* - თქვა მან. ამ დროს ვაიდენფელერის მხარე მხოლოდ დორტმუნდელებს ეჭირათ - სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი** ამბობდა, დღეისათვის სხვა არც ერთი გერმანელი მეკარე არ ვითარდება ისე, როგორც ვაიდენფელერი და მიაჩნია, რომ რომანი მაქსიმუმ 2008 წელს მაინც უნდა გახდეს ბუნდესგუნდის პირველი ნომერიო. ცნობისათვის, შტეფან ვესელსი 2008 წელს „ოსნაბრიუკში“ თამაშობდა...

### რომანი საქართველოსთანაც კი არ გამოიძახეს

გერმანიის ნაკრების ხელმძღვანელების მიმართ კრიტიკამ იმატა, რაც იმხანად უკვე მთავარ მწვრთნელად დანიშნულმა იოახიმ ლიოვმა გულთან ახლოს მიიტანა და 2006 წლის სექტემბერში, საქართველოსა და სლოვაკეთის ნაკრებ გუნდებთან ტესტ-მატჩების წინ განაცხადა, დიდი შანსია, რომ ამ შეხვედრებისთვის ვაიდენფელერიც გამოვიძახოო. ლიოვმა იქვე დასძინა, რომ აუცილებლად უნდა ეკითხა აზრი გერმანიის ნაკრების მეკარეების მწვრთნელ **ანდრეას კიოპკესთვისაც** - ყველა მეკარეს კიოპკე აკვირდება და მათ თამაშს სწორედ ანდრეასი აანალიზებსო. როგორც ჩანს, კიოპკემ ლიოვს რომანზე კარგი არაფერი უთხრა - ვაიდენფელერი არც საქართველოსთან და სლოვაკეთთან ტესტ-მატჩებისთვის გამოიძახეს.

მომდევნო წლებში ვაიდენფელერის გერმანიის ნაკრებში გამოძახების თემა შედარებით მიწყნარდა. იმახანად, ბუნდესგუნდის პირველი მეკარე ჯერ კიდევ **იენს ლემანი** გახლდათ, მეორე ნომრად კი კიოპკემ და ლიოვმა **რობერტ ენკე** დაასახელეს. მერე ლემანი ნაკრებიდან წავიდა, ბუნდესგუნდის პირველი ნომრობის კანდიდატი ენკესთან ერთად, **ტიმ ვიზეც** გახლდათ, მაგრამ სულ მალე გერმანულ ფეხბურთში უნიჭიერესი გოლკიპერები, **მანუელ ნოიერი** და **რენე ადლერი** გამოჩნდნენ.

კიდევ ერთი შანსი ვაიდენფელერს 2009 წლის ზაფხულში უნდა მისცემოდა, როცა ვიზეს და ადლერს გერმანიის თასის ფინალში უნდა ეთამაშათ, ნოიერი 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე უნდა წასულიყო, ხოლო ენკეს კი „ჰანოვერთან“ ერთად, სავარაუდოდ რელეგაციაზე თამაში უწევდა. ვინ უნდა გაჰყოლოდა გერმანიის ნაკრებს აზიურ ტურნეში, თუ არა ვაიდენფელერი? მაინც არ გამოიძახეს.

### კიოპკე ნიკოლოვს აკვირდებოდა

სიტუაცია არც მომდევნო სეზონში შეიცვალა. რაც მთავარია, რომანი ისე იქცეოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო: ჩუმად იყო, ნაკრების თავკაცს არ აკრიტიკებდა და „დორტმუნდში“ სტაბილურად კარგად თამაშობდა. ადრე თუ გვიან, სადღაც 2009/2010 წლების სეზონში ვაიდენფელერი მიხვდა, რომ ეროვნულ გუნდში ლობისტი უნდა ჰყოლოდა - წინააღმდეგ შემთხვევაში შანსი არ მიეცემოდა. ძალიან ბევრი რამ იყო დამოკიდებული მეკარეების მწვრთნელ კიოპკეზე, რომელსაც, როგორც ჩანს, რომანი გულზე არ ეხატებოდა.

როცა რომანი მიხვდა, რომ ის და კიოპკე ვერასდროს დამეგობრდებოდნენ, უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა და მასაც შეუტია: *„თუკი სასწავლო წლის დასაწყისშივე ვიცი, რომელი მოსწავლე იქნება წლის ბოლოს საუკეთესო, გამოცდების ჩატარებას რა აზრი აქვს? ალბათ ამიტომაც დადის კიოპკე ოლა ნიკოლოვისა და იორგ ბუტის თამაშებზე!“* - კბილებში გამოსცრა ვაიდენფელერმა. კიოპკე მართლაც ვეტერანების, **ნიკოლოვისა** და **ბუტის** თამაშზე იყო იმ დროს, როცა პარალელურად ვაიდენფელერის „დორტმუნდი“ და ადლერის „ლევერკუზენი“ ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშობდნენ.

### დორტმუნდის აღმავლობამ ლიოვს სხვა შანსი არ დაუტოვა

დაუსრულებელი ისტორიის მომდევნო თავი უკვე „დორტმუნდის“ სენსაციურ აღმავლობას უკავშირდება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ვაიდენფელერის ნაკრებში გამოძახების თემაზე კომენტარი 2012 წელს თვით „ბაიერნის“ მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმაც** გააკეთა, რომელმაც თქვა: *„არც კი ვიცი, კიდევ რა უნდა გააკეთოს მაგ ბიჭმა ისეთი, რომ ნაკრებში გამოიძახონ. ნუთუ საკმარისი არ არის ის, რომ წლების მანძილზე სტაბილურად, მაღალ დონეზე თამაშობს და ზედიზედ ორჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი?“*

ჰაინკესის კომენტარს ლიოვი უპასუხოდ ვერ დატოვებდა, თუმცა მისი პასუხი ზედმეტად სწრაფი და ნაკლებად სენსაციური იყო: *„ვაიდენფელერი ჩემი სიიდან არასდროს ამომიშლია. ყველაფერი თავად რომანზეა დამოკიდებული,“* - აღნიშნა იოგიმ, ოღონდ არ დაუკონკრეტებია, მაინც რა იყო „ბორუსიას“ მეკარეზე დამოკიდებული.

ვაიდენფელერის გარშემო დისკუსიამ ხელახლა ცოტა ხნის წინ, ამ სეზონის დაწყების შემდეგ იფეთქა და როგორც ჩანს, ლიოვი მიხვდა, რომ სხვა შანსი აღარ ჰქონდა - იოგიმ თქვა, იტალიასთან და ინგლისთან თამაშებისთვის ვაიდენფელერს გამოვიძახებო.

### ჰეფი ენდი?

ახლა რომანი გერმანიის ნაკრებში გამოძახებულია - გუშინ, იტალიასთან არ ათამაშეს და იმედი აქვს, რომ მისი დებიუტი ბუნდესგუნდში ინგლისთან მაინც შედგება. ლიოვი მთელ ამ ისტორიაზე დღეს ასეთ კომენტარს აკეთებს: *„ჩვენ დავინახეთ, რომ რომანი დორტმუნდის „ბორუსიაში“ კარგად თამაშობს და ჩემპიონთა ლიგაშიც დიდი გამოცდილება შეიძინა და გვიხარია, რომ ბუნდესგუნდშია,“* - ასეთ სიტყვებს ხშირად ვერ გაიგებთ ისეთ ფეხბურთელზე, რომლის ნაკრებში გამოძახებას საფეხბურთო გერმანია 2005 წლიდან ითხოვდა.

რომან ვაიდენფელერი ჯერ კიდევ 2005 წელს ამბობდა, ჩემი დრო აუცილებლად მოვაო. ერთი ეგაა, რომ ბევრი დრო აღარ დარჩა - ვაიდენფელერი უკვე 33 წლისაა...

**გოტფრიდ ლენცი**

## ბრაზილია

### სერია A. XXXIV ტური

**სანტოსი-ბაია 3:0**

გოლები: 1:0 მონტილიო (37), 2:0 სისერო (66), 3:0 სისერო (71)

**ფლუმინენსე-ნაუტიკო 2:0**

გოლები: 1:0 ვაგნერი (17), 2:0 სამუელი (51)
გაძევება: ალისონი (78. ნაუტიკო)

**ატლ. მინეირო-ინტერნასიონ. 2:1**

გოლები: 1:0 ფერნანდინიო (38), 1:1 დალესანდრო (66-პენ), 2:1 ალექსანდრო (67)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კრუზეირო | 34 | 23 | 5 | 6 | 72-30 | 74 |
| 2. ატლ. პარანაენ. | 34 | 16 | 10 | 8 | 53-41 | 58 |
| 3. გრემიო | 34 | 16 | 9 | 9 | 38-33 | 57 |
| 4. გოიასი | 34 | 15 | 11 | 8 | 44-35 | 56 |
| 5. ბოტაფოგო | 34 | 15 | 9 | 10 | 46-38 | 54 |
| 6. ატლ. მინეირო | 34 | 14 | 10 | 10 | 41-31 | 52 |
| 7. ვიტორია | 34 | 14 | 9 | 11 | 50-48 | 51 |
| 8. სან პაულო | 34 | 14 | 7 | 13 | 37-35 | 49 |
| 9. სანტოსი | 34 | 12 | 12 | 10 | 45-35 | 48 |
| 10. კორინთიანსი | 34 | 11 | 15 | 8 | 27-20 | 48 |
| 11. ინტერნასიონ. | 34 | 11 | 12 | 11 | 50-49 | 45 |
| 12. ფლამენგო | 34 | 11 | 12 | 11 | 38-39 | 45 |
| 13. პორტუგეზა | 34 | 10 | 11 | 13 | 46-45 | 41 |
| 14. კორიტიბა | 34 | 10 | 11 | 13 | 38-42 | 41 |
| 15. კრისიუმა | 34 | 11 | 6 | 17 | 45-58 | 39 |
| 18. ფლუმინენსე | 34 | 10 | 9 | 15 | 37-42 | 39 |
| 16. ბაია | 34 | 9 | 12 | 13 | 32-42 | 39 |
| 17. ვასკო | 34 | 9 | 10 | 15 | 45-55 | 37 |
| 19. პონტე პრეტა | 34 | 9 | 7 | 18 | 34-50 | 34 |
| 20. ნაუტიკო | 34 | 4 | 5 | 25 | 20-70 | 17 |

ბომბარდირები: 17 - ედერსონი (ატლეტიკო პარანაენსე); 14 - ჟილბერტო (პორტუგეზა), ვილიამი (პონტე პრეტა), ერნანი (ფლამენგო); 13 - ფერნანდაო (ბაია); 12 - ვალტერი (გოიასი), დინეი (ვიტორია), ანდრე (ვასკო და გამა), სისერო (სანტოსი)

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

## რა ამბებია მონაკოში?

ფრანგული „მონაკო“ აგრძელებს ტრანსფერებზე ფიქრს და მეკარეს რომ ეძებს, არახალია. ერთ-ერთი კანდიდატი **ვიქტორ ვალდესია**, მეორე კი **რუი პატრისიო**, რომლისადმი ინტერესიც მონტეკარლოელებს ისევ გაღვივებიათ. ზაფხულში პორტუგალიის ნაკრების გოლკიპერში ფრანგები „სპორტინგს“ 10 მილიონ ევროს სთავაზობდნენ, მაგრამ ლისაბონელებმა 15 მოითხოვეს. ახლა კი მოლაპარაკებები ახალ ფაზაშია. პარალელურად, „მონაკო“ „ლიონიდან“ მოყვანილი **ანტონი მარტიალის** განათხოვრებას აპირებს. 17 წლის ფეხბურთელს აუცილებლად სჭირდება სათამაშო პრაქტიკა, მას ამ სეზონში მხოლოდ 16 წუთი აქვს ნათამაშები. ლიგა ერთის გუნდების გარდა აქტიურობს „იუვენტუსიც“, ტურინელებს იანვარში სურთ მარტიალის მინიმუმ ნახევარი წლით წაყვანა.

დაბოლოს, „მონაკოს“ მფლობელმა **დიმიტრი რიბოლოვლევმა** აღიარა, რომ თავიდან „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეძენაზე ფიქრობდა, მაგრამ... *„რატომ „მონაკო“? საცხოვრებლად აქ გადმოსვლა ყოველთვის მინდოდა, მაგრამ მეუღლე იყო წინააღმდეგი, ახლა კი, განქორწინების შემდეგ, ოცნება ავიხდინე. აქაურობა ყველაფრით მომწონს - კლიმატით, ცხოვრების დონით, გეოგრაფიული მდგომარეობით... ფეხბურთით კი 10 წლის წინ დავვაადდი, როდესაც „ჩელსის“ მატჩზე წავედი. ენითაღუწერელი ემოციები განვიცადე და მაშინ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეძენაზეც ვფიქრობდი“* - თქვა რიბოლოვლევმს.

## ფრანგული ფეხბურთის გაფიცვა გადაიდო

ფრანგულმა კლუბებმა გაფიცვა გადაიფიქრეს. მოგეხსენებათ, ლიგა ერთისა და ლიგა ორის 29 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე დაგეგმილი მატჩები არ უნდა გამართულიყო, რადგან ფეხბურთელები და ჩინოვნიკები ახალ კანონს აპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც ადამიანი, რომელსაც წლიური შემოსავალი მილიონ ევროზე მეტი აქვს, 75%-ით დაიბეგრება. ქვეყნის პრეზიდენტმა **ფრანსუა ოლანდმა** მკაცრად განაცხადა, რომ გამონაკლისი ფეხბურთელებს არ შეეხებოდათ. თუმცა ახლა მხარეებმა მოლაპარაკება განაახლეს და იმ იმედით, რომ მთავრობა გარკვეულ დათმობაზე წამოვა, გაფიცვაც გადაიდო.

## ბელუნის ყატარსტროფა

ყატარში გამომწყვდეული ფრანგი ფეხბურთელი **ზაჰურ ბელუნი** შველას ითხოვს. 33 წლის ბელუნიმ ღია წერილი მისწერა **ზინედინ ზიდანსა** და **ხოსეპ გვარდიოლას**. იგი უკვე ორი წელია ვერ ახერხებს ყატარის დატოვებას, რადგან კლუბმა „ალ-ჯიშაიშმა“ ხელფასი არ გადაუხადა და საქმე სასამართლოში გადავიდა, ხოლო ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო პროცესის დროს, მისი მონაწილე პირები ქვეყანას ვერ ტოვებენ, პროცესი კი დაუსრულებელია, **ფრანც კაფკას** ნაწარმოებისა არ იყოს.

*„ნამდვილი კოშმარი გადავიტანე და დიდ ფეხბურთელებს დახმარებას ვთხოვ. ამავენაირად იტანჯება კიდევ ათასობით ადამიანი. ვიცი, რომ ზიდანმა და გვარდიოლამ ყატარში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების იდეა მოიწონეს, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ტურნირის დასრულების მერე, ბევრ ადამიანს იგივე პრობლემა შეექმნება. ვთხოვ მათ, გამოიყენონ თავიანთი ავტორიტეტი და დამეხმარნონ, რომ ჩემი ვინმემ შეისმინოს“* - იწერება ბელუნი.

**გიორგი კაკაბაძე**

● ესპანეთის ნაკრები


ვისენტე დელ ბოსკე

# დელ ბოსკემ მოაწერა!

ესპანური „მარკას" ინფორმაციით, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების ამჟამინდელ მწვრთნელთან კონტრაქტი 2016 წლამდე გაახანგრძლივა. მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგი ექნება „ფურია როხას" მუნდიალზე, **ვისენტე დელ ბოსკე** ნაკრებში მუშაობას გააგრძელებს და გუნდს საფრანგეთში გასამართ ევრო 2016-ზეც დამოძღვრავს. ამ მომენტისთვის, 62 წლის სპეციალისტის ხელშეკრულებას ვადა მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე გასდის, მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელებს მუნდიალამდე მოცდა არ სურთ და გამოცდილი მწვრთნელის კიდევ ორი წლით დაბევება აქედანვე უნდათ.

შეგახსენებთ, რომ დელ ბოსკეს ხელმძღვანელობით ესპანეთმა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი და 2012 წლის ევროპის პირველობა მოიგო.

აქვე, ესპანეთის ნაკრების მიერ დელ ბოსკეს ხელში ნაჩვენებ შედეგებს შემოგთავაზებთ:

**ტიტულები**: მსოფლიოს ჩემპიონი (2010), ევროპის ჩემპიონი (2012)

**სულ**: 82 თამაში: 67 მოგება, 8 ფრე და 7 წაგება, ბურთების სხვაობა: 201-54

**ამხანაგურები**: 33 თამაში: 26 მოგება, 3 ფრე და 4 წაგება

**მუნდიალის შესარჩევი ეტაპი**: სულ 18 თამაში: 16 მოგება და 2 ფრე

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი**: სულ 8 თამაში: 8 მოგება

**მსოფლიოს ჩემპიონატი**: 7 თამაში: 6 მოგება და 1 წაგება

**ევროპის ჩემპიონატი**: 6 თამაში: 4 მოგება და 2 ფრე

**კონფედერაციათა თასი**: 10 თამაში: 7 მოგება, 1 ფრე და 2 წაგება

ესპანეთის ნაკრებმა დელ ბოსკეს ხელში მატჩების 81,7 პროცენტი მოიგო, ოფიციალურ შეხვედრებში კი 83,6%

„ფურია როხას" მწვრთნელებს შორის ეს საუკეთესო მაჩვენებელია. მეორე ადგილზეა **ლუის არაგონესი** - 72,2% (39 მოგება, 11 ფრე და 4 წაგება), მესამეზე - **ხოსე ანტონიო კამაჩო** - 65,9% (29 მოგება, 7 ფრე და 8 წაგება)

ასევე, ეს შედეგი საუკეთესოა მსოფლიოს ჩემპიონ მწვრთნელებს შორის:

1. ვისენტე დელ ბოსკე (ესპანეთი) - 81,7%
2. ვისენტე ფეოლა (ბრაზილია) - 73,2%
3. მარიო ზაგალო (ბრაზილია) - 71,4%
4. ლუიშ ფელიპე სკოლარი (ბრაზილია) - 69,2%
5. ემე ჟაკე (საფრანგეთი) - 67,9%

ალსანიშნავია, რომ ამ სიაში ბოლო ადგილზეა 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონის (არგენტინა) მწვრთნელი **კარლოს ბილარდო** - 37%.

**ტატო ბაციკაძე**

● მწვრთნელი

# არსებობს მხოლოდ ერთი ჟოზე მოურინიო

*„ამ სამყაროში მხოლოდ ერთი ჟოზე მოურინიო არსებობს, მაგრამ ჩემ შესახებ საუბარი ძალიან ბევრ ადამიანს სურს, მათ შორის ისეთს, ვინც საერთოდ არ მიცნობს,"* - განაცხადა **ჟოზე მოურინიომ** . იაპონურ ჟურნალ Sport Graphic Number-თან საუბრისას.


ჟოზე მოურინიო

„ჩელსის" მწვრთნელის თქმით, მადრიდის „რეალში" ყოფნისას მას **შინჯი კაგავას** შეძენა სურდა: *„მე მსურდა, რომ კაგავას „რეალში" ეთამაშა. ჩვენ მასთან ვისაუბრეთ და მე ვუთხარი, რომ ჩემი პირველი არჩევანი იოზილი იქნებოდა, რადგან არ მსურდა, რომ მისთვის რამე დამემალა. საბოლოოდ, კაგავამ „მანჩესტერ იუნაიტედში" არჩია გადასვლა, რადგან იფიქრა, რომ ინგლისში უფრო ხშირად ითამაშებდა".*

50 წლის სპეციალისტს ფეხბურთელებთან ურთიერთობის შესახებაც ჰკითხეს: *„თავისუფლად შესაძლებელია, რომ მწვრთნელი და შეგირდი მეგობრები გახდნენ. როდესაც „ჩელსიში" დავბრუნდი, ფრენკ ლამპარდს ვუთხარი, რომ ის უკვე 35 წლის იყო და მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებდა, თუ საუკეთესო ფორმაში იქნებოდა და კონკურენტებს აჯობებდა, მან კი მიპასუხა, რომ ძალიან დიდი ხანია მიცნობს და დარწმუნებული იყო, რომ ამას ვეტყოდი. თუ მწვრთნელს და ფეხბურთელს ერთმანეთის ესმით, მაშინ შეიძლება, რომ ისინი მეგობრებიც იყვნენ".*

ინტერვიუს ბოლოს კი პორტუგალიელმა იმ საინტერესო რიტუალზე ისაუბრა, რომელსაც ყოველი მატჩის წინ ატარებს: *„თამაშის წინ, ჩემს ოთახში ბიბლიის კითხვა მიყვარს. რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთ ან ორ თავს ვკითხულობ და ყოველთვის დადებით ხასიათზე ვდგები".*

**ტატო ბაციკაძე**

● მონაკო

# რანიერიმ ოქროს თევზი დაიჭირა

**ბოლო ფრანგული კლუბი, რომელმაც ჩეპიონთა ლიგაზე სერიოზულ წარმატებას მიაღწია, „მონაკოა". „ლუი მეორის" ბინადრები 2004 წელს ფინალში იყვნენ და სულ ცოტა დააკლდათ სრულ ტრიუმფამდე. მას მერე ბევრი დრო გავიდა, „მონაკომ" გავარდნაც მოასწრო და ხმაურიანი დაბრუნებაც. გუნდში ახალი ინვესტიციები ჩაიდო, ზაფხულში ტრანსფერებზე დაახლოებით 170 მილიონი ევრო დაიხარჯა და ბუნებრივია, შედეგის მოლოდინიც არის. წარმატებების მიღწევა კლაუდიო რანიერის ევალება, რომელმაც რა რა და, კლუბის აწყობა შესანიშნავად იცის, მაგრამ მერე უჭირს ხოლმე... და აი, კარგი სტარტის შემდეგ, თითქოს კლუბს კრიზისი ეწყება, მაგრამ იტალიელი სპეციალისტი პრობლემებს არ გაურბის და სირთულეებს არ უფრთხის.**


კლაუდიო რანიერი

## კრიზისის დასაწყისი

ორი ტურის წინ „მონაკომ" „ლილთან" პრინციპული მატჩი წააგო და მესამე ადგილამდე ჩამოქვეითდა. ეს გუნდის პირველი მარცხი იყო ჩემპიონატში და მიჯრით მეორე, თუ „რეიმსთან" ლიგის თასზე წაგებასაც დავუმატებთ. „ლუი მეორის" მკვიდრებმა ორივე შეხვედრა გასვლაზე დათმეს და სტუმრად თამაში ამჟამად მათ მთავარ პრობლემად ჩანს.

კლაუდიო რანიერი: *„პირველ ტაიმში რამდენიმე შეცდომა დავუშვით და მეტოქემ, რომელიც უფრო თავდაჯერებული იყო, ამით ისარგებლა. მეორე ნახევარში უკეთესად ვითამაშეთ, მაგრამ „ლილის" მეკარე ბრწყინვალე გახლდათ".*

## რანიერის არ ეშინია

ხსენებულ წაგებებს, „ევიანთან" საშინაო ფრე მოჰყვა, თანაც „მონაკო" ისე ცუდად გამოიყურებოდა, რომ მატჩის შემდეგ თავად რანიერიმ თქვა, მეტოქეს უნდა მოეგოო. შედეგად, მონაკოელები უკვე 5 ქულით ჩამორჩებიან ლიდერ პსჟ-ს და კრიტიკოსებიც უმალვე გამოჩნდნენ. თუმცა იტალიელს, რომელიც 27 წელია მწვრთნელად მუშაობს, არაფრის არ ეშინია და პირიქით, ისე საუბრობს, გეგონება უხარია კიდეც გუნდის სირთულეები და ძალით ცდილობს პრობლემების გაჩენასო...

*„ზოგჯერ ხალხს ფეხბურთი ცარიელი სტრესი ჰგონია, დიდი ზეწოლის გამო. არა! სტრესი მაშინ მაქვს, როცა უქმად ვარ, უმუშევრად. მიყვარს ჩემი საქმე და როცა ვმუშაობ ბედნიერი ვარ. ფსიქოლოგიური წნეხიც ნორმალურია, ამას მივეჩვიე და პირიქით, მაბალანსებს. აი, როდესაც თავისუფლად ვარ, არ მომწონს, ძალიან არ მომწონს"* - განმარტა მან.

## მიქსი

ლიგა 2-ის მოგების შემდეგ, რანიერის კონტრაქტი 2015 წლამდე გაუგრძელეს და თუ „მონაკომ" ძალიან არ აურია, გამოცდილ მწვრთნელს კიდევ დიდი ხანი ექნება ეს სამსახური. როგორც ჩანს, რუსი მილიარდერი დიმიტრი რიბალოვლევი იტალიელს ბოლომდე ენდობა და ფულსაც არ იშურებს, გუნდმა არაერთი ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა. რანიერიმ კი **რიბოლოვლევის** სახით „ოქროს თევზი" დაიჭირა, რომელიც მას სურვილებს უსრულებს, თანაც სამზე მეტს. ყველაფერი დიდებულად დაიწყო და ახლა პატარა ჩავარდნა კი არის, მაგრამ მონაკოელებს ისეთი შემადგენლობა ჰყავთ, წესით სირთულეები მალე უნდა დაძლიონ. ეს ერთგვარი მიქსი ანუ ახალგაზრდა ტალანტების გამოცდილ ფეხბურთელებთან შერწყმა გამართლებული გამოდგა. ზაფხულში გუნდმა 13 ახალი მოთამაშე დაიმატა და 22 გაყიდა ანაც გაანათხოვრა.

*„ასეთი სტარტი სიურპრიზიც კი იყო, რადგან გუნდის ერთ თვეში გაკეთება ადვილი არ არის. თუმცა მე ძალიან კარგი ფეხბურთელები მყავს. რაც შეეხება მიქსს, ეს ხელმძღვანელის იდეა იყო, და მეც ამ ფილოსოფიას მივყვები. გვინდოდა როგორც გამოცდილი ფეხბურთელების, ჩემპიონების მოყვანა, ასევე ნიჭიერი ახალგაზრდების. ამიტომაც გვყავს მაგალითად ერიკ აბიდალის, ჟერემი ტულალანის, რიკარდო კარვალიოს, ჟოაო მოუტინიოსა და რადამელ ფალკაოს დარი გამოცდილი მოთამაშეების პარალელურად - ლუკას ოკამპოსის, ჯეიმს როდრიგესის, იანიკ ფერეირა-კარასკოს, ჯეიმს როდრიგესის, ლეივინ კურზავასა და ფაბინიოსნაირი ნორჩი ტალანტები".*

## სამაგალითო კაპიტანი

**ერიკ აბიდალის** კაპიტნად დანიშვნა, ზოგმა რანიერის პოპულისტურ ნაბიჯად ჩათვალა, მაგრამ 34 წლის მცველმა დაამტკიცა, რომ მიუხედავად ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებთან ორწლიანი ომისა, მას მაღალ დონეზე თამაში ისევ შეუძლია და სამკლავურიც ეკუთვნოდა.

*„მინდოდა კაპიტანი ფრანგი ყოფილიყო, თანაც კარგი სახელით. აბიდალი უბრალოდ შეუდარებელია. ის გაუთავებლად შრომობს, როდესაც ვეუბნები, რომ საკმარისია და გასახდელისკენ წავიდეს, მპასუხობს - არა, არა, კიდევ მინდა ვარჯიში. იგი სხვა ფეხბურთელებისთვის სამაგალითო ფიგურაა"* - ამბობს რანიერი.

## უგულშემატკივრო სამოთხე

მონაკო დიდებული, ლამაზი ადგილია, მაგრამ პატარა და „ლუი მეორეზე" დასწრების პრობლემა ბუნებრივად აქტუალურია. თუმცა მწვრთნელი ამაში დამღუპველ პრობლემას ვერ ხედავს და პირიქით, კმაყოფილია გარემოთი.

*„მონაკო ფანტასტიკური ადგილია და თავად გახლავთ მოტივატორი. დასაწყისში ჩვენი მთავარი მიზანი ისეთი ფეხბურთელების პოვნა იყო, რომლებსაც გამარჯვება ენდომებოდათ თავისთვის, კლუბისთვის, პროექტისთვის... მივიჩნევ, რომ ეს შევძელით, რადგან გამარჯვება უნდა ანდრეა რაჯის, აბიდალს, მოუტინიოს, ტულალანს... ეს შემართება უნდა გადაედოთ ახალგაზრდა ფეხბურთელებს. რასაკვირველია, „მონაკოს" არც ისე ბევრი გულშემატკივარი ჰყავს, რადგან ადგილია საკმაოდ პატარა. ცხადია, ჯობია, როდესაც სტადიონი სავსეა და პუბლიკა გამხნევებს. თუმცა არა უშავს, ჩვენთან ნამდვილი სამოთხეა"* - განაცხადა რანიერიმ.

## მთავარი მიზანი

„მონაკოს" მთავარი მიზანი ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. ეს პროგრამა მინიმუმია, მაგრამ ნელ-ნელა ან პირდაპირ თუ ვიტყვით, მომავალი სეზონისთვის მოთხოვნები გაიზრდება და საფრანგეთის ჩემპიონობაც დადგება დღის წესრიგში. რანიერი არ ჩქარობს და ამბობს, რომ ეტაპობრივად ყველაფერი იქნება.

*„ჩვენზე და პსჟ-ზე ჯერ კიდევ წინა სეზონში დაიწყეს ლაპარაკი და ეს ნორმალურია, რადგან „მონაკოს" მართლაც აქვს სურვილი და პოტენციალი იმისა, რომ ამ დონეზე ავიდეს. თუმცა შეგახსენებთ, რომ ჩვენ ლიგა 2-დან ახლა ამოვედით, ხოლო პსჟ-ს პროექტი სამი წლის წინ დაიწყო. რა თქმა უნდა, მინდა პარიზელებთან ჭიდილი და ჩემპიონობისთვის ბრძოლა. ამ სეზონში ისინი შესაძლოა ცოტათი უფრო ჩემპიონთა ლიგაზე ფიქრობენ. ჩვენთვის კი სწორედ ლიგა ერთი და მომავალი სეზონისთვის ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა მთავარი"* - განაცხადა საუბრის ბოლოს რანიერიმ.

**გიორგი კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2014. ევროპა. პლეი ოფი


მატჩის ერთადერთი გოლი კრიშტიანო რონალდომ გაიტანა

# რონალდო VS იბრა 1:0

**პორტუგალია-შვედეთი 1:0**

გოლი: 1:0 რონალდო (82)

**პორტუგალია (4-3-3):** პატრისიო - პერეირა, ბ. ალვეში, პეპე, კოენტრაო - მოუტინიო, ველოზო, მეირელეში (79. ჟოსუე) — ნანი, პოშტიგა (66. უგო ალმეიდა), რონალდო.

**შვედეთი (4-4-2):** ისაკსონი - ლუსტიგი, ანტონსონი, ნილსონი, ოლსონი - კაჩანიკლიჩი, ელმი (72. ვერნბლოომი), ს. ლარსონი, კალსტრიომი (78. ა. სვენსონი) — იბრაჰიმოვიჩი, ელმანდერი (88. გერნდტი).

**არბიტრი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)

**გაფრთხილება:** პერეირა, ს. ლარსონი, რონალდო, ელმანდერი

**კუთხური:** 14-4 **ჯარიმა:** 10-12 **თამაშგარე:** 1-1 **კარში დარტყმა:** 12-5(3-1) **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 64 000

**საპასუხო მატჩი 19 ნოემბერს**

**ერიკ ჰამრენს** რაღაც მზაკვრული ჰქონდა ჩაფიქრებული და ამან კინაღამ გაჭრა. შვედებმა უფრო აგრესიულად დაიწყეს და ნახევრადმომენტებიც ჰქონდათ. ჯერ **იოჰან ელმანდერი** ცდილობდა გამწვავებას. მერე **სებასტიან ლარსონი** ლამობდა გატანას, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ეფექტური თამაშის შემდეგ. ეს ყველაზე სახიფათო ეპიზოდი და ამავდროულად მთელი მატჩი სტუმართა ერთადერთი ზუსტი დარტყმა გახლდათ, მაგრამ **რუი პატრისიომ** იყოჩაღა. მესამე მომენტი კი **კიმ კალსტრიომს** ჰქონდა, რომელმაც ცოტა ააცილა.

აქედან მოყოლებული, პორტუგალიელები დამშვიდდნენ, თამაში დაალაგეს და ნელ-ნელა მეტოქე მაქსიმალურად შეავიწროვეს. სადღაც 25-ე წუთიდან ბოლომდე თამაში თითქმის მთლიანად შვედების ნახევარზე მიდიოდა და ისიც ჩანდა, რომ მსგავსი ტაქტიკა თავად სტუმრებმაც აირჩიეს, ისინი ძალიან ფრთხილობდნენ და ეს გასაგებიცაა. 7-8 ფეხბურთელი მუდმივად საკუთარ საჯარიმოსთან ან საჯარიმოში იყო და ცდილობდნენ მასპინძლების შეტევები უკუეგდოთ. რაც ერთ კონკრეტულ მომენტამდე მშვენივრად გამოსდიოდათ, საუკეთესო **პერ ნილსონი** გახლდათ, რომელსაც შეცდომა ფაქტობრივად არ დაუშვია.

სკანდინავიელთა ბანაკში მატჩამდე ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ გოლის გატანა იყო ძალიან მნიშვნელოვანი და რადგან თავიდან ამის გაკეთება არ გამოვიდა, ხოლო მერე, პორტუგალიამ მეტოქე მარწუხებში მოაქცია, როგორც ჩანს, შვედები სრულად თავდაცვაზე გადაერთვნენ - ვერ გაგვაქვს, მაგრამ არ გავუშვათ მაინცო.

დრო გადიოდა და საქმეში ნელ-ნელა ნერვებიც ჩაერთო... ნიკოლა **რიცოლიმ** მოკლე მონაკვეთში ლარსონს, რონალდოს და ელმანდერს მისცა დასაშომშინებელი ყვითლები. მერე შვედებმა ჩვენი გაოცება გადაწყვიტეს და „სიმულაციის სამშობლოში" სიმულაციით მოინდომეს ფონს გასვლა - ერთ ეპიზოდში ელმანდერი მეტოქის საჯარიმოში თეატრალურად დაეცა და მალევე წამოხტა, თავადვე შერცხვა, თან გაყვითლებული რომ იყო, ესეც გაახსენდა. იქამდე კი, **მიკაელ ლუსტიგმა** გადაწყვიტა უკვე ძალიან ანერვიულებულ რონალდოსთან პატარა შეხლა-შემოხლა გაეფორმებინა და ხელი სახეზე იტაცა... რონალდომ მას მსგავსივე ჟესტიკულაციით გასცინა და ამას კიდევ ცალკე პატარა გარჩევა მოჰყვა.

შვედეთმა ველარ გაძლო. 82-ე წუთზე მიგელ ველოზომ მარცხენა ფლანგზე ჩაირბინა და საჯარიმოში მშვენივრად ჩააწოდა, პრინციპში დაბალი ბურთი გამოვიდა... კრიშტიანო რონალდო კი ჩვეულად შეფრინდა, შეიძლება ითქვას, რომ ფლანგიდან ცენტრში შემოწეულ მარტინ ოლსონს ფეხებში შეუვარდა და ამ ეფექტური თავურით თავისი გასაკეთებელი გააკეთა. დარტყმული ახლოდან იყო, ანდრეს ისაკსონი არაფერ შუაშია.

გულშემატკივრებმა, რომლებსაც „და ლუჟზე" დიდებული გარემო ჰქონდათ შექმნილი და გოლს ამდენ ხანს ელოდნენ ძალიან გაიხარეს, მაგრამ ყველაზე ბედნიერი თავად რონალდო იყო, რომლის გამომეტყველებიდან სიამაყე და სიხარული ერთობლივად გამოსჭვივოდა. მან დაამტკიცა! და ორგზის დაამტკიცებდა, სულ ცოტა ხანში მეორეც რომ შეეგდო, მაგრამ არ გაუმართლა - ხარიხა.

საერთოდ ბოლოს, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ შვედები გასწრებაზე იყვნენ. ცოტაც და პორტუგალია მეორესაც გაიტანდა. მთელ ამ ისტორიაში, ყველაზე უცნაური, მაგრამ არა მოულოდნელი - იბრაჰიმოვიჩის ოლიმპიური სიმშვიდე გახლდათ - ზლატანი ასეთია, ხანდახან იცის ხოლმე. ვნახოთ, რას იზამს იგი საპასუხო მატჩში.

რამდენიც არ უნდა ისაუბროს პორტუგალიელთა თავკაცმა **პაოლო ბენტომ** იმაზე, რომ ტურნირს კარგი გუნდი იგებს და არა ინდივიდუალურად რომელიმე გამორჩეული ფეხბურთელი და იდეაში, ძნელია არ დავეთანხმოთ... ფაქტია, ტურნირზე ვერ მოხვდები თუ ასეთი მატჩი ვერ მოიგე, ეს მატჩი კი „იმან" მოიგო.

მთლიანობაში, სანახაობრივი კუთხით შეხვედრამ სულ ცოტა გაგვიცრუა იმედები, მაგრამ მაღალი კლასის ფეხბურთი მაინც ვიხილეთ. ახლა კი, როდესაც პორტუგალია არც ისე საიმედო უპირატესობით ჩადის სოლნაში, ხოლო შვედეთს არაფერი და ამავე დროს ძალიან ბევრი აქვს დასაკარგავი... „ფრენდს არენაზე" არანაირი მეგობრობა არ იქნება - დიდ მატჩს ველით, მატჩს გოლებითა და ნერვების წყვეტით. ჯერი იბრაზეა.

**გიორგი კაკაბაძე**

# ფრანგები უფსკრულის პირას

**უკრაინა-საფრანგეთი 2:0**

**გოლები:** 1:0 ზოზულია (61), 2:0 იარმოლენკო (83-პენ)

**უკრაინა (4-2-3-1):** პიატოვი - ფედეცკი, კუჩერი, ხაჩერიდი, შევჩუკი - ედმარი (76. ბეზუსი), სტეპანენკო - იარმოლენკო, როტანი, კონოპლიანკა (92. გუსევი) - ზოზულია (86. სელეზნიოვი)

**საფრანგეთი (4-2-3-1):** ლორისი - დებუში, კოშიელნი, აბიდალი, ევრა - მატუიდი, პოგბა - რემი (62. სისოკო), ნასრი (80. ვალბუენა), რიბერი - ჟირუ (70. ბენზემა)

**გაფრთხილება:** შევჩუკი, ფედეცკი, კუჩერი - ჟირუ, სისოკო

**გაძევება:** კოშიელნი (90. საფრანგეთი), კუჩერი (90+4. უკრაინა)

**კუთხური:** 2-9; **ჯარიმა:** 24-20; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 8-8 (4-6); **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 67 732

**საპასუხო მატჩი 19 ნოემბერს**


ნასრი და საფრანგეთი გავარდნის პირას არიან

**საფრანგეთის** ნაკრებმა კიევში პირწმინდად წააგო და საპასუხო მატჩი წინ კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. **რიბერიმ** და კომპანიამ ორბურთიანი ჩამორჩენა უნდა აღმოფხვრან, წინააღმდეგ შემთხვევაში, 1994 წლის ჩემპიონატის შემდეგ პირველად, „სამფეროვნები" მუნდიალს მიღმა დარჩებიან.

უკრაინაც და საფრანგეთიც შეხვედრას სერიოზული დანაკლისის გარეშე შეხვდნენ. ორივე გუნდს ჯამში მხოლოდ ერთი ისეთი ფეხბურთელი აკლდა, რომელიც ძირითადის წევრად მოიაზრება - **დენის გარმაში** ტრავმირებულია. წყვილის ფავორიტად, რა თქმა უნდა, საფრანგეთის ნაკრები ითვლებოდა, თუმცა უკრაინამ მუნდიალის ეს შესარჩევი ეტაპი საკმაოდ კარგად ჩაატარა და მიუხედავად იმისა, რომ სლავები საკმაოდ ძლიერ ჯგუფში იყვნენ, მეორე ადგილზე გასულ გუნდებს შორის საუკეთესო შედეგი სწორედ **მიხაილ ფომენკოს** შეგირდებს ჰქონდათ.

პირთამდე სავსე „ოლიმპიისკიზე" გამართული მატჩის პირველი ტაიმი სანახაობრივი კუთხით საკმაოდ მოსაწყენი გამოდგა. ორივე გუნდი საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე მეტოქის მეკარის შეწუხებაზე. შეხვედრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მსგავსი სცენარი გასაკვირი არც იყო. მასპინძლები ფრანგების ყველაზე სახიფათო ფეხბურთელს, ფრანკ რიბერის საკმაოდ კარგად მეურვეობდნენ და „ბაიერნის" შემტევს გასაქანს არ აძლევდნენ. მიუხედავად ამისა, რიბერიმ რამდენჯერმე საკმაოდ კარგად ითამაშა და უკრაინელი გულშემატკივრებიც ანერვიულა. ყრუ დაცვაში არც სლავები ჩამდგარან, მაგრამ მომენტებამდე საქმე არ მიდიოდა. შედეგად, პირველი ტაიმი აბსოლუტურად ლოგიკური შედეგით, 0:0 დასრულდა.

მეორე ტაიმი გაცილებით ცოცხალი და სანახაობრივი გამოვიდა. უკრაინელებმა შეტევაში აშკარად მოუმატეს, რასაც ლოგიკური შედეგი მოჰყვა - **რომან ზოზულიამ** სტუმარი გუნდის მცველების შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. **დიდიე დეშამის** სამწყსომ ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ განსაკუთრებით გამოსარჩევი **ლორან კოშიელნის** საშინელი თამაში იყო. ლონდონის „არსენალის" ცენტრალურმა მცველმა საკუთარი გუნდი დაალალატა: 83-ე წუთზე, კოშიელნი საკმაოდ სულელურად მოიქცა და საჯარიმოში ზოზულია წააქცია, რასაც პენალტის დანიშვნა და უკრაინელთა მეორე გოლი მოჰყვა, რამდენიმე წუთში კი **კუჩერს** ხელი გაარტყა, რის გამოც წითელი ბარათი მიიღო. „მეთოფეთა" ცენტრალური მცველი საპასუხო შეხვედრას გამოტოვებს, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ფრანგებისთვის ასე სჯობდეს. დანაკლისი ფომენკოსაც ექნება - უკრაინას ორი მცველი, **ფედეცკი** და კუჩერი არ ეყოლება, რაც ლანჩხუთის „გურიას" ყოფილი მწვრთნელისთვის, მცირე რესურსიდან გამომდინარე, საკმაოდ სერიოზული პრობლემაა.

თავად შეხვედრა კი მასპინძლებს [illegible]დი ანგარიშით უნდა მოეგოთ, მაგრამ 2:0-ზე სლავებმა რამდენიმე ძალიან სახიფათო კონტრშეტევით ვერ ისარგებლეს. უკრაინამ საფრანგეთთან ისტორიაში მერვე თამაში გამართა და მეტოქის დამარცხება პირველად შეძლო, თუმცა ეს, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრაში გააკეთა.

**ტატო ბაციკაძე**

# სერიოზული უპირატესობა



**საბერძნეთი-რუმინეთი 3:1**

**გოლები:** 1:0 მიტროღლუ (14), 1:1 სტანჩუ (19), 2:1 სალპინგიდისი (20), 3:1 მიტროღლუ (66)

**საბერძნეთი (4-3-2-1):** კარნეზისი - ჰოლებასი, პაპასტატოპულოსი, ტოროსიდისი, მანიატისი (77. კარაგუნისი) - ციოლისი, სიოვასი, კაცურანისი (86. სამარისი) - მიტროღლუ (80. გეკასი), სალპინგიდისი - სამარასი

**რუმინეთი (4-4-2):** ლობონტი - გარდოში, გოიანი, რაცი, მატელი - ტანასე (87. მაქსიმი), კოჩიში, ბურჩეანუ (74. ლაზარი), ტორიე (75. გროზავი) - სტანჩუ, მარიკა

**გაფრთხილება:** სიოვასი, კაცურანისი - ბურჩეანუ, კოჩიში, გოიანი, ლაზარი, რაცი

**გაძევება:** ლაზარი (90. რუმინეთი)

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 7-17; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 8-7 (5-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 32 000

**საპასუხო მატჩი 19 ნოემბერს**

**საბერძნეთის** და რუმინეთის წყვილი ბევრს ყველაზე მოსაწყენად მიაჩნდა, მაგრამ პირეოსში გამართული მატჩის პირველი ტაიმი საკმაოდ შინაარსიანი და რაც მთავარია, უხვგოლიანი გამოვიდა. პირველ 20 წუთში მაყურებელმა სამი გოლი იხილა - მე-14 წუთზე ანგარიში „საშინაო არენაზე" მოთამაშე **კოსტას მიტროღლუმ** გახსნა, რომელმაც **დიმიტრიოს სალპინგიდისის** პასით ისარგებლა და ამ შესარჩევში თავისი მხოლოდ მესამე გოლი გაიტანა, ზოგადად კი „ოლიმპიაკოსის" ფორვარდმა ეროვნულ გუნდში თავი მე-6-ედ გამოიჩინა.

**ფერნანდო სანტუშის** გუნდის კარში გოლის გატანა ძალიან რთულია, რაზეც სტატისტიკაც მოწმობს: ბოლო 6 შეხვედრაში (5 შესარჩევი ეტაპის, 1 ამხანაგური) ბერძნებს კარი მშრალად ჰქონდათ შენახული, მაგრამ „ვლახებმა" წონასწორობა საკმაოდ მალე, ზუსტად 5 წუთში აღადგინეს - **ბოგდან სტანჩუმ ორესტის კარნეზისს** შანსი არ დაუტოვა. „სტიაუას" შემტევის გოლიდან რამდენიმე წამში კი უკვე მასპინძლები ზეიმობდნენ - სალპინგიდისმა ამჯერად თავად გაიტანა და ბერძნები კვლავ წინ გაიყვანა - 2:1.

მეორე ტაიმში მაყურებელმა უფრო მეტი ბრძოლა იხილა, რაც ყვითელ ბარათებშიც აისახა, ცვლილებაზე შემოსულმა **კონსტანტინ ლაზარმა** კი სულაც ორი გაფრთხილება დაიმსახურა და მოედანი ნაადრევად დატოვა. შეხვედრის საბოლოო შედეგი კი იმავე მიტროღლუმ დააფიქსირა, რომელმაც **კოსტას კაცურანისის** გადაცემა შეირგო - 3:1.

ერთი შეხედვით, საპასუხო შეხვედრის წინ, რუმინელები მუნდიალზე მოხვედრის შანსს ინარჩუნებენ, მაგრამ ბერძნების დამარცხება, მით უმეტეს ორბურთიანი სხვაობით, რომ ძალიან რთულია ამაზე სტატისტიკაც მოწმობს - ელინებმა უკანასკნელი 7 მატჩი მოიგეს, ამხანაგურების ჩათვლით გამართულ ბოლო 15 შეხვედრაში კი მარცხი მხოლოდ ერთხელ (ბოსნიასთან) განიცადეს.

**ტატო ბაციკაძე**

# ნულოვანი ტემპერატურა და თამაში

**ისლანდია-ხორვატია 0:0**

**ისლანდია (4-4-2):** ჰალდორსონი - ო. სკულასონი, არნასონი, სიგურდსონი, ა. სკულასონი - გუდმუნდსონი, გუნარსონი, სიგურდსონი, ბიარნასონი - ფინბოგასონი (63. გისლასონი), სიგტორსონი (46. გუდიონსენი)

**ხორვატია (4-4-2):** პლეტიკოშა - სრნა, შიმუნიჩი, ჩორლუკა, პრანიჩი - ილიჩევიჩი (46. ოლიჩი), რაკიტიჩი, მოდრიჩი, პერიშიჩი - მანჯუკიჩი (87. ბენკო), ედუარდო (72. რებიჩი)

**გაძევება:** ო. სკულასონი (50)

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 4-13 (1-6); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 9 768

**საპასუხო მატჩი 19 ნოემბერს**

**ამ ერთი თამაშით რომ ვიმსჯელოთ, მსოფლიო ფეხბურთი ბევრს არაფერს დაკარგავს, წყვილის ნებისმიერი ნაკრების მუნდიალზე ვერ გასვლით. საბედნიეროდ, ისლანდიას და მით უფრო, ხორვატიას გაცილებით უკეთ თამაშიც შეუძლიათ. პირველი მატჩის უგოლო ფრის შემდეგ, სამშაბათს, 19 ნოემბერს ხორვატიის ნაკრები აშკარა ფავორიტია, თუმცა ჯერ მოდი, ვიკინგებს მაინც ნუ ჩამოვწერთ...**

რეიკიავიკში, თოვლიან ამინდში ალბათ ამ პლეი ოფების ყველაზე უინტერესო პირველი ტაიმი გაიმართა - მასპინძლებმა და ხორვატებმა მხოლოდ თითოჯერ დაარტყეს ზუსტად და ისიც უხიფათოდ. ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი ტაიმის მიწურულს მოხდა, როცა ისლანდიელთა ფორვარდმა **კოლბეინ სიგტორსონმა** კოჭი გადაიბრუნა. მაშინვე ცხადი გახდა, რომ ტრავმა სერიოზული იყო და 23 წლის მოთამაშე თამაშს ველარ შეძლებდა. გამოცდილმა **ეიდურ გუდიონსენმა** მოედანზე შესვლა ვერ მოასწრო - ტაიმი დასრულდა.

შესვენების შემდეგ **ნიკო კოვაჩმა** ბრძოლაში **ივიცა ოლიჩი** ჩართო, რომლის მონაწილეობაც ამ თამაშში საეჭვო იყო. 50-ე წუთზე მსაჯმა ისლანდია 10 კაცის ამარა დატოვა - **ივან პერიშიჩი** მეკარესთან პირისპირ რჩებოდა, მაგრამ **უნდიანო მალენკოს** აზრით, **ოლაფურ სკულასონმა** ხორვატი ნახევარმცველი წააქცია.

ამ მომენტის მერე თამაშის ხასიათი შეიცვალა - ხორვატია ყველაფრის ბატონ-პატრონი გახდა, ხოლო ისლანდია ერთხელაც არ დამუქრებია მეტოქის კარს. მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ მასპინძლებს გაუჭირდათ ანგარიშის შენარჩუნება, მსგავსიც არაფერი ყოფილა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ფინბოგასონისა და მოდრიჩის ორთაბრძოლა

● ამხანაგური მატჩები

# ომი და მშვიდობა სან სიროზე

## გერმანიისთვის იტალია აუღებელ ციხე-სიმაგრედ რჩება

**იტალია-გერმანია 1:1**

**გოლები:** 0:1 ჰუმელსი (8), 1:1 აბატე (28)

**იტალია (4-1-3-2):** ბუფონი - აბატე, ბარძალი (71. ოგბონა), ბონუჩი, კრიშიტო - ტიაგო მოტა - მარკიზიო, პირლო (82. ჩერჩი), მონტოლივო - ოსვალდო (53. კანდრევა), ბალოტელი.

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ჰიოვედესი, ჟ. ბოატენგი, ჰუმელსი, იანსენი - ლამი, ხედირა (67. ს. ბენდერი) - თ. მიულერი (87. ლ. ბენდერი), კროოსი, შიურლე (59. როისი) - გიოტცე (59. იოზილი).

**გაფრთხილება:** მარკიზიო, ტიაგო მოტა - ლამი, კროოსი

**მაყურებელი:** 35 000



ანდრეა პირლო გამორჩეული იყო, მარიო გიოტცემ ცენტრფორვარდად ვერ ივარგა

**იოახიმ ლიოვისთვის** საიუბილეო, გერმანიის ნაკრების თავკაცის რანგში რიგით მე-100 შეხვედრაში ბუნდესგუნდი „სან სიროზე" **მატს ჰუმელსმა ტონი კროოსის** მიერ ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ ზუსტი თავური დარტყმით დააწინაურა, მაგრამ იტალიელებმა ანგარიში 20 წუთში, ბრწყინვალე კომბინაციით გაათანაბრეს, რომელიც მილანისტა **ინაციო აბატემ მაუნუელ ნოიერისთვის** აუღებელი დარტყმით დაავირგვინა - 1:1. ასე რომ, გერმანიამ იტალიას ისევ ვერ მოუგო. შეგახსენებთ, ბუნდესგუნდს „სკუადრა აძურა" ოფიციალურ მატჩში არასდროს დაუმარცხებია, ამხანაგურ შეხვედრაში კი გერმანიის ბოლო გამარჯვება იტალიასთან 18 წლის წინათ დაფიქსირდა...

### ლიოვის საიუბილეო ექსპერიმენტები

იტალიის ნაკრების თავკაცმა **ჩეზარე პრანდელიმ** თავისი გუნდის ძირითადი შემადგენლობა ფაქტობრივად წინა დღეს, პრესკონფერენციაზე გააჟღერა, როცა თქვა, რომ **ჯუზეპე როსის პაბლო ოსვალდო** შეცვლიდა, დანარჩენი ათი სასტარტო მოთამაშის გამოცნობა კი ძნელი არც იყო. მით უმეტეს, რომ **დანიელე დე როსის** მცირე ტრავმა აწუხებდა და პრანდელიმ ეს უკანასკნელი სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

ლიოვმა კი მისთვის საიუბილეო მატჩში რამდენიმე ექსპერიმენტს მიმართა: **ფილიპ ლამი** საყრდენ ნახევარმცველად გაამწესა, მარჯვენა მცველად კი ბუნდესგუნდში **ბენედიქტ ჰიოვედესი** ვიხილეთ. მარცხენა მცველის პოზიციაზე არა **მარსელ შმელცერი**, არამედ ჰამბურგელი **მარსელ იანსენი** იდგა, მარცხენა გარემარბად კი **ანდრე შიურლე** - ლიოვმა **მარკო როისი** სკამზე დატოვა და მოედანზე მხოლოდ მეორე ტაიმში შეუშვა. **მესუთ იოზილს** გრიპი ჰქონდა და მისი თამაშში ჩართვა მხოლოდ მეორე ტაიმში მოხერხდა, ძირითადში კი გამთამაშებლად ტონი კროოსი იყო გამწესებული. გერმანიის ნაკრებში ყველაზე წინ **მარიო გიოტცე** თამაშობდა.

### გიოტცემ ცენტრფორვარდად ვერ ივარგა

შეტევის დროს გერმანელების ტაქტიკა ფაქტობრივად 4-3-3 გახლდათ, რომელშიც კლასიკური საყრდენი მხოლოდ ლამი იყო, **ხედირა** და კროოსი კი ნახევრად შემქმნელ და ნახევრად ჩამშლელთა ფუნქციებს ასრულებდნენ. **მიულერი** და შიურლე ფლანგებზე აქტიურობდნენ, გიოტცე კი ცენტრფორვარდის პოზიციაზე თითქმის საერთოდ არ ჩანდა - აშკარა და ლოგიკურია, რომ მარიო ამ ადგილზე თავს კარგად ვერ გრძნობს.

თავიდან იტალიელებმა შეუტიეს და ნახევრადმომენტიც შექმნეს, რომელიც **მარიო** ბალოტელის დამსახურება გახლდათ, გერმანელთა პირველივე იერიშს კი გოლი **მოჰყვა**: კროოსმა კუთხური ჩააწოდა, ჰუმელსი ყველაზე მაღლა ახტა და **ჯიჯი ბუფონის** კარში ბურთი თავით გადაგზავნა. გოლის შემდეგ გერმანია მცირე უპირატესობას დაეუფლა, თუმცა იტალიელები აზრზე მალევე მოვიდნენ და 20 წუთში წონასწორობა მშვენიერი კომბინაციით ალადგინეს, რომელიც აბატემ მოხდენილი და ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. გაშვებულმა ბურთმა გერმანია ისევ არია.

პრანდელის გუნდის სავიზიტო ბარათი აქტიური პრესინგია და იტალიელები გერმანელებს არა მარტო დროულად აწუხებდნენ, არამედ ორთაბრძოლებშიც უკეთ გამოიყურებოდნენ. „აძურის" შეტევების აბსოლუტური უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ცენტრიდან, პირლოზე გავლით ხორციელდებოდა, თუმცა იტალიელები მაღალი და შორეული პასების სტრატეგიასაც აქტიურად იყენებდნენ, გერმანელებს კი მოკლე და სწრაფი პასებით სურდათ წარმატების მიღწევა.

### კროოსის და მოტას კინკლაობა

მეორე ტაიმში უფრო აქტიური დაპირისპირება გაჩაღდა, რომელშიც ინიციატივას უფრო იტალიელები ფლობდნენ. გერმანელები თავს საკმაოდ პასიურად იცავდნენ, შეტევისას კი ბურთს ერთობ იოლად კარგავდნენ, რაც ლიოვის გუნდისთვის დამახასიათებელი ნამდვილად არ არის, თუმცა ეს იტალიის ნაკრების ნახევარმცველების დამსახურებაა, განსაკუთრებით **ტიაგო მოტასი**. სწორედ ამ უკანასკნელს უკავშირდება ის, რაც მეორე ტაიმის მეორე ნახევარში მოხდა, როცა მატჩი ამხანაგურის ჩარჩოებს გასცდა. ბურთის დაკარგვით განრისხებულმა კროოსმა მოტას ორჯერ უშედეგოდ მოუქნია ფეხი, მერე კი მესამედაც სცადა და მწარედაც მოარტყა. ამით გაწიწმატებული მარკიზიო კროოსთან მიიჭრა და რამდენიმე მწარე სიტყვა უთხრა, თავად მოტა კი კროოსს სახეზე ხელითაც შეეხო. პორტუგალიელ არბიტრ **ოლეგარიო ბენკერენშას** კროოსის და მოტას გაძევება შეეძლო, მაგრამ ორივე დაინდო და მათ ყვითელი ბარათები აკმარა.

საბოლოო ჯამში, „სან სიროზე" ინტენსიური და როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან დაძაბული პაექრობა ვიხილეთ. საგოლე მომენტები ბევრი არ ყოფილა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გერმანიამ სამჯერ მოარტყა ბურთი ბუფონის კარის ძელს. სულ ბოლო წუთზე კი გერმანელებს გამარჯვების გოლის გატანის რეალურზე რეალური შანსი მიეცათ, მაგრამ დაიბნენ...

**სხვა მატჩები**

**სამხრეთ კორეა-შვეიცარია 2:1**

გოლები: 0:1 კასამი (7), 1:1 ჰონი (56), 2:1 ლი (85)

**ჩეხეთი-კანადა 2:0**

გოლები: 1:0 ჩელუსტკა (3), 2:0 ჰორავა (81)

**რუსეთი-სერბეთი 1:1**

გოლები: 1:0 სამედოვი (30), 1:1 ჯორჯევიჩი (31)

**ესტონეთი-აზერბაიჯანი 2:1**

გოლები: 0:1 რ. ალიევი (44), 1:1 ზენიოვი (54), 2:1 ლინდრეპე (66)

**დანია-ნორვეგია 2:1**

გოლები: 1:0 კვისტი (13), 1:1 მ. პედერსენი (78), 2:1 ბოილესენი (90)

**თურქეთი-ჩრდ. ირლანდია 1:0**

გოლი: 1:0 ერდინჩი (45)

**ირლანდია-ლატვია 3:0**

გოლები: 1:0 კინი (22), 2:0 მაკგიდი (68), 3:0 ლონგი (79)

**პოლონეთი-სლოვაკეთი 0:2**

გოლები: 0:1 კუჩკა (31), 0:2 მაკი (38)

**ინგლისი-ჩილე 0:2**

გოლები: 0:1 ა. სანჩესი (7), 0:2 ა. სანჩესი (94)

**ინგლისი (4-4-2):** ფორსტერი - ჯონსონი, ჯონსი (57. სმოლინგი), კეჰილი, ბეინესი - მილნერი (65. დეფო), უილშირი (71. კლევერლი), ლამპარდი (71. ჰენდერსონი), ლალანა (77. ბარკლი) - რუნი, ჯ. როდრიგესი (57. ტაუნსენდი)

| | |
|---|---|
| შოტლანდია-აშშ | 0:0 |
| ბელარუსი-ალბანეთი | 0:0 |
| არგენტინა-ეკვადორი | გვ. დასრულდა |

**16 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ჰოლანდია-იაპონია | 16:15 |
| უელსი-ფინეთი | 22:00 |
| ეკვ. გვინეა-ესპანეთი | 01:00 |
| ბრაზილია-ჰონდურასი | 04:30 |

**გოტფრიდ ლენცი**







### ლივერპულმა ახალი მწვრთნელი წარადგინა

**გუშინ** სტივენ ჯერარდის სახელობის სამწვრთნელო ცენტრის საპრესკონფერენციო დარბაზში „ლივერპულმა" გულშემატკივრებს და ჟურნალისტებს ახალი მთავარი მწვრთნელი, სერ **ჯონჯო შელვი** წარუდგინა. გამოცდილი სპეციალისტი, რომელსაც „არსენალი", „სუონსი", „ჩელსი" და ინგლისი ნაკრები გაუწვრთნია, დაბრუნდა კლუბში, სადაც საფეხბურთო კარიერის სამი წელიწადი გაატარა (47 თამაში, 2 გოლი).

*„დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს წლებში სერიოზულ წარმატებებს მივაღწევთ. ამის იმედი რომ არ მქონდეს, შემოთავაზებას არ დავთანხმდებოდი. ვიცი, რომ „ლივერპულს" ინგლისის ჩემპიონის ტიტული ძალიან დიდი ხანია არ მოუპოვებია, მაგრამ ეს არ მაშინებს, პირიქით მოტივაციას მიზრდის,"* - განაცხადა შელვიმ პრესკონფერენციაზე.

შელვი საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ სათავეში ყოფილ გუნდს, „სუონსის" ჩაუდგა, რომელსაც მესამე სეზონში ინგლისის ჩემპიონის ტიტულიც მოუტანა. წარმატებული იყო მისი მოღვაწეობა „არსენალშიც" და „ჩელსიშიც", ინგლისის ნაკრები კი სწორედ მისი ხელმძღვანელობით იყო ყველაზე ახლოს მეორე სანაკრებო ტიტულთან, მაგრამ ინგლისელებმა 2060 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი წააგეს, 2062 წლის მუნდიალზე კი 1/2 ფინალში დამარცხდნენ.

ჟურნალისტების პირდაპირ შეკითხვაზე, მუშაობის რომელ წელს გეგმავს ის პრემიერლიგის მოგებას, 71 წლის მწვრთნელმა გაიღიმა და უპასუხა: *„წელს ჩვენი სეზონი იქნება"*.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის 13-გზის გამარჯვებულმა „ლივერპულმა", ქვეყნის ჩემპიონის ტიტული ბოლოს შორეულ, 1990 წელს მოიპოვა.

### კონფლიქტი სარაევოში

გუშინ სარაევოში ძალიან საინტერესო ამხანაგური მატჩი გაიმართა - იუგოსლავიამ ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ნაკრებს უმასპინძლა. მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ამხანაგური იყო, მეტოქეთა პრინციპულობიდან გამომდინარე, კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, სტადიონზე სტუმარი გუნდის ქომაგები არ დაუშვეს.

შეხვედრამ სტუმართა უპირატესობით ჩაიარა და საბოლოოდ, მათი გამარჯვებითაც დასრულდა. ანგარიში ავსტრია-უნგრეთის ნაკრების კაპიტანმა **ფრანც იოზეფმა** გახსნა, რომელმაც მისივე წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი გამოიყენა, მეორე გოლი კი შეხვედრის მიწურულს **ფრანც ფერდინანდმა** თავური დარტყმით გაიტანა - 2:0.

დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ უსაფრთხოების მიზნით, იოსიპ ბროზ ტიტოს სახელობის სტადიონზე სტუმარი გუნდის ქომაგები არ დაუშვეს, თუმცა კონფლიქტის თავიდან აცილება მაინც ვერ მოხერხდა. შეხვედრის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე, მასპინძელთა 19 წლის თავდამსხმელი **გავრილო პრინციპი** მეორე გოლის ავტორ ფრანც ფერდინანდს განზრახ ეუხეშა, რასაც მასობრივი ჩხუბი მოჰყვა. საბოლოოდ, პრინციპმა და ფერდინანდმა წითელი ბარათი მიიღეს, ფეხბურთელები კი მხოლოდ ამერიკელი არბიტრის ჩარევის შემდეგ დამშვიდდნენ.

### გორდას სახელი უნდა გადაარქვან

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის და ატომური ელექტროსადგურის ხელმძღვანელმა, ამავე დროს, „გორდას" პრეზიდენტმა, **ფრანც კ.**-მ განაცხადა, რომ ქალაქის საფეხბურთო გუნდისთვის სახელის გადარქმევა სურს.

*„ჩვენი ქალაქის გუნდს მისი ისტორიული სახელი, „მეტალურგი" უნდა დავუბრუნოთ,"* - აღნიშნა ფრანც კ.-მ.

მის ამ განცხადებას „გორდას" ქომაგის აღშფოთება მოჰყვა და გულშემატკივრები სასამართლო პროცესითაც იმუქრებიან, თუმცა ბატონ კ.-ს პროცესის არ ეშინია და აცხადებს, რომ ამ ფაქტზე საქმის აღძვრა სრული აბსურდი იქნება.



რუსთავის „გორდას" პრეზიდენტი ფრანც კ.

„გორდას" მთავარი მწვრთნელი **გრეგორ სამსა** კი ასეთი მეტამორფოზის წინააღმდეგი არ არის: *„რა მნიშვნელობა აქვს გუნდს რა სახელი ერქმევა, მთავარია დაფინანსება იყოს; თანაც, „მეტალურგი" ძლიერი სახელია, რომელიც მეტოქეებს დააშინებს"*.

შეგახსენებთ, რომ რუსთავის საფეხბურთო გუნდს „მეტალურგი" საბჭოთა კავშირის დროს ერქვა, საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ კი მან რამდენიმე სახელი გამოიცვალა, 21-ე საუკუნის დასაწყისში კი მაშინდელი მფლობელის, **ჯოზეფ კეის (Josef K)** ინიციატივით, ისევ ძველი სახელი, „მეტალურგი" დაუბრუნდა.

მოგეხსენებათ, ცნობილი სასამართლო პროცესის წაგების შემდეგ, ჯოზეფ კეი ამერიკაში წავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

**ტატო ბაციკაძე**

● ჩემპიონთა ლიგა

# 2016 წლის ფინალი მილანში

„ბაძეტა დელო სპორტთან" საუბრისას, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბატემ** განაცხადა, რომ 2016 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი მილანში გაიმართება. უკანასკნელად ამ ქალაქმა ლიგის ფინალს 2001 წელს უმასპინძლა, როდესაც მიუნხენის „ბაიერნმა" „ვალენსიას" პენალტების სერიაში სძლია.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე გათამაშების გადამწყვეტი შეხვედრა ლისაბონში, „და ლუშზე" გაიმართება, 2015 წელს კი ევროპის საუკეთესო კლუბებს ბერლინის „ოლიმპიაშტადიონი" უმასპინძლებს.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# მხოლოდ თითო ქულა

ვარშავაში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი. გუშინ მე-7 ტურის პაექრობები გაიმართა. საქართველოს ქალთა ნაკრები პოლონეთის ეროვნულ გუნდს დაუზავდა - 2:2 (**ნანა ძაგნიძე**-მონიკა სოჩკო 0.5:0.5, იოლანტა ზავადსკა-**ნინო ხურციძე** 1:0, **ბელა ხოტენაშვილი**-ივეტა რაილიჩი 1:0, კარინა შოროვსკა-**ლელა ჯავახიშვილი** 0.5:0.5). მსოფლიოს ჩემპიონმა უკრაინის ქალთა ნაკრებმა პოლონეთის მე-3 გუნდი დაამარცხა 2.5:1.5 და 13 ქულით კონტინენტზეც უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად მყარი საფუძველი შეიქმნა. სომხეთი-პოლონეთი (2) 3:1, უნგრეთი-რუსეთი 1.5:2.5, გერმანია-ბულგარეთი 1:3, ესპანეთი-ლიტვა 1.5:2.5, ისრაელი-ჩეხეთი 1:3, რუმინეთი-ბელგია 3.5:0.5. შვიდი ტურის შემდეგ: უკრაინა-13 (20), სომხეთი-11 (21), საქართველო-10 (18), რუსეთი-10 (19), პოლონეთი-10 (16).

ჩვენი ქვეყნის ვაჟთა ნაკრებმა გუშინ მოგების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან - მაშინ, როცა ინგლისთან შეხვედრისას სამი პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო, ლევან ფანცულაიამ აშკარად უკეთესი პოზიცია სასურველ დასასრულამდე ვერ მიიყვანა - 2:2 (**ბაადურ ჯობავა**-მაიკლ ადამსი 0.5:0.5, ლუკ მაკშეინი-**მიხეილ მჭედლიშვილი** 0:1, **მერაბ გაგუნაშვილი**-ნაიჯელ შორტი 0:1, გავაინ ჯონსი-**ლევან ფანცულაია** 0.5:0.5). აზერბაიჯანი-საფრანგეთი 2:2, რუსეთი-სომხეთი 1.5:2.5, უკრაინა-ბელარუსი 2:2, ხორვატია-საბერძნეთი 1:3, უნგრეთი-შვეიცარია 3:1, სლოვენია-ჰოლანდია 0.5:3.5, რუმინეთი-ჩეხეთი 1.5:2.5. შვიდი ტურის შემდეგ: საფრანგეთი-12, აზერბაიჯანი, სომხეთი-11-11, საბერძნეთი-10, რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, საქართველო, ჩეხეთი, ინგლისი, უნგრეთი, ჰოლანდია-9-9 ქულა.

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# სტუ უდანაკარგოდ

**სპორტკომპლექს არენაში გუშინ დასრულდა საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ტური აღმოსავლეთი ქვეჯგუფის 4 გუნდის მონაწილეობით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა ზედიზედ მეშვიდე შეხვედრა მოიგო და ქვეყნის ჩემპიონი, სულ მცირე, პირველი წრის ბოლომდე გათამაშების ცხრილის სათავეში დარჩება.**

აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

**არენა. 15 ნოემბერი**

**სტუ-იმედი 35:15**

სტუ: ცერცვაძე, ხიდეშელი, ორჯონიკიძე (10), გოგოლაძე (6), ლ. არსენაშვილი (6), სტურუა (5), სიმონია (5), აბრამიშვილი (3), სურმავა.

იმედი: მღებრიშვილი, ლორია, მამულაშვილი, გიორგაძე (7), მძელური (2), ბეჟანიშვილი (2), აბაშიძე (1), ი. კალანდაძე (1), თაბაგარი (1), ჩაკვეტაძე (1), მაჭარაშვილი, რუსტამოვი, ჩიკვილაძე, ალანია, გოთოშია.

მსაჯები: ინა ჭკუასელი, გია ბროლაძე.

**პეგასი-თელავი 30:21**

პეგასი: ცინცაძე, ნარსია, ა. ცხვარაშვილი (7), დიხამინჯია (6), ტ. კალანდაძე (4), ბაძალუა (3), კოხრეიძე (2), აბუანდაძე (2), ცუხიშვილი (2), დემეტრაშვილი (2), ი. ცხვარაშვილი (2), ქუთათელაძე, ნატროშვილი, ზარნაძე, გელაშვილი.

თელავი: ა. სამიტაშვილი, წვერიკმაზაშვილი, გ. სვიმონიშვილი (7), გიგაური (5), ანდრიაშვილი (5), ი. სამიტაშვილი (3), მღებრიშვილი (1), ცისკარიშვილი, მაისაშვილი, გიორგელაშვილი, ნ. სვიმონიშვილი, იაგორაშვილი ბინკინაშვილი, ბეჟაშვილი, დიდებაშვილი.

მსაჯები: ელენე არაბული, ინა ჭკუასელი.

ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა პეგასმა - ლევან გელაშვილისა და ტიტე კალანდაძის გუნდმა თელაველთა დამარცხებით სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა.

19-21 ნოემბერს დასავლეთი ქვეჯგუფის 4 გუნდი (ბათუმი, სამტრედია, ქუთაისი, ჭაბუკთა ნაკრები) სენაკში ეთამაშება ერთმანეთს. ამით პირველი წრეც დასრულდება. მე-2 წრე დეკემბერში დაიწყება.

■ ■ ■

საქართველოში სტუმრად მყოფმა სომხეთის ჭაბუკთა ნაკრებმა (1996-1997 წლებში დაბადებულნი) გუშინ პირველი მატჩი გამართა და 2 წლით უმცროს ქართველ ხელბურთელებთან 11:36 დათმო. დღეს ჩვენი სამხრეთელი მეზობლები თანატოლ მასპინძლებს გაეჯიბრებიან.

■ ■ ■

გუშინ ასპარეზობა განაახლეს საქართველოს პირველობაში მონაწილე 14-15 წლის გოგონებმა: წყალტუბო-მამული 6:36, ფოთი-პეგასი 24:18, იმედი-წყალტუბო 7:15, ქარიშხალა-ფოთი 5:23.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# თურქულ კორტებს ორნი შემორჩნენ



ეკატერინე გორგოძე

**ანტალიის** ჩოგბურთელ ქალთა ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), წარმატებით ასპარეზობს **ეკატერინე გორგოძე**: მესამე ნომრად განთესილმა ჩვენებურმა მეორე წრეში ვიქტორია კუზმოვა (სლოვაკეთი) დაამარცხა - 7:5, 2:6, 6:1, გუშინ მეოთხედფინალში კი იაპონელ იოშიმი კავასაკის მოუგო - 6:3, 6:4. ნახევარფინალში მისი მეტოქე იქნება მონიკა ზუური (ჰოლანდია), რომელმაც გუშინ **სოფიო ქვაცაბაიას** აჯობა - 6:3, 6:3. მეორე ნახევარფინალში ანა ბოგდანი (რუმინეთი) და ლინა გიორჩენსკა (მაკედონია) ითამაშებენ.

ანტალიის ვაჟთა 10.000-იანი ტურნირის ნახევარფინალში ითამაშებს თბილისელი **ნიკოლოზ ბასილაშვილი**. ტურნირის მეორე ნომერმა ქართველმა ჰოლანდიელ მეექვსე ნომერ კოლინ ვან ბემს სძლია - 0:6, 6:3, 7:6 დღეს მას მეტოქეობას გაუწევს თეოდორ კრაკიუნი (რუმინეთი). ამ წყვილში გამარჯვებული მარკ რატცვასა (ავსტრია) და ადამ პავლაჩეკს (ჩეხეთი) შორის უძლიერესს შეხვდება.

წყვილთა ფინალში ბასილაშვილმა მილიან ზეკიჩთან (სერბეთი) ერთად ითამაშა, მაგრამ ტომ შონენბერგისა და მატიას უნერის (ორივე-გერმანია) ტანდემთან წააგო - 0:6, 4:6 და მეორე ადგილზე გავიდა.

■ ■ ■

თბილისელი ჩოგბურთელი **სოფიო შაფათავა** ბელარუსის დედაქალაქს დაემშვიდობა, სადაც 25.000-იან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. ერთეულთა თანრიგში ზედიზედ ორი მეტოქის ძლევის შემდეგ იგი მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მე-4 ნომრად განთესილ ანასტასია ვასილიევას (უკრაინა) სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ორ სეტში დამარცხდა - 4:6, 3:6.

იმავე ვასილიევასთან ერთად შაფათავა წყვილებში მესამე ნომერი იყო და ნახევარფინალში რეიტინგფავორიტ მასპინძლებს - ილონა კრემენსა და ალიაქსანდრა სასნოვიჩს შეხვდა. ბელარუსებმა ქართულ-უკრაინული დუეტი სამ სეტში ჩამოიშორეს გზიდან - 6:1, 4:6, 10:3, მერე გადამწყვეტ პაექრობაშიც იმარჯვეს და მთავარი პრიზიც მოიპოვეს.

■ ■ ■

ისრაელის ჭაბუკთა ტურნირს დაემშვიდობა თბილისელი **ალექსანდრე ბაკში**, რომელიც მეოთხედფინალში უკრაინელ ალექსანდრ ლებედინს შეხვდა. პირველი ხელი ბაკშისა იყო — 7:6, მეორე — ლებედინმა ასეთივე ანგარიშით. მესამე სეტში, როცა უკრაინელი 3:0 დაწინაურდა, თბილისელმა ჩოგბურთელმა ტრავმის გამო შეჯიბრების გაგრძელება ვერ შეძლო.

**ვაჟა დანელია**

ძიუდო. პრესკონფერენცია


მარცხნიდან: მარიუს ვიზერი, ლევან ყიფიანი, დავით ქევხიშვილი

# ვიზერის დიდი პროექტები

## „დიდი პრიზი“ უკვე საქართველოშია

**გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საბოლოოდ გაფორმდა ორი ხელშეკრულება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ მარიუს ვიზერთან, რომელიც ჩვენი ტურნირისთვის სტატუსის „დიდ პრიზამდე“ ამაღლებას და რეგიონებში ძიუდოს განვითარებას ითვალისწინებს. ხელშეკრულება სამმხრივია, რომელსაც საქართველოს მხრიდან ხელწერა მინისტრმა ლევან ყიფიანმა და ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქევხიშვილმა დაურთეს.**

ვიზერმა ვრცლად ისაუბრა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის „დიდი პრიზის“ ტურნირის ჩატარება. მისი თქმით, ეს უკვე ელიტურ დონეზე გასვლას ნიშნავს, ხოლო საქართველო იმსახურებდა ასეთ შეჯიბრებას, სადაც მსოფლიოს წამყვანი ძიუდოისტები ჩამოვლენ.

„მოხარული ვარ საქართველოში სტუმრობით, შევხვდით ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს, ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელებს და ვხედავთ, თქვენს ქვეყანაში თუ როგორი დიდი ინტერესია ძიუდოს მიმართ. საქართველოში ძიუდოს მართლაც განსაკუთრებული მიღწევები აქვს და, ვფიქრობ, ამ წარმატებების გათვალისწინებით ნამდვილად იმსახურებთ უმაღლესი დონის ტურნირის, „დიდი პრიზის“ მასპინძლობას“ - განაცხადა ვიზერმა.

სამწუხაროდ, ამჯერად მან ვერ დაასახელა ამ შეჯიბრების გამართვის ზუსტი რიცხვები. გადაჭრით მხოლოდ ის თქვა, რომ მარტში გაიმართება, სავარაუდო თარიღად კი პირველი ან მესამე შაბათ-კვირა დაასახელა. ჩვენს კითხვაზე გვიპასუხა, რომ ეს საკითხი 5 დღეში გაირკვევა. ამ თემაზე საუბრისას მანაც გაუსვა ხაზი, რომ მარტის შუაში (რაც მესამე უქმეებსაც მოიცავს) სამხრეთ ამერიკაში ზედიზედ ორი „ღია თასი“ იმართება - 17-18-ში მონტევიდეოში (არადა, ეს ორშაბათი-სამშაბათია), 22-23-ში კი - ბუენოს-აირესში. მომავალი წლის მარტის საერთაშორისო კალენდარს თუ გადავხედავთ, ორ საინტერესო დეტალს ვნახავთ - ვიზერის მიერვე ნახსენებ პირველივე შაბათ-კვირას ანუ 1-2 მარტს პრაღაშია „ევროპის ღია თასი“, ზედ შუა უქმეები კი - 15-16 მარტი უფროსთა შეჯიბრებებისთვის თავისუფალია (ამ რიცხვებში მხოლოდ ანთალიაშია დაგეგმილი შეჯიბრება და ისიც ჭაბუკთა ევროპის თასია). თუმცა ვიზერი შუა უქმეებს საერთოდ არ ახსენებს. არადა, ხუთ დღეში თუ საკითხი უნდა გაირკვეს, წესით, ახლა ლამის მთლიანად უნდა იყვნენ ჩამოყალიბებულნი ვადებზე ანუ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 15-16-ში ნამდვილად არ იგეგმება, თორემ იტყოდა.

რაც შეეხება ჩეხეთის ტურნირთან თანხვედრას, წესით, ერთ კონტინენტზე ორი ამ რანგის ტურნირის ჩატარება არ შეიძლება (ორივე სარეიტინგო ქულებს იძლევა, რაც საბოლოოდ ოლიმპიურ ლიცენზიებსაც განსაზღვრავს). ამიტომ ეს თარიღი, შეიძლება, გამოვრიცხოთ, ან ჩეხეთის თასი უნდა გადაიტანონ სხვა დროს. თუმცა ამ ვარიანტის საწინააღმდეგოდ ერთი გარემოება მიუთითებს - კულუარული ხმებით, საერთაშორისო ფედერაციის სურვილია, ჩვენი და 28-30 მარტს გასამართი სამსუნის „დიდი პრიზები“ ერთმანეთის მიყოლებით ჩატაროს. ეს მათთვისაც მისაღებია და გუნდებისთვისაც - ჯერ აქ იჭიდავებენ, მერე სავალდებულო ერთობლივი შეკრება ჩატარდება, კვირის ბოლოს კი სამსუნში გადაინაცვლებენ. სტუმრებისთვის ეს ვარიანტი იმდენადაა მისაღები, რომ ერთ კომპლექტში გამოვლენ.- აბა, სად ასე მიყოლებით ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლა და სად ჯერ ჩამოფრინდნენ, იჭიდაონ-ივარჯიშონ, მერე სახლებში გაფრინდნენ და ისევ უკან დაბრუნდნენ სამსუნში - სად ეს გადაფრენ-გადმოფრენა და სად თბილისიდან იქ გადასვლა! ამიტომ ვფიქრობთ, კულუარული ხმები მართალიცაა და ვიზერიც ამ თარილისკენ იხრება - სხვანაირად ტყუილად არ ახსენებდა სამხრეთ ამერიკაში გასამართ თასებს. თან მათი წეს-კანონი სხვადასხვა კონტინენტზე ტურნირების დამთხვევას არ გამორიცხავს - სავარაუდოდ, უფრო მყარი ვარიანტი 22-23 ანუ მესამე შაბათ-კვირა ჩანს. კაცმა რომ თქვას, სამხრეთ ამერიკაში და ზოგადად, იქით ნახევარსფეროში ძლიერი მოჭიდავეები ძალზე იშვიათად ჩადიან და ის შეჯიბრებები უფრო ადგილობრივ ფალავანთა გამოსაცდელად ტარდება.

ჩვენთვის 22-23 მარტი მართლაც უფრო მისაღები თარილია. საქმე ისაა, რომ 24-27 აპრილს ფრანგულ მონპელიეში ევროპის ჩემპიონატი ტარდება (მაშინვე იმართება პანამერიკისა და ოკეანიისაც), ზემოაღნიშნული ვადაც მისი გათვალისწინებითაა ხელსაყრელი - კონტინენტის პირველობისთვის მზადების პიკში უწევს. სამსუნის ტურნირის შემდეგ, ევროპის ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე შეჯიბრებაში ჭკუათმყოფელი არავინ გამოვა - ამ დროს სპორტსმენები ასვენებენ თუ ამზადებენ ორგანიზმს პიკისთვის და დიდ დატვირთვას ყველა ერიდება, ჩვენი და თურქული „პრიზები“ კი იმ დროისაა, როცა ნაკრებები საბოლოოდ აჯამებენ თეთრსა და შავს - ძირითადად ამ ბოლო ტურნირებში გაირკვევა, თუ სადმე კონკურენციაა დარჩენილი, მწვრთნელებს თუ ვინმეს გამოცდა-დაკვირვება სურთ; მაშინ უნდა გამოიცადოს საბოლოოდ ტაქტიკურ-ტექნიკური სიახლეები, ახალი ილეთები. თუ სადმე კვლავაც დარჩება კითხვები ამ თემებზე - ვთქვათ, ვერ გადაიჭრა კონკურენცია; ახალ ილეთს ისევ სჭირდება დამუშავება (სწორედ ამას ამოწმებს მწვრთნელი სასტარტო ტურნირზე), ამაზე უკვე აპრილში ანუ ზედ ტურნირის წინ, შიდა სამზარეულოში უნდა იმუშაონ. ასეთი პრობლემების გადასაჭრელად მარტის დასაწყისი არც ისე ხელსაყრელი ვადაა, რადგან ევროპამდე ჯერ კიდევ მთელი თვეა და სპორტსმენი ვერ იქნება ფორმაში (პიკზე უშუალოდ შეჯიბრების წინ უნდა გავიდეს) და ასე ნაადრევად ეგებ ვერ გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, მარტის ბოლო კი ფინიშის ხაზია - მეტი მოცდის დრო აღარაა.

თუმცა მარტში რომელ უქმეებზეც უნდა დაინიშნოს, ახლანდელ „ევროპის ღია თასის“ ვადებზე ბევრად მისაღები მაინც იქნება - ის იანვარში ტარდება, თან სეზონის პირველი შეჯიბრებაა, როცა სპორტსმენებს ჯერ ხეირიანად არც აქვთ დაწყებული მზადება. ამას ისიც ემატება, რომ ამ სიშორეზე გადმოფრენა ბევრს ეზარება კიდეც - ევროპელი რატომ ჩამოვიდეს აქ, ასეთ განსხვავებულ კლიმატურსა თუ სასაათო სარტყელში, როცა ერთ ან ორ კვირაში იქვე, ზღაპრულ პარიზში ბევრად პრესტიჟული „დიდი მუზარადი“ აქვს! თან იმ დროს - ზამთარსა და სიცივეში სპორტის სასახლის გათბობა ჩვენც დამატებით და არცთუ მცირე თანხად გვაწვება კისერზე, მარტში კი ამ მხრივ შეღავათი გვექნება.

### რეგიონული დახმარება

გუშინდელი ხელმოწერის მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი რეგიონებში ძიუდოს განვითარება, ზოგადი ცოდნის ამაღლებაა. საერთაშორისო ფედერაცია დაგვეხმარება ტატამებით, კიმონოებით, მწვრთნელთა ხელფასებითა და მათი უცხოეთში გადამზადებით. საამისოდ შეირჩა 11 რეგიონი: თბილისი, კახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, გურია, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი, აჭარა, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი. ამავე რეგიონებში თითო მწვრთნელს დაენიშნება ხელფასი, თუმცა, შესაძლოა, ჩვენმა ფედერაციამ რეგიონებისთვის გამოყოფილი კვოტა რამდენიმეზე გადაანაწილოს, რათა რაც შეიძლება მეტს წაეშველოს ფინანსურად. ამავე ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებულია ქართველი მწვრთნელების საზღვარგარეთ გაშვებაც.

პრესკონფერენციაზე ვიზერს ასეთი გრანდიოზული დახმარებისთვის მადლობა ყიფიანმა და ქევხიშვილმაც გადაუხადეს. სტუმარს იმაზეც დავეკითხეთ, რამდენად იმედიანად უყურებს მომდევნო ოლიმპიადებში გუნდური ტურნირის დაშვებას, რაზეც სოკმა ამჯერად, ანუ 2016-სთვის უარი თქვა. ვიზერმა პირდაპირ პასუხს ოპტიმიზმთან დაკავშირებით დიპლომატიურად აარიდა თავი, თუმცა სოკის მესვეურთა ამ გადაწყვეტილების გამო უკმაყოფილება არ დაუმალავს და მას სპორტის საზიანოც კი უწოდა.

შეხვედრის დასასრულს ვიზერმა ყიფიანი დააჯილდოვა ძიუდოს დიდი ქომაგობისა და დახმარებისთვის, რასაც, მისივე სიტყვებით, მინისტრი არცთუ ხანგრძლივად მუშაობის მიუხედავად იჩენს. თან გაიხსენა ყიფიანის სტუმრობა აგვისტოში ბრაზილიაში, მსოფლიოს პირველობაზე და დასძინა, სხვა კოლეგებისგან განსხვავებით, იქ ტურისტად არ იყო ჩასული.

საინტერესოა, რომ ზემოაღნიშნულ საკითხებზე შეთანხმებასაც ვიზერთან მაშინ მიაღწიეს.

**ირაკლი თავაძე**

შეხვედრა წარსულთან

# შავკანიანი მოკრივე სოჭის ქართული რესპუბლიკიდან

1905-1907 წლებში საქართველოში მიმდინარე მოვლენების ობიექტური შეფასება ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჯერჯერობით, არავის მოუხდენია; არადა, ეს პერიოდი ჩვენი სამშობლოს ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი ხანაა - სწორედ მაშინ აჯანყდა პირველად რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მთელი ქართველი ერი და გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა (1905 წლის თებერვალში, ოზურგეთში). შეიარაღებული გამოსვლები მასშტაბურობით უფრო დასავლეთ საქართველოში გამოირჩეოდა, სადაც აჯანყებამ იმთავითვე მიიღო მიზანმიმართული ხასიათი - მოჯანყეებმა, უპირველეს ყოვლისა, მოშალეს რუსული მმართველობა და დაამყარეს რესპუბლიკური წყობა.

აქედან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოს სამაზრო ცენტრებში წარმოიქმნა იმ დროისათვის ახლებური და ცოტა არ იყოს, უჩვეულო წყობა, რასაც აჯანყებულები „რესპუბლიკას“ ეძახდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ „რესპუბლიკათაგან“, რომელთა მესვეურებიც ძირითადად, ეროვნული მიმართულების რევოლუციური პარტიებიდან იყვნენ, ყველაზე მცირე ხანს არსებობდა ე.წ. „სოჭის ქართული რესპუბლიკა“ - ის 1905 წლის 28 დეკემბერს გამოაცხადეს, ხოლო 1906 წლის 5 იანვარს კი დაეცა. საინტერესოა, რომ ამ რესპუბლიკის შექმნის დეტალები რუსეთში დღესაც გასაიდუმლოებულია.

1905 წლის იანვარ-თებერვალში, როდესაც რუსეთის იმპერიაში ვითარება ძალიან დაიძაბა, საქართველოში მოქმედმა ეროვნული მიმართულების პარტიებმა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში გაავრცელეს პროკლამაციები, რომლებშიც მოსახლეობას რუსეთის თვითმპყრობელური ხელისუფლებისა და მეფის წინააღმდეგ იარაღის ხელში აღებისკენ მოუწოდებდნენ. პროკლამაციებში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ საქართველო მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღებული აჯანყების გზით უნდა განთავისუფლებულიყო და მის შემადგენლობაში უნდა შესულიყო ყველა ისტორიული ქართული მიწა - სოჭი-ტუაფსედან დაწყებული, საინგილოთი დამთავრებული. აღსანიშნავია, რომ როგორც შემდგომში გამოირკვა, ეს პროკლამაციები შედგენილი იყო იმხანად საფრანგეთში მყოფი ქართველი ანარქისტების მიერ, ხოლო დაბეჭდილი კი - სტამბოლში, ქართველ კათოლიკეთა სავანესთან არსებულ სტამბაში.

ეროვნულ-რევოლუციურ პარტიათა მოწოდებებმა, სულ მალე, მთელ საქართველოში დიდი პოპულარობა მოიპოვა. ცხადია, პროკლამაციები საკმაო რაოდენობით მოხვდა ქალაქ სოჭშიც, რომელიც მაშინ შავი ზღვის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა მოსახლეთა 90%-ს იქ ქართველები შეადგენდნენ. ცარიზმის მესვეურები სოჭელ ქართველებს უკიდურესად ავიწროებდნენ, რადგან ხსენებულ ტერიტორიას საკურორტო ზონად მიიჩნევდნენ, სადაც ცხოვრება მხოლოდ რუსებისათვის იყო ნებადართული. აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხელისუფლება სოჭის ოკრუგის ტერიტორიაზე ქართველი სასულიერო პირების, მასწავლებლებისა და ვაჭრების შემოსვლა-დაფუძნებასაც ხელს უშლიდა; ამას კი იმით ხსნიდა, რომ მათ სოჭელი რუსების გაქართველება ჰქონდათ განზრახული.

1905 წლის შუახანებში, სოჭის ოკრუგის ჟანდარმერიის განყოფილების აგენტებმა გამოარკვიეს, რომ სოფ. პლასტუნკაში არსებობდა ქართველ ნაციონალისტთა საიდუმლო გაერთიანება, რომელსაც სათავეში ედგნენ სოჭელი სოციალ-ფედერალისტი **აქვსენტი გვათუა** (პროფესიით აფთიაქარი) და ყოფილი სემინარიელი, ანარქისტ-ტერორისტი **გიორგი ხუციშვილი.** ნაციონალისტთა სულიერი მოძღვარი და მთავარი თეორეტიკოსი იყო პლასტუნკის წმ. ნინოს სახელობის ტაძრის მღვდელი **ნოე ოსიძე** - გაერთიანების კრებები ყველაზე ხშირად იმართებოდა მის სახლში, რომელიც ტაძრის ეზოში იდგა. გარდა ამისა, ნაციონალისტები იკრიბებოდნენ ასევე, ვინმე


მუშმათ ბედია, აძვიბჟელი შავკანიანი აფხაზი

**ანრი ხორავას** სასადილოში, რომელშიც მთელი სოჭის მასშტაბით, საუკეთესო ქართულ კერძებს აკეთებდნენ და თითქმის მთელი კავკასიის მასშტაბით, ერთადერთი შავკანიანი შეფ-მზარეული ჰყავდათ - აძვიბჟელი **მუშმათ ბედია.** მუშმათ ბედია ისეთ საცივს, ღომსა და ჩაქაფულს აკეთებდა, თქვენი მოწონებული და ამის გამო, ანრი ხორავასთან მუდამ ხალხმრავლობა იყო.

ეს შეფ-მზარეული, მუშმათ ბედია, ისეთი ღონიერი კაცი ყოფილა, რომ სახორცედ ნაყიდ ხარ-ძროხას მუშტის დარტყმით ხოცავდა თურმე. თავს არც მეტი, არც ნაკლები - აფხაზად თვლიდა, თუმცა აფხაზები „არაბს“ ეძახდნენ. აძვიბჟაში მის ოჯახს ყველა იცნობდა: XVII საუკუნეში, ვილაც ეგვიპტელ ფაშას, რომელიც აფხაზეთიდან ყოფილა გატაცებული, მთავარ შერვაშიძისათვის ათიოდე ზანგი მონა გაუგზავნია საჩუქრად და, მთავარსაც ის მონები აძვიბჟაში დაუსახლებია; ყველა მოუნათვლინებია და სახელების გარდა, გვარებიც ჩამოურიგებია მათთვის. უკვე XVIII საუკუნის შუა ხანებიდან, მონათა შთამომავლები ისე გააფხაზებულან, რომ ჩოხების ტარებაც კი დაუწყიათ. მშობლიური ენაც დაჰვიწყებიათ და ყველანი აფხაზურზე გადასულან. ეგ კი არა, ზოგმა მეგრულიც კარგად იცოდა. ერთი სიტყვით, „შავი აფხაზების“ ამბავი მოკლედ ასე იყო და ერთ-ერთი მათგანი გახლდათ მუშმათ ბედია.

ერთხელ, როცა ქართველი ნაციონალისტები ანრი ხორავას სასადილოში იყვნენ და აჯანყებაზე საუბრობდნენ, გიორგი ხუციშვილს დაუჩივლია - აჯანყება კარგია, მაგრამ ჯერ ხომ იარაღის საყიდელი ფული გვჭირდება, საიდან მოვიტანოთო? ფული მართლა სჭირდებოდათ და თანაც - ბევრი. პატიოსანი კაცისთვის კი ერთბაშად ბევრი ფულის შოვნა ყოველთვის ძნელი იყო და არის. რასაკვირველია, შეეძლოთ ბანკი გაეძარცვათ ან ვინმე დაეყაჩაღებინათ, მაგრამ ეს სარისკო იყო. თანაც, მოძღვარიც აფრთხილებდა მათ: ისედაც სისხლი გვაქვს დასაღვრელი და უმართებულო საქმეს ნუღარ ჩავიდენთ, ღმერთი არ გაგვიწყრესო. „კი მარა, ნახევარი სოჭი შესაიარაღებელი გვყავს და საიდან ვიშოვოთ ამდენი ფარა?!“ - მეგრული აქცენტით იკითხა აქვსენტი გვათუამ და, პასუხად ყველამ მხრები აიჩეჩა.


კაზაკი მოკრივე პეტრე ლოვცოვი

„ფულზე საუბრობდით, ჯიმალეფო?..“ - ნაციონალისტების მაგიდას მუშმათ ბედია მიუახლოვდა. ის შინაური კაცი იყო და არ მოერიდნენ, დაუდასტურეს: კი, უჩარდა (ეს სიტყვა მეგრულად „შავტყხას“ შესატყვისია), ბევრი ფული გვჭირია და არ ვიცით, როგორ ან საიდან ვიშოვოთ. „ეგ მე ვიცი და თუ არ ითაკილებთ ჩემგან, დაგეხმარებით! ოღონდ, ერთი კვირა მადროვეთ...“ - თქვა მუშმათმა. ნაციონალისტებსაც კი რა უნდა ეთქვათ - ერთი გადახედეს აფხაზ შავკანიანს ალმაცერად. მერე მამა ნოემაც ამოიღო ხმა: „ჰაიტ! ემანდ ვინმე არ შეაშინო, ბიჭო, სიბნელეში და ფული არ წაართვა!“ - შეუძახა მუშმათს. „რას ბრძანებთ, მამაო! რომელი ყაჩაღი მე მნახეთ? იქით კვირას ყველიერია და კაზაკების სოფლებში კრივი იციან... გამარჯვებულებს ფულით ასაჩუქრებენ ხოლმე. ჰოდა, ვცდი ბედს მეც!“ - თქვა მუშმათმა.

ყველიერის კვირაში ყუბანელი კაზაკები კრივში ასპარეზობას ყოველთვის მართავდნენ ხოლმე და ამ დროს, ისევე დებდნენ ფსონებს, როგორც დოღზე. თანაც, მეფსონეები სულ ფულიანი ხალხი იყო - კაზაკთა ზედაფენა, რუსი ოფიცრობა და სხვა ამგვარნი. გარდა ამისა, გამარჯვებულს ათასი მანეთით აჯილდოებდნენ. იმასაც ვიტყვი, რომ იმხანად ძროხა ორი მანეთი ღირდა, კარგ „ვინტოვკას“ კი ორ ძროხად იძლეოდნენ. ჰოდა, ახლა თქვენ განსაჯეთ, რაოდენ დიდი თანხას შეადგენდა ჯილდო. ასე რომ, მუშმათ ბედიას მართლაც შეეძლო ბლომად ფულის უცბად შოვნა. მართლაც, მან აქვსენტი გვათუა იახლა იმპრესარიოდ და სტანიცა ლაზარევსკოეში ჩავიდა, სადაც იმ კვირას მთელი კაზაკობა ყველიერზე იყრიდა თავს. კაზაკებმა კი ისეთი კრივი იცოდნენ, მიმიქარავს ალბიონელი და ოკეანისგაღმელი ხელთათმნოსანი ფალავნები, იმ თავიანთი მარკიზ ქვინსბერის წესებიანად. კაზაკურ კრივში, როგორც წესი, ჭიდაობის ელემენტებიც შედიოდა და ერთი სიტყვით, მეტად სასტიკი ასპარეზობა სჩვეოდათ - ხშირად, კაცი პირველად გამოდიოდა საასპარეზოდ და ისე სახიჩრდებოდა, აღარაფრად ვარგოდა. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მუშმათ ბედია კი იყო კაი ვაჟკაცი, მაგრამ იმ ყველიერზე, სტანიცა ლაზარევსკოეში კაზაკებს მასზე უფრო ჩაფსკვნილი და სახელგანთქმული ფალავანი ჰყავდათ - ვინმე **პეტრე ლოვცოვი,** კაზაკთა ჯარის მეთაური ანუ მათებურად თუ ვიტყოდით, „ვოისკოვოი სტარშინა“.

ეს ლოვცოვი ისეთი ღონიერი ყოფილა, რომ ცხენიან კაცს სულ ადვილად სწევდა თურმე ჰაერში. ჰოდა, ყველიერის დღესასწაულზე ფრანგი იმპრესარიო, მუსიე **დანიელ დე კუდი** დაეპატიჟნა: მოდით, ნახეთ, რა კაცი ვარო. დანიელ დე კუდი კი მაგარი ვილაცა იყო იმხანად ევროპაში - ფრანგული კრივის, „სავატის“ სისტემატიზატორი და ამასთან, ცნობილი ჟურნალისტიც: „ფიგაროში“ წერდა სპორტულ სტატიებს. ლოვცოვს კაზაკობა მოსწყენოდა და ევროპის რინგებზე განავარდება სურდა. იქ კი ისე ვერ გაინავარდებდა, თუ „ფიგარო“ არ დაწერდა: მავანი რუსი ისეთი ძლიერია, რელსს კბილით კვნეტსო. აი, ამ მიზნით ჰყავდათ მოწვეული სტანიცა ლაზარევსკოეში დანიელ დე კუდი და საქმე კი ისე წავიდა, რომ ამ უკანასკნელმა კაი მოზრდილი სტატია ლოვცოვზე კი არა, უცნობ **შავკანიან აფხაზზე** გააშანშალა იმ თავის „ფიგაროში“. ეს გაზეთი კი მაშინ ისეთივე ცნობილი იყო მთელ მსოფლიოში, როგორც დღეს „ნიუ იორკ ივნინგ ფოუსთია“:

„კაზაკურ კრივში ასპარეზობა რომ დაიწყო, მალევე გამოიკვეთა ჩემპიონობის ორი კანდიდატი - ერთი იმ მხარეში ცნობილი ათლეტი ლოვცოვი და მეორე კი **შავკანიანი** ჩოხოსანი ქალაქ სოჭიდან. ამ უკანასკნელს ისე ძნელად გამოსათქმელი სახელი ჰქონდა, რომ ვერც დავიმახსოვრე. არადა, კავკასია სანთლით რომ დაიაროთ, **შავკანიანს** ვერსად ნახავთ - აქაურები ევროპეიდული რასის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ. ეს **ზანგი** ერთ-ერთი ქართველი თავადის მონათა შთამომავალი ყოფილა და ისე კარგად იცოდა კრივი, რომ ნებისმიერ ამერიკულ რინგს დაამშვენებდა... ლოვცოვიც არ ყოფილა ჯაბანი და სანამ ზანგს შეხვდებოდა, ათამდე კაცი გემრიელად კი მიამჟავა. ასე რომ, გადამწყვეტი შეხვედრის დრო რომ დადგა, ფსონი უკვე ათას მანეთამდე იყო ასული და თან, ყველა ლოვცოვზე დებდა“ - წერია დე კუდის სტატიაში.

...და, შეხვედრა მუშმათ ბედიამ მოიგო - კაზაკთა სათაყვანებელ ფალავანს ცხვირი მოამტვრია და ნოკაუტშიც გაისტუმრა. ამაზე ვრცლად დე კუდის ხსენებული სტატია მოგვითხრობს და მუშმათ ბედიას ერთადერთი სურათიც მას ახლავს თან. გადასცეს ათასი მანეთი **ზანგს** და მანაც უკლებლივ მიუტანა ქართველ ნაციონალისტებს. იარაღი საკმაო რაოდენობით შეიძინეს, მოხალისეებიც გამოწვრთნეს და იმავე წლის დეკემბერში, როგორც ვთქვი, აჯანყდნენ კიდეც, თუმცა ეგ სულ სხვა ისტორიაა...

მუშმათ ბედია კი სწორედ ამ აჯანყების ჩაქრობას შეეწირა - რუსმა ჟანდარმებმა მოკლეს ქუჩაში, სხვა აჯანყებულებთან ერთად, თუმცა მანამდე, შვიდი-რვა ჟანდარმის მინოკაუტება მოასწრო.

**მიხეილ ლაბაძე**

კრივი

## ორი ბრინჯაო, ორიც ფინალში

ევროპის კრივის კონფედერაციის საიტის გაუმართაობის გამო გუშინ ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის პირველობაზე ჩვენი მოკრივეების შედეგები სრულყოფილად ვერ გაუწყეთ. კერძოდ, ვერ შეგატყობინეთ 66 კილოში **გიორგი ხარაბაძის** მეოთხედფინალური შეხვედრის ანგარიში. ახლა კი შეგვიძლია გახაროთ, რომ გიორგიმ იმ პაექრობაში ვლადისლავ გუმენიუსი (მოლდოვა) დაამარცხა 3:0, გუშინ კი ნახევარფინალში იტალიელ ფილიპო გრესანის აჯობა - ამჯერადაც სამივე არბიტრმა უპირატესობა ქართველ მოკრივეს მიანიჭა. დღეს ფინალში ჩვენებური უკრაინელ სტერან გრეკულისთან გაარკვევს ურთიერთობას.

ასევე, ფინალში იასპარეზებს 75 კილოში **რატი ტლაშაძე,** რომელმაც გუშინ ნახევარფინალში რუს ანდრეი პანკოვს სძლია - 3:0. ოქროსთვის გადამწყვეტ პაექრობაში მისი მეტოქე ფრანგი ლუი ტოუტი იქნება.

სამწუხაროდ, მეგობრებს მხარი ვერ აუბეს **გიორგი ჩარგაზიამ** (52) და **უჩა მაისურაძემ,** რომლებიც, შესაბამისად, რუფათ ჰუსეინოვთან (აზერბაიჯანი) და ტემირლან ხანგიჩიევთან (რუსეთი) დამარცხდნენ და ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

**ვაჟა დანელია**

თარიღები და მოვლენები

## 16-17 ნოემბერი

**16. 1951. თბილისის დინამომ, პოლონური ტურნეში, კრაკოვში, ადგილობრივ გვარდიას 3:0 სძლია**

**16. 1974.** დაიბადა **გიორგი რევაზიშვილი** - ძიუდო

**16. 1993. თბილისის დინამომ გორის დილას 7:2 მოუგო**

**16. 2006.** საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ურუგვაის, თბილისში 2:0 აჯობა

**17. 1926** დაიბადა **კოტე მახარაძე** - კომენტატორი. გარდაიცვალა 2002 წელს

**17. 1973.** თბილისის დინამომ სტამბოლში ბეშიქთაში 1:0 დაამარცხა

**17. 1986.** დაიბადა **მანუჩარ მარკოიშვილი** - კალათბურთი

**17. 2010. საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა გასვლაზე სლოვენიას 2:1 მოუგო.**

● დახურულ კარს მიღმა


gbf.ge-ს ფოტო

მარცხნიდან: კახა შენგელია, მიხეილ ახვლედიანი, მიხეილ გაბრიჩიძე, მერაბ რატიშვილი

## მიხეილ ახვლედიანი: იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი
## მიხეილ გაბრიჩიძე: საბჭოეთში არ უნდა დავბრუნდეთ

გუშინ, 14 საათზე კალათბურთის ფედერაციაში დახურულ კარს მიღმა გამგეობის წევრები ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველ ოთხ კანდიდატს (**ვლადიმერ ბოისა, კახა შენგელია, მიხეილ ახვლედიანი, მიხეილ გაბრიჩიძე**) შეხვდნენ. რა თემებზე ისაუბრეს დახურულ კარს მიღმა, დაზუსტებით ვერ მოგახსენებთ, თუმცა მთავარი თემა 11 დეკემბრის საპრეზიდენტო არჩევნები იყო. შეხვედრის დასრულებიდან ერთ საათში გამგეობას უნდა დაედგინა საარჩევნო ყრილობის დელეგატების რაოდენობა.

გამგეობისა და პრეზიდენტობის კანდიდატების საუბრის დასრულების შემდეგ ოთახიდან ჯერ „კალათბურთელთა კავშირის" ხელმძღვანელი მიხეილ ახვლედიანი გამოვიდა:

*- ერთმანეთს საკუთარი შეხედულებები გავუზიარეთ. ვილაპარაკეთ დელეგატთა რაოდენობაზე. არ მიმაჩნია სამართლიანად, მაგალითად, თბილისის „დინამოსაც" ერთი ხმა ჰქონდეს და ფოთის სპორტსკოლასაც. წინა ყრილობის 32 დელეგატს კიდევ რვა გამგეობის წევრი დაემატება, რომლებიც თითო ხმას მიიღებენ, რასაც ინტერესთა კონფლიქტთან და არადემოკრატიულ არჩევნებთან მივყავართ. მაგალითად, გამგეობაში არიან ისეთი ხალხიც, რომლებიც პრეზიდენტობის კანდიდატთან სხვა ორგანიზაციაში მუშაობენ... ჩიხში შევდივართ, რაზეც პასუხისმგებლობა კალათბურთის ფედერაციას ეკისრება. რადგან სახელმწიფო ვერ აკონტროლებს კანონმდებლობას, პასუხისმგებლობას სპორტის სამინისტროსაც ვაკისრებ.*

მიხეილ ახვლედიანის შემდეგ ჟურნალისტებთან მიხეილ გაბრიჩიძემ ილაპარაკა:

*- იყო უკმაყოფილება, რისი საფუძველიც ნამდვილად არსებობს. მიმაჩნია, რომ ვეტერანებს მეტი ხმა უნდა ჰქონდეთ. რაც შეეხება მიხეილ ახვლედიანის მოთხოვნას, მას სურს არჩევნებში კლუბების როლის გაზრდა, რასაც არ ვეთანხმები. იმიტომ, რომ სუპერლიგის გუნდების უმეტესობა სახელმწიფო დაფინანსებაზეა და ამ ყველაფერს საბჭოთა პერიოდში მივყავართ. მაშინ სახელმწიფო პირდაპირ ერეოდა ნებისმიერ არჩევნებში, ახლა - ირიბად ჩაერევა...*

კახა შენგელიას მოვუსმინოთ:

*- მიხეილ ახვლედიანმა დამადანაშაულა, რომ ფედერაციის მიმართ ლოიალური ვარ. მაქვს საკუთარი არგუმენტები და მიმაჩნია, რომ გამგეობის გადაწყვეტილება მისაღებია. თუმცა ჩემთვის გასაკვირია, ვეტერანებს მეტი ხმა რატომ არ მისცეს.*

კანდიდატებიდან ყველაზე გვიან ვლადიმერ ბოისა გამოვიდა, რომელმაც სლოვენიური მაგალითი მოიყვანა.

*- სლოვენიის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში 130-მდე დელეგატი იყო. მეც ვემხრობი დელეგატების სიმრავლეს, რადგან წინასწარი გადაბირების ალბათობა შედარებით მცირდება.*

გამგეობის სხდომის შემდეგ ვესაუბრეთ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ბესიკ ლიპარტელიანს:**

- პრეზიდენტობის კანდიდატებთან შეხვედრაზე იყო აზრთა სხვადასხვაობა. გამგეობის წევრებმა წარმოვუდგინეთ ჩვენი მოსაზრება მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით. სამმა კანდიდატმა მოიწონა, თუმცა ვეტერანებისთვის მეტი ხმის უფლება მოითხოვა. მიხეილ ახვლედიანი კი გამგეობის წევრებისთვის ხმის უფლების მინიჭების წინააღმდეგი იყო. სწორედ ამ საკითხებზე სამსჯელოდ ვხვდებოდით საკალათბურთო საზოგადოებას. ბოლოს ოლიმპიურ კომიტეტში გვქონდა შეხვედრა და იქაც გვითხრეს, რომ გამგეობის წევრებს ოლიმპიურ კომიტეტშიც აქვთ ხმის უფლება. სხვათა შორის, იყო მოსაზრება, თითქოს ყველაფერი ჩემთვის კეთდებოდა, მაგრამ ხუთშაბათს გამოვაცხადე, რომ არჩევნებში მონაწილეობას აღარ ვაპირებ. ასე რომ, ოთხივე კანდიდატს აქვს თავისუფლება და ყველა თანაბარ პირობებშია.

● ფედერაციის გამგეობის სხდომა

## 40!

მას შემდეგ, რაც კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ოთხი კანდიდატი გამგეობის წევრებს შეხვდა, გაიმართა გამგეობის სხდომა, რომელსაც უნდა განესაზღვრა 11 დეკემბერს გასამართ საპრეზიდენტო არჩევნებში დელეგატთა რაოდენობა. განსაზღვრა კიდეც - 40.

ეს სწორედ ის რაოდენობაა, რომელსაც საპრეზიდენტო კანდიდატების შეხვედრისას ყველა ეთანხმებოდა, გარდა მიხეილ ახვლედიანისა. ისღა დაგვრჩენია, გაგაცნოთ ყველა დელეგატის ვინაობა და დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

**ა) საქართველოს კალათბურთის რეგიონალური ორგანიზაციები - სულ - 9 დელეგატი**

**1. აჭარის რეგიონალური კალათბურთის სპორტული ფედერაცია - 1 დელეგატი**
**2. გურიის რეგიონის კალათბურთის ფედერაცია - 1 დელეგატი**
**3. თბილისის კალათბურთის ფედერაცია - 1 დელეგატი**
**4. თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი - 1 დელეგატი**
**5. იმერეთის კალათბურთის ფედერაცია - 1 დელეგატი**
**6. კახეთის კალათბურთის ფედერაცია - 1 დელეგატი**
**7. სამეგრელოს კალათბურთის ფედერაცია - 1 დელეგატი**
**8. ქვემო ქართლის მხარის კალათბურთის ფედერაცია - 1 დელეგატი**
**9. შიდა ქართლის რეგიონის კალათბურთის განვითარების ცენტრი - 1 დელეგატი**

**ბ) საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდები - სულ 9 დელეგატი**

1. ს/კ არმია - 1 დელეგატი
2. ს/კ ბათუმი-რსუ - 1 დელეგატი
3. ს/კ დინამო - 1 დელეგატი
4. ს/კ ოლიმპი - 1 დელეგატი
5. ს/კ რუსთავი - 1 დელეგატი
6. ს/კ მაკაბი - 1 დელეგატი
7. ს/კ სოხუმი - 1 დელეგატი
8. ს/კ ქუთაისი-2010 - 1 დელეგატი
9. ს/კ შსს აკადემია - 1 დელეგატი

**გ) საქართველოს ბავშვთა საკალათბურთო სკოლები/კლუბები - სულ 8 დელეგატი**

1. ს/კ აკადემია - 1 დელეგატი
2. გორის სასპორტო სკოლა - 1 დელეგატი
3. თელავის სასპორტო გაერთიანება - 1 დელეგატი
4. ფოთის სასპორტო სკოლა - 1 დელეგატი
5. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება - 1 დელეგატი
6. რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანება - 1 დელეგატი
7. ს/კ ჰიუნდაი - 1 დელეგატი
8. მ. კეკელიძის სახელობის კალათბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი - 1 დელეგატი


კანდიდატები მსჯელობენ

**დ) საქართველოს ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი - 2 დელეგატი**

**ე) საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირი - 2 დელეგატი.**

**ვ) საქართველოს კალათბურთის მწვრთნელთა კავშირი - 2 დელეგატი.**

**ზ) საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გამგეობის წევრები - სულ 8 დელეგატი:**

1. ბესიკ ლიპარტელიანი
2. ნოდარ ქორქია
3. მერაბ რატიშვილი
4. ვალერი ლომაძე
5. გივი ბიჭიაშვილი
6. პაატა გურასპაული
7. დავით გიორგობიანი
8. გიორგი ქართველიშვილი

ავტორის ფოტო

● ინტერვიუ გივი ბაქრაძესთან

## ბაქრაძემ ფინეთიდან თბილისში შემოიარა

**სუპერლიგის** მეხუთე ტურის თბილისური მატჩებისას ტრიბუნაზე გივი ბაქრაძე გამოჩნდა. ეს მოულოდნელობა იყო, რადგან მან სეზონი ფინეთში დაიწყო, ხოლო სუომის პირველობაზე ჯერ პირველი წრეც არ დასრულებულა. როგორც გივიმ აგვიხსნა, 7-დან 16 ნოემბრამდე მისი გუნდი, „კორიკობრატი" ისვენებდა და მანაც კლუბის ხელმძღვანელობას საქართველოში გამოშვება სთხოვა.

**გივისთან ინტერვიუ სუომელთა საკალათბურთო ლიგით დავიწყეთ.**

- ფინეთის უმაღლეს ლიგაში ევროთასის მონაწილე ერთი, ხოლო ევროჩელენჯზე მოასპარეზე ორი გუნდია. ისინი ევროპულ საკლუბო ტურნირებზე თამაშს თამაშზე იგებენ. თუნდაც ეს გამოდგება ფინური კალათბურთის შესაფასებელ ინდიკატორად. ამასთან, წლეულს ლიგაში არაერთმა მაღალი დონის კალათბურთელმა მოიყარა თავი. „სოხუმის" ყოფილი მოთამაშე ფრენკ რობინსონიც ფინეთშია, მათი ნაკრების ლიდერი ტეემუ რანიკოც და შარშანდელი საქართველოს ჩემპიონი ბენჟამინ რეიმონდიც.

**- მეტოქეთა სიძლიერის ბრალია, „კორიკობრატმა" სეზონი წაგებებით რომ გახსნა, თუ არის სხვა მიზეზიც?**

- ერთი მიზეზი კალენდარია, დასაწყისში ფავორიტებთან მოგვიწია შეხვედრა, თუმცა უკეთესი შედეგის ჩვენება მაინც შეიძლებოდა. ზედიზედ რამდენიმე წაგების გამო ჩვენი ამერიკელი მწვრთნელი პოსტიდან გაათავისუფლეს. კლუბის ხელმძღვანელობა გარკვეულ პასუხისმგებლობას მასაც აკისრებს. იყო საკადრო პრობლემაც - ორმა ამერიკელმა კალათბურთელმა ვერ გაამართლა და სეზონის დაწყების წინ სხვა ამერიკელებით შეცვალეს. ახლებიდან ერთი მართლაც ძლიერი მოთამაშეა და გუნდს ძალიან ეხმარება. ასეთი ცვლილებების შემდეგ შესათამაშებლად დრო გვჭირდება. ახალი მწვრთნელის ხელში ნელ-ნელა ვუმატებთ და დარწმუნებული ვარ ეს შედეგზეც აისახება. სხვათა შორის, ზედიზედ შვიდი წაგების შემდეგ, 7 ნოემბერს ლირებული გამარჯვება მოვიპოვეთ.

**- ახალი მწვრთნელის ხელში რა ფუნქცია გაკისრია?**

- პირველი მწვრთნელი ჩემგან ქულებს უფრო ითხოვდა, ახალი დამრიგებლის ხელში კი ძირითადად ბურთის გათამაშება მევალება, საჭიროების შემთხვევაში ტყორცნებსაც ვასრულებ, პასებსაც ვანაწილებ. სასტარტო პლეიმეიქერი ვარ, იშვიათად მიწევს მსროლელად გადასვლა. სხვათა შორის, კლუბის ხელმძღვანელობა ერთი გამთამაშებლის აყვანას აპირებს, რადგან ჩემი შემცვლელი ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელია, ხოლო ამერიკელი უკანახაზელი ამპლუით მსროლელია და მხოლოდ კრიტიკულ შემთხვევებში ათამაშებს ბურთს.

**- როგორ ფიქრობ, „კორიკობრატს" პლეი ოფში მოხვედრის რა შანსი აქვს?**

- სეზონი ახალი დაწყებულია და სატურნირო ცხრილის ქვემოთ ყოფნა (7 წაგება, 1 მოგება) არ ნიშნავს, რომ შანსი არა გვაქვს. უმაღლეს ლიგაში მონაწილე 12 კლუბი ოთხ წრედ თამაშობს და ჯერ პირველი წრეც არ დასრულებულა. ასე რომ, თამაშის გამოსწორების შემთხვევაში საპლეიოფო რვა გუნდში მოხვედრა რეალურად მიმაჩნია.


გივი ბაქრაძე

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ფ-1-ის საავტომობილო მარკა; 3. ქვეყანა, რომელთანაც საქართველოს ეროვნულმა დამოუკიდებელმა საფეხბურთო ნაკრებმა პირველი მატჩი ითამაშა (1990 წ); 4. იალქანი; 7. შ. ჩოჩიშვილის იაპონელი მეტოქე, არატრადიციულ ორთაბრძოლაში, ანტონიო...; 8. ლეგენდარული მოთხილამურე, გუდე ...; 10. ჭადრაკში ქალთა შორის მს. ხუთგზის ჩემპიონის სახელი; 12. „ფახთაქორის" ფეხბურთელი, რომელიც დაიღუპა გუნდთან ერთად ავიაკატასტროფაში მიხეილ...; 14. სარბიელი; 15. ... გედევანიშვილი; 17. ფეხბურთში ინგლისის სუპერთასის (1991) მფლობელი პოლ ...; 19. იბრაჰიმოვიჩის მეტსახელი; 21. ცურვის ყაიდა; 22. საჭიდაო ხალიჩა; 24. ღონე, ძალა; 26. თანაბრობა სპორტულ შედეგში; 28. ერთ-ერთი შედეგი ჭადრაკში.

**შვეულად:** 1. მოჭიდავე ანუ ...; 2. ბურთი პირით ხაზს მიღმა; 5. მანქანებით, ველოსიპედებით, ნავებით და ა.შ. შეჯიბრება; 6. სარბენი ზოლი მძლეოსნობაში; 8. ფინური აბანო; 9. ძველი თაობის ქართველი ფეხბურთელი გიორგი ...; 11. ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი, დავით ...; 13. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, მეკარე; 16. ფეხბურთის პორტუგალიელი ლეგენდა; 18. ფეხბურთის ლეგენდარული რუსი მეკარე; 20. მწვრთნელი, ლუიშ ფილიპ ...; 23. ბანქოს ნაირსახეობა; 25. ფეხბურთელი (მეკარე) გიორგი ...; 27. სამსაჯო ტერმინი ძიუდოში.

**შეადგინა თენგიზ თომაშვილმა**

*პასუხები შემდეგ ნომერში*

## სუმო



გაგამარუ

# ბალანსი გამოასწორა

ზედიზედ მეორედ იმარჯვა სუმოს ელიტის ყველაზე მძიმე ფალავანმა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**. ჩვენებურმა იორიკირის ილეთით მე-16 მაეგაშირა **ტამაასუკას** მოუგო. კუნძულ კიუშუს ბაშოზე 3-3 ბალანსი აქვს.

გაგამარუს მომდევნო მეტოქე მე-7 მაეგაშირა **ტოიოჰიბიკია**, რომელსაც ასევე 3-3 ბალანსი აქვს ბაშოზე. აღსანიშნავია, რომ 6-6 გამარჯვება მხოლოდ სამ სუმოისტს აქვს და სამივე მონღოლია.

**VI დღე** (მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰარუმაფუჯი-ოკინოუმი (იორიკირი), ჰაკუჰო-ტაკაიასუ (სუკუინაგე), კაკურიუ-ტაკეკაძე (ცუკიოტოში), კისენოსატო-ტოიონოშიმა (ოშიდაში), ტოჩიოძანი-ჰომაშო (ოშიტაოში), გაგამარუ-ტამაასუკა (იორიკირი).

### სატურნირო მდგომარეობა

6-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა), შოტენრო (მაეგაშირა 15)... 3-3: გაგამარუ (მ 13).

VII დღე (მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-შოჰოზანი, ჰარუმაფუჯი-ტაკეკაძე, კაკურიუ-ტოიონოშიმა, გოეიდო-ტოჩინოვაკა, გაგამარუ-ტოიოჰიბიკი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## საჭადრაკო ამოცანა

შამათი 2 სვლაში



1. ლc1.

## ვიქტორინა

**1. მანუჩარ მაჩაიძემ მხოლოდ 2 წელიწადი იმუშავა მთავარ მწვრთნელად. რომელ საფეხბურთო გუნდში?**
ა - ტაშკენტის „ფახთაქორში"
ბ - თბილისის „დინამოში"
გ - თბილისის „ლოკომოტივში"

**2. რამდენგზის მსოფლიო ჩემპიონია ძიუდოისტი თემურ ხუბულური?**
ა - ერთგზის
ბ - ორგზის
გ - სამგზის

**3. რომელ წელს შეიქმნა რაგბიში საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდი?**
ა - 1989 წელს
ბ - 1991 წელს
გ - 1996 წელს

**4. რომელ წელს მიიწვიეს პირველად საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრებში მიხეილ ქორქია?**
ა - 1966 წელს
ბ - 1968 წელს
გ - 1971 წელს

**5. სად და რომელ წელს გახდა პირველად ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ლევან თედიაშვილი?**
ა - მიუნხენში 1972 წელს
ბ - მონრეალში 1976 წელს
გ - მოსკოვში 1980 წელს

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-ა.

## რაგბი. ტესტები

# რუსთავს დიდი რაგბი ეწვია

**საქართველოს ნაკრები დღეს რუსთავის სარაგბო სტადიონზე ნოემბრის ტესტების უმნიშვნელოვანეს მატჩს გამართავს. „ბორჯღალოსნების" მეტოქე ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები იქნება, რომელიც თბილისში სამშაბათს გამთენიას გვეწვია და მატჩისთვის ადგილზე ემზადებოდა.**

საქართველოსა და აშშ-ს ნაკრებებს აქამდე სამჯერ უთამაშიათ. ორჯერ გამარჯვებას ოკეანისგაღმელებმა მიაღწიეს, ერთი შეხვედრა კი, ქართველი მორაგბეების გამარჯვებით დასრულდა. პირველი დაპირისპირება 2009 წელს დენვერში, „ჩერჩილის თასის" გათამაშებაში შედგა. მაშინ „ბორჯღალოსნებმა" შესუსტებული შემადგენლობით იასპარეზეს და 13:31 წააგეს.

საპასუხო ვიზიტით ამერიკელი „არწივები" ერთი წლის შემდეგ გვეწვივნენ და თბილისში, ეროვნულ სტადიონზე დრამატულ მატჩში გამარჯვება თამაშის ბოლო წამებზე ხელიდან გამოვგლიჯეთ. სამწუხაროდ, ივნისის თვეში ჩვენი ეროვნული გუნდის ოპტიმალური შემადგენლობის თავმოყრა არ ხერხდება. ასე იყო 2012 წელსაც, როდესაც „ბორჯღალოსნებმა" ოკეანეს კიდევ ერთხელ გადაუფრინეს და ამერიკელებს ისევ დენვერში დაუპირისპირდნენ. მასპინძლებმა ამჯერადაც გაიმარჯვეს - 36:20.

ახლა რევანშის აღების ჯერი დადგა. საქართველოს ნაკრები, გამარჯვების შემთხვევაში, ურთიერთშეხვედრებში ანგარიშს გაათანაბრებს და მსოფლიოს რეიტინგში პოზიციებს გაიმყარებს. სამწუხაროდ, „ბორჯღალოსნებს" ტრავმების გამო სერიოზული დანაკლისი აქვთ. ნოემბრის ტესტებზე ვერ ითამაშებენ **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი), **ირაკლი ნატრიაშვილი** (მასი), **ვახტანგ მაისურაძე** (ალბი), **ჯაბა ბრეგვაძე** და **ვასილ კაკოვინი** (ორივე-ტულუზი). „ნეკერჩხლის ფოთლებთან" მატჩში ფეხი იტკინა გუნდის კაპიტანმა **ირაკლი მაჩხანელმა**, მესამეხაზელ **ვიქტორ კოლელიშვილს** კი, რაგბის საერთაშორისო საბჭოს სადისციპლინო კომიტეტმა ერთთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

მიუხედავად ასეთი სერიოზული დანაკლისისა, ჩვენი ეროვნული გუნდის თითოეული მოთამაშე, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც ბოლომდე თავდადებით ბრძოლისთვისაა შემართული.

ჩვენმა მეტოქემ, აშშ-ს ნაკრებმა თბილისში გამომგზავრების წინ ფილადელფიაში ახალზელანდიელ მაორებს უმასპინძლა და 19:29 წააგო. ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღიათ მეორეხაზელ **სამუ მანოას**, გარემარბ **ბლეინ სკულის** და ფულბეკ **კრის ვაილესს**, რომლებიც ამჯერად ძირითად შემადგენლობაში არიან. ამასთან ერთად, არწივების რიგებში ერთი დებიუტანტია, გარემარბი **ტიმ მაუპინი.**

„კარგად მახსოვს 2010 წელს თბილისში გამართული შეხვედრა. მაშინ ჩვენ ცუდად არ გვითამაშია, წესით ის შეხვედრა უნდა მოგვეგო კიდეც, მაგრამ... ახლა ეს ყველაფერი უკვე წარსულია. ამჟამად მთელი ყურადღება მომავალი დაპირისპირებისკენაა მიმართული. მოუთმენლად ველი მატჩს, ვფიქრობ, შესანიშნავი თამაში იქნება" - თქვა ამერიკელთა ფულბეკმა კრის ვაილესმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს კარგად აქვს შესწავლილი ჩვენი გუნდის თამაში. ცხადია, ერთი კვირის წინათ „ბორჯღალოსნების" კანადელებთან დაპირისპირებასაც ნახავდნენ. სწორედ ამიტომაა, რომ „არწივები" მოსალოდნელი უსიამოვნებისთვისაც ემზადებიან.

*„ცხადია, ყველა სიტუაციაში უნდა შეძლო თანაგუნდელების დახმარება, დაცვა მეტოქის აგრესიისგან. თუმცა, ამასთან ერთად, ზომიერებაც უნდა შეინარჩუნო. ითამაშე აგრესიულად, გააკეთე შენი სამუშაო და გუნდს გამოადექი. ახალგაზრდობაში ჰოკეის ვთამაშობდი და თანაგუნდელების დაცვის ინსტინქტი კარგად მაქვს განვითარებული"* - განაცხადა „არწივების" მეორეხაზელმა **გრემ ჰარიმანმა.**

ერთი სიტყვით, გასაკვირი არ არის, რომ სტუმრები გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. თუმცა, ვისი აჯობებს, დღეს მოედანზე გამოჩნდება. შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და აშშ-ს ნაკრებების დაპირისპირება რუსთავის სარაგბო სტადიონზე 14 საათზე დაიწყება.

დღეს კიდევ რამდენიმე, ჩვენთვის საყურადღებო ტესტ მატჩი გაიმართება. ერთა თასზე „ბორჯღალოსნების" უმთავრესი კონკურენტი რუმინეთის ნაკრები, რომელმაც ერთი კვირის წინათ შინ ტონგას ეროვნულ გუნდს მოუგო, ამჯერად ჩვენგან ძლეულ კანადას უმასპინძლებს. „მუხის ფოთლების" ძირითად შემადგენლობაში ქართული წარმოშობის შერკინების კვაჭი **ოთარ ტურაშვილი** ითამაშებს.

ჩვენი კიდევ ერთი მეტოქე, რუსეთის ეროვნული გუნდი ინგლისში იაპონიის ნაკრებს დაუპირისპირდება. „რუსი დათვების" ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად ორი ქართველი იქნება, ძმები **ვალერი და გრიგოლ ცნობილაძეები.**

ესპანეთის ნაკრები კი, რომელიც ერთა თასზე ჯერჯერობით აუტსაიდერია, სტუმრად ეთამაშება ურუგვაის ეროვნულ გუნდს. ჩვენი მომავალი მეტოქე ნოემბრის ტესტებზე სამოას ნაკრები კი, საფრანგეთში იქაურ „ბარბაროსებს" დაუპირისპირდება.

### საქართველო

**15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. თამაზ მჭედლიძე, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. თედო ზიბზიბაძე, 10. ლაშა ხმალაძე, 9. გიორგი ბეგაძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. კონსტანტინე მიქაუტაძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. გიორგი ჩხაიძე.**

**16. სიმონ მაისურაძე, 17. მიხეილ ნარიაშვილი, 18. ლევან ჩილაჩავა, 19. გიორგი ნემსაძე, 20. გიორგი თხილაიშვილი, 21. ვაჟა ხუციშვილი, 22. ლაშა მალაღურაძე, 23. ბექა წიკლაური.**

### აშშ

**15. კრის ვაილესი, 14. ბლეინ სკული, 13. ფოლაუ ნიუა, 12. ენდრიუ სინიულა, 11. ტიმ მაუპინი, 10. ადამ სიდალი, 9. მაიკ პეტრი. 1. ნიკ ვოლესი, 2. ფილიპ თილი, 3. ერიკ ფრაი, 4. გრემ ჰარიმანი, 5. სამუ მანოა, 6. ტოდ კლევერი, 7. დერეკ აშბურნი, 8. კამერონ დოლანი.**

**16. ზაკ ფენოლიო, 17. ოლივიე კაილიფი, 18. ტიტი ლამოსიტელე, 19. ინაკი ბასაური, 20. ჯო კოული, 21. შონ დევისი, 22. სემუს კელი, 23. ლუკ ჰამი.**

### ნოემბრის ტესტები

**16 ნოემბერი**

საქართველო-აშშ
იაპონია-რუსეთი
რუმინეთი-კანადა
ურუგვაი-ესპანეთი
საფ.ბარბაროსები-სამოა

**23 ნოემბერი**

საქართველო-სამოა

ბესიკ ჯანგავაძე



● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# როცა მელოს 45 ქულა საკმარისი არ არის



კარმელო ენტონი

წინა დღეს „ატლანტას“ დამარცხება არ გახდა „ნიუ იორკისთვის“ კრიზისის დასასრული. წაგებათა სერია შეწყდა, მაგრამ გრძელდება საშინაო წარუმატებლობების სერია. **მაიკ ვუდსონის** გუნდი „მედისონ სკვერ გარდენში“ მეოთხედ დამარცხდა, „ჰიუსტონთან“ კი მიჯრით მერვე დაპირისპირებ დათმო. და ეს იმ დროს, როცა **ანდრეა ბარნიანიმ** დაცვაში შესანიშნავად ითამაშა და **დუაიტ ჰოვარდს** მხოლოდ 7 ქულა დააგროვებინა, **კარმელო ენტონიმ** კი ამ სეზონში სარეკორდო 45 ქულა დააგროვა.

„ნიქსი“ ვერ გაუმკლავდა **ჰარდენის, პარსონსისა** და **ლინის** ტრიოს. პირველმა 36 ქულა დააგროვა და მეოთხე მეოთხედში გადამწყვეტი გაქცევის (11:2) ინიციატორი გახდა. პირველი და მეორე მეოთხედების მიჯნაზე, სტუმრებმა 21:10 სპურტი მოაწყვეს. მელომ ზედიზედ ექვსი ქულით უპასუხა, მაგრამ მეტოქის რიგებში პარსონსმა ორ წუთში 11 ქულა დააგროვა და სხვაობა 12 ქულამდე გაზარდა. როგორც „ნიქსის“ შემთხვევაში ხშირად ხდება, გუნდი უცებ „აფეთქდა“ და ენტონიმ და ბარნიანიმ ერთობლივი ძალისხმევით ერთ ქულამდე შეამცირეს სხვაობა.

დიდი შესვენების შემდეგ, იტალიელმა „ნიუ იორკი“ წინ გაიყვანა, მაგრამ არასტაბილურმა მასპინძლებმა მაშინვე 1:12 გაქცევა გაუშვეს და კვლავ მდევრის როლში აღმოჩდნენ. და „ნიქსმა“ ისევ შეძლო თამაშის ბედი შემოტრიალება. მასპინძლები კარგად თამაშობდნენ ფარქვეშ, ექვსი შედეგიანი პასით მეტი გააკეთეს, მაგრამ ჰარდენის რეგულარული საჯარიმოები მოუგვარებელი პრობლემა გახდა. ასევე დიდი როლი ითამაშა ნიუიორკელთა დამარცხებაში ლინმა. ბოლო მეოთხედის პირველ ხუთ წუთში ჯერემიმ 9 ქულა დააგროვა. ბოლო ორ წუთში, იმავე კარმელომ და ბარნიანიმ, რომლებსაც **ჰარდუეიც** შეუერთდა, ანგარიში გაათანაბრეს.

პარსონსმა და ლინმა თავიანთი საქმე გააკეთეს, ჯერი ჰარდენზე მიდგა, მაგრამ მის აქტიურობას ენტონიმ უპასუხა. სირენამდე ორი წუთით ადრე, სტუმრები ორი ქულით იგებდნენ. მაგრამ ჯერ ჰარდენმა, შემდეგ კი ჰოვარდმა ზუსტად შეასრულეს საჯარიმოები. იმავე ენტონის ჰქონდა თანაფარდობის აღდგენის შანსი, მაგრამ სამქულიანის ნაცვლად, ორი საჯარიმოს ტყორცნა მოუწია. საბოლოოდ, „ნიქსმა“ ვერ შეძლო საქმის ბოლომდე მიყვანა. მელოს ბრწყინვალე თამაში და ბარნიანის ღირსეული გამოსვლა გადაფარა „ჰიუსტონის“ წამყვანი მოთამაშეების შესანიშნავმა მოქმედებამ.

სხვათა შორის, ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია „ჰიუსტონის“ თურქ ცენტრს **ომერ აშიქს**. როგორც ამერიკული პრესა წერს, მან კლუბს ოფიციალური თხოვნით მიმართა გაცვლის თაობაზე. მიზეზი კი გახლავთ მკვეთრად შემცირებული სათამაშო დრო. ჟურნალისტებმა ისიც გაარკვიეს, რომ „ჰიუსტონი“ არ აპირებს აშიქთან გამოთხოვებას.

**ნიუ იორკი–ჰიუსტონი 106:109**

23:28, 29:25, 20:22, 34:34

**ნ-ი:** ენტონი (45+10 მოხსნა), ბარნიანი (24), სმიტი (15+8 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ჰ:** ჰარდენი (36+9 მოხსნა), პარსონსი (22), ლინი (21+5 მოხსნა), ჰოვარდი (7+15 მოხსნა+4 დაფარება).

# კალათბურთის ზეიმი იგუოდალამ მოიგო

წლევანდელი რეგულარულის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი გაიმართა ოკლენდში. „გოლდენ სტეიტი“ „ოკლაჰომას“ მასპინძლობდა და, როგორც წესი, მათი დაპირისპირება შედეგიანი და დაძაბული გამოვიდა.

პირველივე მეოთხედში გუნდებმა ფანტასტიკური სიზუსტის დემონსტრირება დაიწყეს. „თანდერმა“ სასტარტო 12 წუთში სროლების 68 პროცენტი გამოიყენა, მაგრამ მატჩის საწყისი მონაკვეთი მხოლოდ ერთი ქულით მოიგო. ეს 8 შეცდომის ბრალი იყო, რაც სტუმრებს 9 გაშვებულ ქულად დაუჯდათ. მეორე მეოთხედში 60-ზე მეტი პროცენტით ჩაგდება უკვე მასპინძლებმა დაიწყეს. განსაკუთრებით ინდომებდნენ **კარი, ტომპსონი** და **ლი**, რომლებმაც სერიოზული პრობლემები შეუქმნეს მეტოქეს. „უორიორზს“ სამქულიანების რეალიზაციის მხრივ ყველაფერი წესრიგში ჰქონდა - 11-დან ცხრა პირველ ტაიმში. ისევე, როგორც წინა დღეს „კლიპერსთან“ მატჩში, „ოკლაჰომამ“ ჩააგდო მესამე მეოთხედი. **დურანტმა** ხუთივე ტყორცნა ააცილა, „გოლდენ სტეიტმა“ კი ამ 12 წუთში ცხრიდან ხუთი სამქულიანი გამოიყენა. „ოკლაჰომას“ დაცვა დაიშალა.

სირენამდე შვიდი წუთით ადრე, „უორიორზი“ 106:92-ს იგებდა, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, მოახლოებულმა გამარჯვებამ ცუდი სამსახური გაუწია „მეომრებს“. დარჩენილ დროში მათ 15-დან 12 ტყორცნა ააცილეს, მეტოქისგან გაქცევა და „+2“-ზე **რასელ უესტბრუკის** სამქულიანი მიიღეს!

მასპინძლებს თამაშის გადასარჩენად 2.3 წამი რჩებოდათ. ბევრს ლოგიკურად ეგონა, რომ **მარკ ჯექსონი** ბოლო შეტევის დასრულებას **სტივენ კარის** მიანდობდა. მაგრამ გადამწყვეტი ტყორცნა **ანდრე იგუოდალამ** შეასრულა, რომელსაც დურანტი და **ტაბო სეფოლოშა** ერთდროულად იჭერდნენ. და ჩააგდო!

მატჩის დასრულების შემდეგ, **სერჟ იბაკა** და კევინ დურანტი ჯიუტად უყურებდნენ მსაჯის მონიტორზე ბოლო მომენტს და ვერ იჯერებდნენ, რომ „ოკლაჰომამ“ ხელიდან გაუშვა თითქმის განაღდებული გამარჯვება.

**გ. სტეიტი–ოკლაჰომა 116:115**

32:33, 30:29, 33:24, 21:29

**გ-ს:** ტომპსონი (27+5 მოხსნა+3 დაფარება), კარი (22+9 პასი+5 მოხსნა), ლი (20), ბარნსი (16), იგუოდალა (14+9 პასი).

**ო:** უესტბრუკი (31+9 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), იბაკა (27+13 მოხსნა+3 დაფარება), დურანტი (20+8 პასი+7 მოხსნა), ჯექსონი (12+5 მოხსნა).




გოლდენ სტეიტი ზეიმობს

● ოლიმპიზმი

# საბოლოო ექვსი კანდიდატი

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დაასრულა ზამთრის 2022 წლის თამაშების მასპინძლობის მსურველი ქვეყნებისგან განაცხადების მიღება. საბოლოოდ, სოკ-ში ექვსი განაცხადი შევიდა. 2022 წლის ოლიმპიადის ორგანიზება სურთ: ალმა-ატას (ყაზახეთი), პეკინს (ჩინეთი), კრაკოვს (პოლონეთი), ლვოვს (უკრაინა), ოსლოსა (ნორვეგია) და სტოკჰოლმს (შვედეთი).

განაცხადების მიღების ვადა გუშინ ამოიწურა. 4-6 დეკემბერს, კანდიდატი ქალაქების წარმომადგენლები მიწვეულნი იქნებიან საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში სემინარში მონაწილეობის მისაღებად. გარდა ამისა, ისინი დამკვირვებლის სტატუსით დაესწრებიან სოჭის 2014 წლის თამაშებს.

*„მოხარული ვარ, რომ გვყავს ექვსი კანდიდატი 2022 წლის ზამთრის თამაშების ჩატარებაზე, -* ამბობს სოკ-ის პრეზიდენტი **ტომას ბახი**. *- დარწმუნებული ვარ, ამ ქალაქების წარმომადგენლები და მათი მომხრეები აცნობიერებენ, რომ ოლიმპიურმა თამაშებმა შეიძლება დატოვოს უდიდესი სპორტული, სოციალური და ეკონომიკური მემკვიდრეობა და სარგებლობა მოუტანოს რეგიონს“.*

2022 წლის ოლიმპიადის დედაქალაქს 2015 წლის 31 ივლისს, კუალა ლუმპურში ოლიმპიური კომიტეტის 127-ე სესიაზე აირჩევენ.

● ამბები

**ფორმულა 1**

## ალონსოს ნება დართეს

კვირას, ამერიკის ქალაქ ოსტინში გაიმართება აშშ-ის გრანპრი და მასში მონაწილეობას მიიღებს „ფერარის“ პილოტი **ფერნანდო ალონსო**. ესპანელმა წარმატებით გაიარა ბოლო სამედიცინო შემოწმება და ექიმებისგან ოფიციალურად მიიღო ტრასაზე გასვლის უფლება. ალონსოს ზურგის არეში ტკივილები აწუხებდა მას შემდეგ, რაც აბუ დაბის გრანპრის დროს ხერხემლის ტრავმა მიიღო.

## რაიკონენი 4-6 კვირაში დაბრუნდება

„ლოტუსის“ პილოტმა **კიმი რაიკონენმა** წარმატებით გადაიტანა ზურგზე ოპერაცია, - იტყობინება Motorsport. ექიმების პროგნოზით, ფინელ ავტომრბოლს სრული აღდგენისთვის დაახლოებით ოთხი-ექვსი კვირა დასჭირდება.

შეგახსენებთ, რომ რაიკონენს, რომელიც 2014 წელს „ფერარის“ პილოტი იქნება, მთელი სეზონის განმავლობაში აწუხებდა ზურგის ტრავმა და იძულებული გახდა უარი ეთქვა სეზონის ბოლო ორ ეტაპზე. მის ადგილს „ლოტუსში“ ფინელი **ჰეიკი კოვალაინენი** დაიკავებს.

**ავტოსპორტი**

## ფრანკიტის კარიერის დასრულებამ მოუწია

40 წლის ავტომრბოლმა **დარიო ფრანკიტიმ**, რომელსაც ოთხჯერ აქვს მოგებული ჩემპიონის ტიტული Indy-Car-ის სერიაში, კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. ამის მიზეზი გახდა პილოტის ჯანმრთელობა.

გასული სეზონის დროს, ფრანკიტი სერიოზულ ავარიაში მოხვდა და ბოლომდე გამოჯანმრთელება ვერ შეძლო. შოტლანდიელს სიტყვებით, ექიმებმა მას დაბეჯითებით ურჩიეს რბოლებიდან წასვლა.

**კალათბურთი**

## ციბონამ მწვრთნელი შეიცვალა

ზაგრების „ციბონამ“ კონტრაქტი გაწყვიტა მთავარ მწვრთნელ **ნევენ სპაჰიასთან**, - წერს კლუბის ოფიციალური ვებგვერდი. ოთხშაბათს, ხორვატულმა გრანდმა „კანტუსთან“ წააგო (79:86) ევროპის თასის შეხვედრა და ხუთიდან ხუთი მარცხით ბოლო ადგილზეა თავის ჯგუფში.

სპაჰიას ნაცვლად, „ციბონას“ სლავენ რიმაცი უხელმძღვანელებს. შეგახსენებთ, რომ სპაჰიამ ამ ზაფხულს ჩაიბარა ზაგრებული კლუბი, მანამდე კი ის თურქეთის „ფენერბაჰჩედან“ დაითხოვეს.

**ჰოკეი**

## გაცვლა ჩიკაგოსა და ფინიქსს შორის

„ჩიკაგო ბლეკჰოქსმა“ და „ფლორიდა პანტერზმა“ გაცვლა განახორციელეს, - იტყობინება NHL-ის ოფიციალური ვებგვერდი. „ბლეკჰოქსის“ შემადგენლობა შეავსო ფორვარდმა **კრის ვერსტიგმა**, ხოლო „პანტერზმა“ მის სანაცვლოდ ფორვარდი **ჯიმი ჰეიზი** და მცველი **დილან ოლსენი** მიიღო.

ვერსტიგი უკვე გამოდიოდა „ჩიკაგოში“ 2007-10 წლებში. მიმდინარე სეზონში მან 18 მატჩი ჩაატარა და 7 ქულა (2+5) დააგროვა. ჰეიზი და ოლსენი კი[illegible] წელს ამერიკის ჰოკეის ლიგაში (AHA) თამაშობენ.

**ჭადრაკი**

## კარლსენი დაწინაურდა

ინდოეთის ქალაქ ჩენაიში მიმდინარე საჩემპიონო შეხვედრაში ნორვეგიელმა დიდოსტატმა **მაგნუს კარლსენმა** ანგარიში გახსნა ინდოელი **ვიშვანათან ანანდის** წინააღმდეგ. სკანდინაველმა მეხუთე პარტია მოიგო და წაიყვანა მატჩში ანგარიში - 3:2. შეგახსენებთ, რომ პირველი ოთხ პარტიაში ყაიმი დაფიქსირდა.

კარლსენმა, რომელიც თეთრი ფიგურებით თამაშობდა, მეხუთე პარტია 59-ე სვლაზე მოიგო. შემდეგი პარტია დღეს გაიმართება და თეთრი ფიგურები ანანდს ექნება. მატჩის დასრულებამდე შვიდი პარტია დარჩენილი. ინდოელი იცავს ტიტულს, რომელიც 2007 წელს მოიპოვა.



მაგნუს კარლსენი

● ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი–კოლამბუსი 3:2 (ო)**

1:1, 1:1, 0:0, 1:0

**გოლები:** კომო-2 (ლეტესტუ-5, მაკენზი-1), 1:1 ლ. ერიქსონი-3 (ხარა-4, პ. ბერჟერონი-4), 2:1 შ. ტორნტონი-2 (გ. კემპბელი-2, კრუგი-6), 2:2 ფორინო-4 (ნიკიტინი-2), 3:2 ლუჩიჩი-8.

**აილენდერსი–ლოს ანჯელესი 2:3**

0:0, 2:0, 0:3

**გოლები:** 1:0 სიზიკასი-1 (მ. მარტინი-1, კლატერბეკი-2), 2:0 ნესი-1 (ტავარესი-15), 2:1 ვოინოვი-3 (კოპიტარი-14, ჯასტინ უილიამსი-7), 2:2 პირსონი-1 (ვოინოვი-5, ვეი-2), 2:3 ტოფოლი-3 (მუზინი-8, ვეი-3).

**ტამპა ბეი–ანაჰაიმი 5:1**

2:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ფილპულა-7 (პურსელი-6, მეტიუ კარლი-9), 2:0 სან ლუი-8 (ჯ.-ტ. ბრაუნი-1, ფილპულა-7), 3:0 ფილპულა-8 (ჰედმანი-6, სან ლუი-10), 4:0 კილორნი-5 (სან ლუი-11, ბარბერიო-2), 4:1 იტემი-5 (ფაულერი-8, ბოშემენი-6), 5:1 ჰედმანი-3 (პანიკი-8, ტ. ჯონსონი-4).

**ჩიკაგო–ფინიქსი 5:4 (ბ)**

2:2, 1:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 საადი-5 (პ. კეინი-8, ლედი-7), 2:0 შარპი-5 (ტეივზი-8, პ. კეინი-9), 2:1 სტოუნი-4 (ბოდკერი-9, კლინკჰამერი-5), 2:2 დოუნი-9 (იენდლი-14, რიბეირო-9), 3:2 მარიან ჰოსა-9 (ტეივზი-9, კიტი-13), 3:3 კორპიკოსკი-3 (ვრბატა-8, იენდლი-15), 3:4 სტოუნი-5 (დოუნი-6, ეკმანლარსონი-12), 4:4 პირი-4 (სიბრუკი-10, ლედი-8).

**ბულიტები გაიტანეს:** ტეივზი (ჩიკაგო), ვრბატა (ფინიქსი), პირი (ჩიკაგო).

**სტ ლუისი–კოლორადო 7:3**

1:1, 4:0, 2:2

**გოლები:** 1:0 როი-5 (ოში-11, პიეტრანჯელო-10), 1:1 მაკინონი-3 (პ. მჩასტნი-8, ლანდესკოგი-9), 2:1 ბეკსი-7 (ოში-12, როი-5), 3:1 სტინი-15 (ბეკსი-11, ოში-13), 4:1 ტარასენკო-6 (ბერგლუნდი-5, შვარცი-7), 5:1 კ. სტიუარტი-3 (მატენკირკი-12, როი-6), 6:1 სტინი-16 (ბეკსი-12, ოში-14), 6:2 დუშენი-12 (გენინი-3, რ. ო'რაილი-6), 7:2 ბოუმისტერი-1 (ტარასენკო-4, პიეტრანჯელო-11), 7:3 რ. ო'რაილი-7 (მაკგინი-4, ჰოლდენი-1).

**კალგარი–დალასი 3:7**

0:1, 1:4, 2:2

**გოლები:** 0:1 რობიდასი-2 (დილონი-5, ჯეიმი ბენი-11), 0:2 სეგუინი-9 (ჯეიმი ბენი-12, ნიჩუშკინი-5), 0:3 ჯეიმი ბენი-7 (სეგუინი-10, გოლიგოსკი-2), 0:4 სეგუინი-10 (ჯეიმი ბენი-13, გოლიგოსკი-3), 0:5 გარბუტი-2 (რუსელი-4, გოლიგოსკი-4), 1:5 სტაიანი-2 (დ. ჯონსი-3, ვიდემანი-10), 1:6 სეგუინი-11 (ნიჩუშკინი-6, ჯეიმი ბენი-14), 2:6 დ. ჯონსი-4 (რუსელი-7, ბაერტჩი-5), 3:6 სტაიანი-3 (გალიარდი-5), 3:7 სეგუინი-12 (ჯეიმი ბენი-15, გონჩარი-3).

**ვანკუვერი–სან ხოსე 1:2 (ო)**

0:0, 1:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ბიეკსა-1 (ჰ. სედინი-18, ბაროუზი-3), 1:1 ჰერტლი-11 (დ. ბოილი-4, ჯ. ტორნტონი-18), 1:2 დ. ბოილი-5 (პაველსკი-14, კუტური-11).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი. ტესტები


ახალი ზელანდია-ინგლისი

# რევანშის მოლოდინში

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ახალი ზელანდიის ნაკრები ფანტასტიკურ შედეგებს აჩვენებს. მათ 2011 წლის მსოფლიოს თასიდან მოყოლებული ყველა ოფიციალურ მატჩში გაიმარჯვეს, გარდა ერთისა - 2012 წლის 1 დეკემბერს თვიქნემზე 21:38 დამარცხდნენ ინგლისის ნაკრებთან და დღეს რევანშის აღების მშვენიერი შანსი ექნებათ. თუმცა, არც მასპინძელი გუნდი აპირებს რამის დათმობას.

2002 წლიდან მოყოლებული ეს ნაკრებები ერთმანეთს 12-ჯერ დაუპირისპირდნენ და ახალი ზელანდია დამაჯერებლად ლიდერობს 9:3. ურთიერთშეხვედრათა ისტორიიდან გამოსარჩევი გახლდათ 2003 წელს ინგლისელთა გამარჯვება ველინგტონში ორქულიანი სხვაობით 15:13 და 2008 წელს ქრაისტჩერჩში ახალზელანდიელთა ბენეფისი, როდესაც მათ მეტოქე 44:12 გადათელეს.

ორივე ნაკრები დღევანდელ დაპირისპირებას მშვენიერ ხასიათზე ხვდება. გასულ უქმეებზე ინგლისმა არგენტინის ნაკრებს სძლია 31:12, ხოლო „ოლ ბლექსმა" მძიმე ბრძოლაში დაამარცხა საფრანგეთი 26:19. ორივე გუნდის მწვრთნელს საფიქრალი საკმაოდ ბევრი დაუგროვდა. ინგლისმა „პუმებთან" მატჩის მიმდინარეობისას 43 წუთის განმავლობაში ქულის აღება ვერ შეძლეს, რაც საყურადღებო ფაქტია, ხოლო ახალზელანდიელთა უკანასკნელ თამაშში ძალიან დიდი ტექნიკური წუნი შეინიშნებოდა.

დღევანდელ მატჩში სხვადასხვა სახის ტრავმების გამო ინგლისელებს ვერ დაეხმარებიან **მანუ ტუილაგი** და **მარლანდ იარდე**. ცხრა ნომრის და მგეზავის პოზიციებზე კვლავ გამწესდებიან **ლი დიქსონი** და **ოუენ ფარელი**, მოსალოდნელია გარემარბად **კრის ეშტონის** გამოჩენაც. სტუმართა თავკაცმა **სტივ ჰანსენმა** ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყარა თავი. მცირე ტრავმის მოშუშების შემდეგ სასტარტო შემადგენლობაში ბრუნდება **ჟულიან სავეა**, რომელსაც მშვენიერი სტატისტიკა გააჩნია: ეროვნულ ნაკრებში გამართულ 18 შეხვედრაში 16 ლელო აქვს გატანილი. დღევანდელი მატჩი სარეკორდო იქნება **რიჩი მაქოასთვის**, რომელიც კაპიტნის სამკლაურით 85-ე შეხვედრაში გაუძღვება „ოლ ბლექსს", ხოლო **დენ კარტერი** გახდება მეხუთე ახალზელანდიელი, რომელსაც ეროვნულ გუნდში 100 კეპი ექნება მოხვეჭილი (**რიჩი მაქოა, მილს მულიაინა, ტონი ვუდკოკი, კევინ მეალამუ**).

დიდ ინტერესს იწვევს დუბლინში გამართი მატჩი, სადაც ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან ირლანდიის და ავსტრალიის ნაკრებები.

2 წელზე მეტია გასული იმ მოვლენიდან, როდესაც 2011 წლის მსოფლიო თასზე ევროპელებმა „ვოლაბები" ჯგუფური ეტაპის მატჩში 15:6 დაამარცხეს და მნიშვნელოვნად გაურთულეს გზა მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებს. ამჯერად ავსტრალიელები შეეცდებიან სრული რევანში აიღონ მეტოქესთან.

სერიოზული სამზადისია „სამყურათა" ბანაკში: სამოას განადგურებისა (40:9) და მსოფლიო რეიტინგში მეექვსე პოზიციამდე ალზევების მიუხედავად, ირლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა **ჯო შმიდტმა** 23-კაციანი განაცხადის მიღმა დატოვა მგეზავი **პადი ჯექსონი**, ხოლო სასტარტო შემადგენლობაში დააბრუნა **ჯონათან სექსტონი**, რომელსაც მცირე ტრავმა ჰქონდა და წინა ტესტ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. მწყობრში ჩადგა და პირველივე წუთებიდანვე შეუტევს მეტოქეს მლეტავი **პეტერ ომაჰონი**, რომელიც მარბიელთა შესანიშნავ ტრიოს ქმნის **ჯიმი ჰისლაპთან და შონ ობრაიენთან.**

ავსტრალიელთა მთავარი მწვრთნელი **ევან მაკენზი** კმაყოფილი დარჩა იტალიელთა წინააღმდეგ ნაჩვენები თამაშის ხარისხით და სასტარტო შემადგენლობა უცვლელი დატოვა. მშვენიერ ფორმაში იმყოფებიან სტუმართა უკანა ხაზელები, რაც იმედს იძლევა, რომ დუბლინში თვალსასეირო რაგბი გაჩაღდება.

დღეს კიდევ რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართება: უელსი არგენტინას უმასპინძლებს და შეეცდება ხელდახელ თამაშით დაამარცხოს მეტოქე. შოტლანდია ედინბურგში სამხრეთ აფრიკას დაუხვდება და ეცდება ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს მეტოქეს, თუმცა სავარაუდოდ „ბოკე" ძალიან იოლად მოახერხებს მეტოქის დაჩაგვრას. საფრანგეთი ტონგას მასპინძლობს და გამარჯვების უპირობო ფავორიტადაც მიიჩნევა, ხოლო იტალია საკუთარ კედლებში ფიჯის ძალიან საინტერესო ნაკრებს ეთამაშება.

შემოდგომის ტესტებზე საქართველოს მომდევნო მეტოქე სამოა ფრანგ „ბარბაროსებთან" გამართავს ტესტ მატჩს, რუმინეთი ჩვენგან ძლეულ კანადას უმასპინძლებს, რუსეთი ნეიტრალურ მოედანზე (ინგლისი) იაპონიას შეხვდება, პორტუგალია შეეცდება გასვლაზე დაამარცხოს ბრაზილია, ხოლო ესპანეთი მონტევიდეოში ურუგვაის დაუპირისპირდება.

**გიორგი ბარბაქაძე**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### მს. ჩემპიონატი

##### პლეი ოფი. I მატჩები

| | |
|---|---|
| ისლანდია-ხორვატია | 0:0 |
| საბერძნეთი-რუმინეთი | 3:1 |
| პორტუგალია-შვედეთი | 1:0 |
| უკრაინა-საფრანგეთი | 2:0 |

#### ევრო 2014

##### UNDER 21

| | |
|---|---|
| მოლდოვა-სან მარინო | 2:0 |
| სლოვენია-რუსეთი | 0:1 |
| ანდორა-ესტონეთი | 0:2 |
| ბულგარეთი-დანია | 2:3 |
| ლიხტენშტაინი-ლატვია | 0:2 |
| ირლანდია-ფარერები | 5:2 |
| ჩერნოგორია-გერმანია | 1:1 |
| საბერძნეთი-შვედეთი | 5:1 |
| მალტა-პოლონეთი | 1:5 |
| ისრაელი-ნორვეგია | 4:1 |
| მაკედონია-აზერბაიჯანი | 1:0 |
| სერბეთი-ბელგია | 2:2 |

#### ევრო 2014

##### UNDER 19

| | |
|---|---|
| ჰოლანდია-უელსი | 0:0 |
| სერბეთი-ფინეთი | 1:0 |
| ყაზახეთი-ავსტრია | 1:3 |

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| კორეა-შვეიცარია | 2:1 |
| ინდოეთი-ფილიპინები | 1:1 |
| ბელარუსი-ალბანეთი | 0:0 |
| ჩეხეთი-კანადა | 2:0 |
| ლიბია-ნიგერი | 1:1 |
| რუსეთი-სერბეთი | 1:1 |
| ესტონეთი-აზერბაიჯანი | 2:1 |
| დანია-ნორვეგია | 2:1 |
| სვაზილენდი-ს. აფრიკა | 0:3 |
| თურქეთი-ჩრ. ირლანდია | 1:0 |
| ირლანდია-ლატვია | 3:0 |
| იტალია-გერმანია | 1:1 |
| პოლონეთი-სლოვაკეთი | 0:2 |
| ინგლისი-ჩილე | 0:2 |
| შოტლანდია-აშშ | 0:0 |

#### ინგლისი

##### II ლიგა

| | |
|---|---|
| ნიუპორტი-ჰარტლპული | 2:0 |

#### გერმანია

##### რეგიონალლიგა (ბაიერნი)

| | |
|---|---|
| შვაინფურტი-ნიურნბერგი A | 0:0 |

##### რეგიონალლიგა (ჩრ)

| | |
|---|---|
| კლოპენბურგი-ჰამბურგი A | 4:3 |

##### რეგიონალლიგა (დას)

| | |
|---|---|
| ბოხუმი A-კიოლნი A | 01: |

#### უელსი

| | |
|---|---|
| აფან ლიდო-ტნს | 1:2 |
| ეირბასი-ბანგორი | 0:1 |

#### ბულგარეთის თასი

##### 1/8 ფინალი. I მატჩი

| | |
|---|---|
| სლავია-ლოკომოტივი | 0:2 |

#### პერუ

| | |
|---|---|
| სესარ ვალიეხო-პასიფიკო | 2:0 |
| სან მარტინი-ხოსე გალვესი | 3:0 |

#### აზიის თასი

##### შესარჩევი

| | |
|---|---|
| სირია-სინგაპური | 4:0 |
| ტაილანდი-ირანი | 0:3 |
| ქუვეითი-ლიბანი | 0:0 |
| ჩინეთი-ინდონეზია | 1:0 |
| ს. არაბეთი-ერაყი | 2:1 |
| იემენი-კატარი | 1:4 |
| ბაჰრეინი-მალაიზია | 1:0 |
| ვიეტნამი-უზბეკეთი | 0:3 |
| საემიროები-ჰონგ კონგი | 4:0 |

#### ავსტრალია

| | |
|---|---|
| მელბურნი-სიდნეი | 0:2 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| აისბარენი-მანჰაიმი | 4:2 |
| ჰამბურგი-დიუსელდორფი | 3:0 |
| ინგოლშტადტი-სტრაუბინგი | 1:0 |
| იზერლონი-შვენინგერი | 3:5 |
| კიოლნი-კრეფელდი | 6:1 |
| მიუნხენი-ვოლფსბურგი | 2:1 |
| ნიურნბერგი-აუგსბურგი | 3:0 |

#### დანია

| | |
|---|---|
| ფრედრიკშავნი-ესბერგი | 1:4 |
| ჰერლევი-ოლბორგი | 1:2 |
| ჰერნინგი-როდოვრე | 1:2 |
| რუნგსტედი-ოდენსე | 4:8 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ნიტრა-კოშიცე | 4:0 |
| პოპრადი-მარტინი | 4:2 |
| სკალიცა-ტრენჩინი | 3:2 |
| ზვოლენი-ბისტრიცა | 8:0 |
| პიეშტანი-ჟილინა | 7:2 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-ლიტვინოვი | 0:2 |
| ჟლინი-სლავია | 4:3 (ბ) |
| პლზენი-ბრნო | 4:1 |
| ხომუტოვი-ვიტკოვიცე | 2:7 |
| კრალოვე-პარდუბიცე | 2:1 (ბ) |
| კლადნო-სპარტა | 2:5 |
| ლიბერეცი-კარლოვი ვარი | 0:1 (ო) |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ამბრი პიოტა-ბილი | 4:1 |
| ბერნი-რაპერსვილი | 5:4 (ბ) |
| ლოზანა-ციურიხი | 4:3 (ბ) |
| ლუგანო-კლოტენი | 1:2 |
| სერვეტი-ცუგი | 3:2 (ბ) |
| ფრიბურგი-დავოსი | 5:3 |

### კალათბურთი

#### ევროლიგა

| | |
|---|---|
| ცსკა-პარტიზანი | 88:46 |
| ოლიმპიაკოსი-სტელმეტი | 79:77 |
| გალათასარაი-ბაიერნი | 84:74 |
| ცრ. ზვეზდა-ლ. რიტასი | 88:77 |
| მილანი-სტრასბური | 83:72 |

### ჰოკეი

#### კჰლ

| | |
|---|---|
| ამური-აკ ბარსი | 6:3 |
| ადმირალი-ტორპედო | 5:0 |
| მეტალურგი (ნ)-დინამო (მ) | 3:4 (ო) |
| სიბირი-ვიტიაზი | 3:1 |
| მეტალურგი (მ)-დონბასი | 2:1 |
| ს. იულიაევი-ზაგრები | 2:3 |
| ტრაქტორი-დინამო (მნ) | 3:0 |
| ნეფტეხიმიკი-სპარტაკი | 5:0 |
| ცსკა-ბარისი | 3:0 |
| დინამო (რ)-ავანგარდი | 3:1 |
| ლევი-იუგრა | 2:1 |
| სლოვანი-ავტომობილისტი | 3:1 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ბლუზი-ლუკო | 5:3 |
| ილვესი-ტაპარა | 1:2 |
| პელიკანსი-ტპს | 4:2 |
| იუვიასკიულა-ჰიფკ | 5:3 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| ზნოიმო-ვენა | 4:0 |
| ალბა-კლაგენფიურტი | 2:5 |
| დორნბირნი-გრაცი | 8:6 |
| ზალცბურგი-ბოლცანო | 5:2 |
| ინსბრუკი-ლინცი | 3:4 |

### ჩოგბურთი

#### დევისის თასი

| | |
|---|---|
| **ჯოკოვიჩი**-შტეპანეკი | 7:5, 6:1, 6:4 |
| **ბერდიხი**-ლაიოვიჩი | 6:3, 6:4, 6:3 |

#### ჰელსინკი

| | |
|---|---|
| **შტრუფი**-ლაჩკო | 6:1, 3:2 უარი |
| გერასიმოვი-**ბერანკისი** | 2:6, 6:3, 2:6 |
| **ლააკსონენი**-მარჩენკო | 6:2, 7:6 |
| **ნიემინენი**-ა. კუზნეცოვი | 6:3, 6:0 |

#### შამპეინი

| | |
|---|---|
| სმეტჰერსტი-**სანდგრენი** | 5:7, 3:6 |

#### სან პაულუ

| | |
|---|---|
| ვოლანდრი-**ჰუტა გალუნგი** | 4:6, 7:6, 6:3 |
| **გონსალესი**-მარტინი | 6:2, 6:3 |

#### იოკოჰამა

| | |
|---|---|
| **ებდენი**-ვანგი | 6:4, 6:4 |
| ჩიუდინელი-**სოედა** | 4:6, 4:6 |

## TV პროგრამა

### 16 ნოემბერი. შაბათი

#### I არხი

**14:00** რაგბი. ტესტ-მატჩი. საქართველო-აშშ (LIVE).

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შტუტგარტი.
**16:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**17:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**18:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰერტა.
**21:00** ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**22:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტო-სპორტინგი.
**00:00** გერმანიის ჩემპიონატი. შალკე - დორტმუნდი

#### GMG-სპორტი 1

**10:00** გადაცემა – გოლი
**11:45** ტელეჟურნალი – FOOTBALL MUNDIAL
**12:15** რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. ახალი ზელანდია-შოტლანდია.
**14:30** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**15:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**16:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**17:00** რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. ავსტრალია-აშშ (LIVE).
**19:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. სერბეთი-ჩეხეთი.
**21:00** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მაკაბი-პანათინაიკოსი.
**23:00** კალათბურთი. ევროლიგის მიმოხილვა.
**00:00** რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. ინგლისი-საფრანგეთი (LIVE).

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ინგლისი.
**12:50** ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. სერბეთი-ჩეხეთი.
**19:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. სერბეთი-ჩეხეთი (LIVE).
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ინგლისი.
**00:20** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

### 17 ნოემბერი. კვირა

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**11:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰანოვერი.
**16:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-მარიტიმო.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ნაპოლი-მარსელი.
**21:00** ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**22:00** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შტუტგარტი.
**00:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. იუვენტუსი-გალათასარაი.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ჩელსი-შალკე.
**12:00** რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. ინგლისი-საფრანგეთი.
**14:00** კალათბურთი. ევროლიგის მიმოხილვა.
**15:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**16:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**17:00** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბუდიველნიკი-ბარსელონა.
**19:00** რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. სამოა-ფიჯი (LIVE).
**21:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. სერბეთი-ჩეხეთი.
**00:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**00:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ინგლისი.
**13:10** ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. სერბეთი-ჩეხეთი.
**17:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. სერბეთი-ჩეხეთი (LIVE).
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ინგლისი.
**00:30** ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ინგლისი.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 6 | 14 | (მზე) |
| ქუთაისი | 8 | 16 | (მზე) |
| ბათუმი | 8 | 16 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 10 | 15 | (უნალექოდ) |
| ზუგდიდი | 6 | 16 | (მზე) |
| გორი | 5 | 14 | (მზე) |
| თელავი | 5 | 14 | (მზე) |
| სიღნაღი | 5 | 13 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | -2 | 11 | (მზე) |
| ბორჯომი | 2 | 14 | (მზე) |
| მესტია | -2 | 11 | (უნალექოდ) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2519 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6764 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6839 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1286 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა


მაიკლ ფელპსი

# ამბობენ, ფელპსი ბრუნდებაო

18-გზის ოლიმპიური ჩემპიონი, ლეგენდარული ამერიკელი მოცურავე **მაიკლ ფელპსი**, შესაძლოა, 2014 წლის მარტში დაბრუნდეს დიდ სპორტში.

როგორც ამერიკული პრესა წერს, ფელპსმა უკვე ორჯერ გაიარა დოპინგ-ტესტი, რომელიც აუცილებელია ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად. მან ეს პირველ ივლისს და 30 სექტემბერს გააკეთა. ცურვის საერთაშორისო ფედერაციის წესების თანახმად, სპორტსმენი ვალდებულია გაიაროს დოპინგ-ტესტის პროცედურა ამ ორგანიზაციის ეგიდით გასამართ ტურნირამდე ცხრა თვით ადრე.

*„ჯერჯერობით ნაადრევია დაბრუნებაზე ლაპარაკი. ამ შემოდგომაზე მან საერთო ჯგუფთან ერთად დაიწყო ვარჯიში სპორტული ფორმის ალსადგენად. მას კარგად გამოსდიოდა და ვკითხე - ხომ არ მიიღებდა მონაწილეობას ტურნირებში? ფელპსმა მიპასუხა: „შეიძლება“. ადრე თუ გვიან, ეს მოხდება. ამასთან, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ის დღესვე დაბრუნდეს დიდ სპორტში“*, - განაცხადა სპორტსმენის მწვრთნელმა **ბობ ბოუმენმა**.

მანვე დაამატა, რომ 28 წლის მოცურავემ კვირაში ვარჯიშების რაოდენობა სამიდან ხუთამდე გაზარდა.

2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ფელპსმა რეკორდი დაამყარა მედლების საერთო რაოდენობით. ახლა, მას 22 ოლიმპიური მედალი აქვს კოლექციაში, რომელთაგანაც 18 ოქროსია. ლონდონის თამაშების დასრულების შემდეგ, ფელპსი აქტიურად იყო დაკავებული გოლფით და სპორტის ამ სახეობაში ტურნირებზეც გამოდიოდა.

კრივი

# დაპატიმრება ცოლის ცემისთვის

61.2-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBA-ის დროებით ჩემპიონი, კუბელი **იურიორკის გამბოა** ძალადობის ბრალდებით პოლიცამ დააკავა. საქმის მოსმენის შემდეგ, მოკრივემ 4.5 ათასი დოლარის ოდენობის გირაო შეიტანა და მას დღეს გაანთავისუფლებენ. სასამართლო პროცესი მოგვიანებით გაიმართება. ამ ინფორმაციას ESPN ავრცელებს.

დაპატიმრების მიზეზი გახდა ინციდენტი მოკრივის ყოფილ ცოლთან - **დუნეია მარტინესთან**, რომელიც გამბოას ორი შვილის დედა გახლავთ.

სპორტსმენის ადვოკატის **ტონი გონსალესის** თქმით, გამბოასთან მიმართებაში ეჭვი საკმაოდ სერიოზული იყო იმისთვის, რომ მოკრივე დაეკავებინათ. თუმცა ადვოკატისთვის მისი კლიენტის საქციელი სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა.

2011 წელს, გამბოა ერთხელ უკვე დააკავეს ოჯახის წევრის წინააღმდეგ ძალადობის გამო. მაშინაც, კუბელ მოკრივეს მარტინესმა უჩივლა. ადვოკატმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში გამბოას ბრალეულობის შესახებ არანაირი მტკიცებულება არ არსებობდა.

იურიორკის გამბოამ 2004 წელს, ათენის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიგო. 2007 წელს, მან დატოვა კუბა და მაიამიში დასახლდა, სადაც პროფესიული კარიერა დაიწყო. 2010 წელს, მოკრივე 57.2-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, შემდეგ კი წონითი კატეგორია შეიცვალა.


იურიორკის გამბოა

სულ გამბოამ პროფესიულ რინგზე 23 შეხვედრა ჩაატარა და ყველა მოიგო (16 - ნოკაუტით). WBA-ის დროებითი ტიტული 61.2 კილოგრამში მან 2013 წლის ივნისში დაისაკუთრა, როცა ქულებით დაამარცხა კოლუმბიელი **დარლეის პერესი**.

2013 წელს, გამბოა დოპინგ-სკანდალის ფიგურანტიც გახდა: პრესა წერდა, რომ მოკრივე დაკავშირებულია ლაბორატორიასთან, რომელიც სპორტმენებს აკრძალული პრეპარატებით ამარაგებდა.

ჩოგბურთი

# ჩოგბურთიდან პროფესიულ გოლფში


მერდი ფიში

მსოფლიოს ყოფილმა მეშვიდე ჩოგანმა, ამერიკელმა **მერდი ფიშმა**, რომელმაც ბოლო ორი სეზონის დიდი ნაწილი გულთან დაკავშირებული პრობლემების გამო გამოტოვა, პროფესიულ გოლფში თავის გამოჩენა გადაწყვიტა. 31 წლის ჩოგბურთელმა, ვისაც ჯერ ოფიციალურად არ გამოუცხადებია კარიერის დასრულების შესახებ, ბოლო სამი კვირის გამავლობაში გოლფის ორ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ფიშს სურს PGA Tour-ში (ყველაზე პრესტიჟული სერია გოლფში) გამოსვლის უფლება მიიღოს, თუმცა ჯერ ამაზე ჟურნალისტებთან საუბარი არ სურს.

*„რამდენიმე თვე დამჭირდა იმისთვის, რომ ნორმალურ ცხოვრებას დავბრუნებოდი - ვახშამზე დამელია ერთი ჭიქა ღვინო ან მეუღლესთან ერთად წავსულიყავი კინოთეატრში. ჩვეულებრივი ამბები არ მყოფნის, რასაც მოკლებული ვიყავი დროის დიდი მონაკვეთის განმავლობაში“*, - ამბობს ფიში ამერიკულ პრესასთან კომენტარში.

შეგახსენებთ, რომ 2013 წლის სეზონში ფიშმა ოთხი მატჩი მოიგო და ხუთჯერ დამარცხდა. დღეს ის 369-ე ადგილს იკავებს მსოფლიო კლასიფიკაციაში. წარმოშობით მინესოტელ ჩოგბურთელს ATP-ის ექვსი ტიტული აქვს მოგებული, გარდა ამისა, ვერცხლის მედალი მოიპოვა 2004 წელს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე.

დოპინგი

# რუსებს არ ენდობიან

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო (WADA) გამოვიდა რეკომენდაციით - ლიცენზია ჩამოართვან მოსკოვის ანტისადოპინგო ცენტრს, რომელიც უნდა მოემსახუროს 2014 წელს სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. სააგენტოს პრეზიდენტის **ჯონ ფეიჰის** თქმით, ცენტრი „არასაკმარისად საიმედო აღმოჩნდა“.

WADA-ს მიაჩნია, რომ ტესტირების პროცედურა, რომელსაც მოსკოვის ანტისადოპინგო ცენტრში იყენებენ, არ იმსახურებს ნდობას. ამასთან, მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო არ ჩქარობს გადაწყვეტილების მიღებას. როგორც ფეიჰი ამბობს WADA-მ უნდა შეისწავლოს ყველა მიღებული მონაცემი, რასაც გარკვეული დრო დასჭირდება.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ სააგენტომ დაიწყო გამოძიება მოსკოვის ცენტრის მუშაობაზე, თუმცა არ დაუზუსტებია, რის საფუძველზე გადაწყვიტა ამ გამოძიების ჩატარება.

თუ მოსკოვის ანტისადოპინგო ცენტრს აკრედიტაციას ჩამოართმევენ, მისი სპეციალისტები ვერ შეძლებენ სოჭის ოლიმპიადაზე აღებული დოპინგ-სინჯების ტესტირებას. შესაბამისად, ეს პროცედურა რომელიმე სხვა ქვეყნის ლაბორატორიას უნდა დააკისრონ.

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს აკრედიტირებული ლაბორატორიების წინააღმდეგ მსგავსი ღონისძიებები არაერთხელ გაუტარებია. მაგალითად, ამასწინ, WADA-მ ლიცენზია ჩამოართვა რიო-დე-ჟანეიროს ლაბორატორიას, სადაც უნდა შეემოწმებინათ მსოფლიოს 2014 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის დროს აღებული სინჯები. ამის შემდეგ გადაწყდა, რომ შესაბამისი ტესტირებები ლოზანას ლაბორატორიაში ჩატარდება.



ჯონ ფეიჰი

# გადაწყვეტილია: ორის ნაცვლად ოთხი წელი

დოპინგთან ბრძოლაში კიდევ ერთ სიახლე ის არის, რომ მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ გაზარდა სასჯელის ვადა აკრძალული პრეპარატის გამოყენებისთვის. ამიერიდან, დოპინგზე ჩავარდნილი სპორტსმენი მიიღებს არა ორ, არამედ ოთხწლიან დისკვალიფიკაციას. შესაბამისი ცვლილება WADA-ის კოდექსში გუშინ, სამხრეთ აფრიკის ქალაქ იოჰანესბურგში ორგანიზაციის კონფერენციაზე მიიღეს.

სააგენტო დისკვალიფიკაციის ვადის შეცვლაზე მას შემდეგ წავიდა, რაც 2011 წელს, სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ აღიარა, რომ მოქმედი წესების თანახმად, სპორტსმენები ორმაგად ისჯებიან. ამის შემდეგ, გაუქმდა წესი, რომლის მიხედვითაც, დოპინგში გამოჭერილ სპორტსმენს დისკვალიფიკაციის ვადის გასვლის შემდეგ, მომდევნო ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლებას არ აძლევდნენ.

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს კოდექსის ახალი რედაქციის თანახმად, ასევე გათვალისწინებულია სასჯელის გამკაცრება მწვრთნელებისთვის, მედპერსონალისთვისა და ოფიციალური პირებისთვის, რომლებიც დაკავებულნი იქნენ დოპინგში გამოჭერილი სპორტსმენის მომზადებით.

გარდა ამისა, თითოეულ სპორტსმენს ბიოლოგიური პასპორტის გარდა, სტეროიდული პასპორტიც ექნება. ის შეიტანენ ბიოქიმიური ანალიზების შედეგებს. შეგახსენებთ, რომ ბიოლოგიურ პასპორტში ფიქსირდება სპორტსმენთა სისხლის ანალიზის მონაცემები.

WADA-ის განახლებული კოდექსი 2015 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება. უახლოეს დღეებში, სააგენტო ახალი წესების დეტალურად ახსნას აპირებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ლელო
ISSN 2233-3827
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:30 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოტფრიდ ლენცი
ტელეფონი: **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** *leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge* ინდექსი **66435 INDEX.** სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**